№1, 2008
აპრილი / April

# საარქივო მოამბე
# THE ARCHIVAL BULLETIN

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო
Archive Administration of the Ministry of Internal Affairs of Georgia



„აღდგენა ისტორიისა – ერის
გამოცოცხლებაა, გამოფხიზლებაა,
აწმყოს გაგება და წარმართვისა.
მომავლის გამორკვევისა სიბნელეთაგან."
ილია ჭავჭავაძე



„შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს მიერ ჟურნალის გამოცემის იდეას ნამდვილად მივესალმები, თუნდაც იმიტომ, რომ საარქივო სამმართველოში დაცული მასალები დიდი ხანი იყო გასაიდუმლოებული. რაც, ალბათ, ჩვენი ხარვეზია, რადგან ამ მასალების დროული პოპულარიზაცია ვერ მოვახერხეთ. მართალია, გარკვეული მცდელობები იყო: საარქივო მასალებზე დაყრდნობით რამდენიმე გადაცემა და დოკუმენტური ფილმი მომზადდა, ასევე საგაზეთო სტატიებიც დაიწერა, შეიქმნა ვებ-გვერდი, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რისი გაკეთებაც შეიძლება.

არქივში ძალიან საინტერესო ისტორიული მასალები ინახება, რომლის საჯაროდ გამოტანა საინტერესო იქნება არა მხოლოდ ისტორიკოსებისთვის, მეცნიერებისთვის, სტუდენტებისთვის, არამედ მთელი ქართული საზოგადოებისთვის, საარქივო მასალები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის. საარქივო სამმართველოს ჟურნალიც, პირველ რიგში, ამას შეუწყობს ხელს და არქივის საიმიჯო ბარათი გახდება.

ვისურვებ, რომ ჟურნალი ისევე, როგორც ნებისმიერი პროდუქტი, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ქმნის, ხარისხიანი იყოს. დარწმუნებული ვარ, რომ ჟურნალი საინტერესო და შინაარსობრივად დახვეწილი იქნება. „საარქივო მოამბეს" არაჩვეულებრივ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალად შეუძლია თავის დამკვიდრება."

*ეკა ზღულაძე (შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე)*

I welcome the publication of this journal by the Archive Administration of the Ministry of Internal Affairs of Georgia, mainly because the materials held by this Administration were kept classified for such a long time. Perhaps this is our own fault, as we were not able to bring these materials to the public in a more timely fashion, although there have been several attempts to do this: several television programs and documentary films were prepared using materials from the archive, and a number of newspaper articles were written. But this is just a drop in the ocean compared to what can be done.

The archive contains very interesting historical materials. The publication of these materials will be interesting not only for historians, academics and students, but for Georgian society as a whole. This is why the archival materials should be made available to the public and to everybody. This journal, edited by the Archive Administration, will strongly help this process and will consequently serve as a means to advertise the Archive Administration. In this way the community will learn about ht kind of information that is kept there, and the journal will serve as a basis for further historical research.

I would like for this journal – as well as any other product created by the Ministry of Internal Affairs of Georgia – to be of a high quality. I do hope that the new publication will be as perfect as possible with regard to content and language. The articles will be composed objectively and based solely on documentary materials. The "Archival Bulletin" will hopefully affirm itself as an excellent academic-popular publication

***EKA ZGULADZE** (DEPUTY MINISTER OF INTERNAL AFFAIRS)*


**სარედაქციო კოლეგია:**

**ჟურნალის დამფუძნებელი – ომარ თუშურაშვილი** *(შსს საარქივო სამმართველოს უფროსი)*

**მთავარი რედაქტორი – ნინო ყიფშიძე**

**ინგლისური ტექსტების სტილი და კორექტურა - ტიმოთი ბლაუველთი** *(მეცნიერებათა დოქტორი)*

**დაკაბადონება და დიზაინი – ირმა ლიპარტელიანი, მერი ბარბაქაძე**

**ტექნიკური უზრუნველყოფა – ლელა გუგულაშვილი, გიორგი ბაბუცაშვილი**

**მთარგმნელები – ეკა ძიგოევა, ლელა გოგოლიძე, გრიგოლ გიორგაძე**

**ჟურნალის კონსულტანტები:**

**თორნიკე ჯებაშვილი** *(შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე)*

**დავით ალავერდაშვილი** *(შსს საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე)*

**ოლივერ რაისნერი** *(ევროკომისიის წარმომადგენელი საქართველოში, ისტორიკოსი)*

**რონალდ სუნი** *(მიჩიგანის და ჩიკაგოს უნივერსიტეტების პროფესორი)*

**ტიმოთი ბლაუველთი** *(მეცნიერებათა დოქტორი)*

**ჰანს გუტბროდი** *(ევრაზიის ფონდის წარმომადგენელი საქართველოში, ისტორიკოსი)*

**ვახტანგ გურული** *(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი)*

**გიორგი მამულია** *(ისტორიკოსი)*

**გიორგი კლდიაშვილი** *(ისტორიკოსი)*

**ლევან ავალიშვილი** *(ისტორიკოსი)*

**EDITION BOARD:**

**Journal founder – Omar Tushurashvili** *(Head of the Archive Administration of the MoIA)*

**Editor-in-chief – Nino Kipshidze**

**Editing and proof reading – Timothy Blauvelt** *(PhD, American Councils for International Education, political scientist/historian)*

**Imprint and design – Irma Liparteliani, Mary Barbakadze**

**Technical support – Lela Gugulashvili, Giorgi Babucashvili**

**Translators – Eka Dzigoeva, Lela Gogolidze, Grigol Giorgadze**

**JOURNAL CONSULTANTS:**

**Tornike Jebashvili** *(Deputy Director of Informational-analytical Department of the MoIA)*

**Davit Alaverdashvili** *(Deputy Head of the Archive Administration of the MoIA)*

**Oliver Reisner** *(PhD, European Commission Delegation to Georgia, historian)*

**Ronald Grigor Suny** *(Charles Tilly Collegiate Professor of Social and Political History, University of Michigan; Emeritus Professor, University of Chicago)*

**Timothy Blauvelt** (PhD, American Councils for International Education, political scientist/historian)

**Hans Gutbrod** *(PhD, Caucasus Research Resource Centers)*

**Vakhtang Guruli** *(Professor)*

**Giorgi Mamulia** *(Historian)*

**Giorgi Kldiashvili** *(Historian)*

**Levan Avalishvili** *(Historian)*


**© შსს არქივი**

# სარჩევი/Contents


**6-10** არქივი/ARCHIVE
არქივის ისტორია
From the History of the Archive

**11-13** ასე იწყებოდა
IT BEGAN IN THIS WAY…
არქივის პირველი საქმე: შაქარსა და მარილს შეწირული სიცოცხლე
The First File in the Archive: Lives devoted to Salt and Sugar

**15-18** გმირები/HEROES
კოტე აფხაზი: „ჩემი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს“
Kote Apkhazi - “My Death Will Bring Glory to Georgia”

**19** სული ამბოხებული
UNBENDING SPIRIT
შეფიცულების და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ექსკლუზიური ფოტო
Exclusive photo of Kakutsa Cholokashvili and his co-fighters (oath of fealties)

**20-23** რუსული ჩექმა და ქართული ეკლესია
RUSSIAN BOOTS AND THE GEORGIAN CHURCH
მასობრივად დახურული ეკლესია-მონასტრები და ქუჩაში გამოყრილი ბერ-მონაზვნები
The Total Closure of Churches and Monasteries and Expulsion of Monks onto the Streets

**24-25** მუმლი მუხასაო
THE BLACKFLY AND THE OAK
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას წერილი
Letter of Ambrosi Khelaia, the Patriarch of All Georgia

**26-36** ნაზრახი სიცოცხლე
A DISGRACED LIFE
ვინ იყო ქალი, რომელმაც ბერია დააჩოქა?
Who was the woman who made Mr. Beria kneel down?

**37-44** ტაბუ/TABOO
სანდრო ახმეტელის საქმე
The Akhmeteli Case

**45-49** მედლის ორი მხარე
TWO SIDES OF THE COIN
ნემსის წვერით გამოზრდილი ვაჟკაცი
“The Child Brought Up Thanks To Needle-Point”

**50** საბჭოთა პარადოქსები/SOVIET PARADOXES

**51-57** თულნი/ “TULNI”
შაქრო მოსულიშვილის დაჯგუფება თავზარს სცემდა მთელ კახეთს
Shakro Musulishvili’s Criminal Gang Terrorizes the Kakheti Region

**58-59** ჩვენი ტკივილი/OUR SORROW
თვითმფრინავის ბიჭები (ფოტოკოლაჟი)
The Airplane Boys (Photo montage)

**60-62** გახუნებული ბარათები / WORN OUT CARDS

**63-68** ჩვენი სტუმარი
OUR GUEST
ვახტანგ გურული: 1925 წლისთვის საბჭოთა კავშირში სიკვდილით 250 000 ღვთისმსახური დასაჯეს
Vakhtang Guruli: 250.000 Clergymen were executed in the Soviet Union in 1925

**69** უკომენტაროდ
NO COMMENTS
ხევსურების მიმართვა აშშ-ს პრეზიდენტისადმი, რომელიც 70 წლის დაგვიანებით მიუვიდა ადრესატს
Request of Khevsurety Representative to the Government of the USA

**70** სქოლიო
SCHOLIUM
„საარქივო მოამბეში“ გამოქვეყნებული მასალების წყაროები:
Sources of the Materials Published in the “Archival Bulletin”

The Archive Department of the Ministry of Internal Affairs of Georgia is publishing this journal, which is entirely based on archival materials. It should be emphasized that despite a fire that destroyed a large part of archive's holdings, numerous interesting documents and materials survived and are now stored in the archive and are awaiting publication. In addition, a great deal interesting materials are part of the Presidential Archive (the Archive of the Central Committee of the Communist Party of Georgia), which is now also part of the Archive Department of the Ministry of Internal Affairs.

Our purpose is to make public the files kept in the Presidential Archive and the archives of the Ministry of Internal Affairs and the Ministry of Security, and to deliver this information in a way that is useful and interesting to society.

Of course, we have no ambition at the present to produce academic articicles, but promise that the documentation provided in this journal will be new and interesting to read. We will try to avoid themes that are stale and trite, and will rather present the materials that were concealed for decades and which will provoke discussion and debate

We will introduce exclusive photos and document reproductions that are of the greatest historical importance for the nation.

Hence we are aiming for a specialized group of readers. We hope that the journal will be as valuable for historians and scholar as for the ordinary reader who is interested in Georgia's history..

Journal will be entitled the"Archival Bulletin", and by this means we will try to deliver to the reader the information kept in the Archive Department.

The" Archival Bulletin" will be issued quarterly, and it will consist of three sections: Section 1 will contain archival materials adapted for reading purposes; Section 2 will provide photographic materials without commentary; and Section 3 will provide reproductions of documents dealing with related issues and time periods.

The" Archival Bulletin" will include permanent headings that will make it easy for the reader find relevant materials. The" Archival Bulletin "will also invite a special guest commentator for each issue who will historically assesses the epoch and the facts introduced in that particular issue.

The" Archival Bulletin" will be issued in the Georgian and English languages and will be distributed abroad as well. The Editorial Board of the Archive Department expresses its gratitude to the Directorate of the Ministry of Internal Affairs of Georgia as well as to each of the structural subunits that have supported and helped us to establish the" Archival Bulletin".

შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს მიერ გამოიცა ჟურნალი, რომელიც აგებული გახლავთ საარქივო მასალებზე. უცხო არავისთვის იქნება, თუ ვიტყვით, რომ უშიშროების არქივში 1991 წლის დეკემბრის ხანძრის მიუხედავად, რომელმაც საარქივო მასალების დიდი რაოდენობა გაანადგურა, მაინც უამრავი საინტერესო მასალა თუ დოკუმენტაცია ინახება, რომელსაც ჯერჯერობით მზის შუქი არ უხილავს. ასევე საინტერესო მასალებია დავანებული შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პრეზიდენტის (ყოფილი პარტიული არქივი) არქივის საცავებზე.

ჩვენი მიზანიც საარქივო სამმართველოს სამ განყოფილებაში-უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების და პრეზიდენტის (ყოფილი პარტიული არქივი) არქივების საცავებში დაცული საქმეების საჯაროდ გამოტანა და საზოგადოებისთვის საინტერესო სახით მიწოდებაა.

არ გვაქვს იმის პრეტენზია, რომ მეცნიერულ ნაშრომებს წარმოგიდგენთ, თუმცა იქნება კარგად საკითხავი და სიახლე. არ შევეხებით გაცვეთილ და გადაღეჭილ თემებს, სწორედ ისეთ საქმეებს ავხდით ფარდას, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში ტაბუდადებული იყო და რომელთა შესახებაც ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს.

წარმოგიდგენთ ექსკლუზიურ ფოტოებსა და დოკუმენტებს, რომლებსაც ახლა უკვე უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს ერისთვის.

ჩვენ არ ვიქნებით ორიენტირებული მკითხველის რაღაც კონკრეტულ ჯგუფზე. ჟურნალი ღირებული იქნება როგორც ისტორიკოსებისა და მეცნიერი მუშაკებისთვის, ასევე უბრალო მკითხველისთვის, რომელსაც უყვარს თავის ქვეყნის ისტორია და აინტერესებს წარსული.

ჟურნალს „საარქივო მოამბე" ვუწოდეთ და შევეცდებით, მისი საშუალებით საარქივო სამმართველოში დაცული ბევრი საინტერესო მასალა მივიტანოთ მკითხველამდე.

„საარქივო მოამბე" სამ თვეში ერთხელ გამოვა და პირობითად სამი ნაწილისგან იქნება შემდგარი: 1) საარქივო საქმეები საკითხავად გადამუშავებული; 2) ფოტომასალები უკომენტაროდ და 3) დოკუმენტაციები, რომლებიც თავადვე ისაუბრებენ ეპოქასა და იმ პერიოდის წყობაზე.

ჟურნალს ექნება მუდმივი რუბრიკები, რაც გააადვილებს მკითხველს მისთვის საინტერესო თემების მოძიებას.

„საარქივო მოამბეს" ეყოლება ნომრის სტუმარი, რომელიც ისტორიულ შეფასებას მისცემს ჟურნალში წარმოდგენილ ეპოქასა და ფაქტებს.

„საარქივო მოამბე" ქართულ და ინგლისურ ენაზე გამოვა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც გავრცელდება.

ჟურნალის გამოცემაში გაწეული დახმარებისა და თანადგომისთვის საარქივო სამმართველოს სარედაქციო კოლეგია მადლობას ვუხდით შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას და ყველას იმ სტრუქტურულ დანაყოფს, რომელიც გვერდში დაგვიდგა და „საარქივო მოამბის" დაბადებას შეუწყო ხელი.

# არქივის ისტორია

## From the History of the Archive

ქეთევან სარსევანიძე

**KETEVAN SARSEVANIDZE**

**1921** წლის მარტში საქართველოს საგანგებო კომისიის („ჩეკა“) პრეზიდიუმის ბრძანებულებით შეიქმნა **საადრიცხვო-საარქივო განყოფილება,** რომელსაც დაევალა საგანგებო კომისიის მიერ გამოვლენილი ქვეყნის უამრავი „მტრისა“ და „საშიში ელემენტის“ შესახებ მაკომპრომეტირებელი მასალების თავმოყრა და შენახვა.

საადრიცხვო-საარქივო განყოფილება 30 საშტატო ერთეულით დაკომპლექტდა და პირველი საქმე, რომელიც რეგისტრაციაში იქნა გატარებული, იყო სისხლის სამართლის საქმე **რაჟდენ მალაქიას ძე მირიანაშვილისა** და სხვ. მიმართ. მათ ბრალად ედებოდათ საკვები პროდუქტის გადამალვა.

შვიდი განსასჯელიდან სამს – რ. მირიანაშვილს, პ. ნოვოსელცოვსა და ლ. აკოპჯანოვს – მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა. განაჩენი სისრულეში მეორე დღესვე იქნა მოყვანილი...

***

1921-1990 წწ. საქართველოს ყოფილი უშიშროების კომიტეტის („სუკი“) მე-10 განყოფილების საცავებში თავი მოიყარა 230 000 ერთეულმა.

მასალები ძალზე საჭირო და საინტერესო იყო ქვეყნის ავბედითი დღეებისა და ტრაგიკული პიროვნებების წარსულის გასაცოცხლებლად...

***

1991-1992 წწ. თბილისის ცნობილი მოვლენების დროს „სუკის“ ადმინისტრაციულ შენობას ხანძარი გაუჩნდა. ხანძრის შედეგად

In March 1921 on the basis of the Order by the Extraordinary Commission (the Cheka) of the Presidium an Archive Registration Unit was established. The Unit was obliged to collect and keep discrete materials on “dangerous elements” and “enemies” of the country that had been uncovered by the Cheka

The Archive-registration Unit was staffed with 30 salaried personnel, and the very first file that was registered was the criminal case against Razhden f/n Malakia Mirianashvili and others convicted for concealing foodstuffs.

Three persons among seven accused – R.Mirianashvili, P.Novoseltsev and L.Akopjanov – were sentenced to the death penalty. The punishment was carried out within 48 hours of the sentence.

***

Between 1921 and 1990, 230,000 files were gathered in the depository of the 10th Directorate of the former Committee for State Security (KGB) of Georgia. These materials have extremely useful and interesting for restoring that bitter and harsh era of the country’s history.

განადგურდა 210 000 საარქივო ერთეული, რაც ფონდის საერთო რაოდენობის 80%-ზე მეტი იყო. გადარჩენილი დოკუმენტები კი დასველებული და უმეტესწილად დაზიანებული იყო ხანძრის ჩასაქრობად გამოყენებული წყლის ჭავლით, ანალოგიურ ვითარებაში აღმოჩნდა შსს საარქივო ფონდიც.

სავალალო მდგომარეობაში აღმოჩენილი საარქივო საქმეები (დაახლ. 20 000 ერთეული) 1992 წლის 9-14 იანვარს დროებით განთავსდა საქართველოს სახელმწიფო არქივის შენობის სარდაფში.

სარდაფში დაყრილი დოკუმენტური საქმეები კიდევ უფრო დაზიანდა. მათ სასწრაფოდ შველა სჭირდებოდა...

1995 წ. აპრილ-მაისში სახელმწიფო არქივში ხანძრის საშიშროების გამო უშიშროების სამინისტროს იმჟამინდელმა ხელმძღვანელობამ

***

In the course of the violent events in Tbilisi in the winter of 1991-92, the administrative building of the KGB caught fire, as a result of which 210,000 archive files were destroyed, amounting to 80% of all the material in the depository. The documents that survived were soggy, most of them suffered water damage from the efforts to put out the fire. The archive of the Ministry of Internal Affairs was in the similar condition.

The archival files (approximately 20,000 units), most in poor condition, were provisionally placed in the cellar of the building of the State Archive of

სსსრ რევკომის ბრძანება

**Revolutionary Committee's Order of the Soviet Union**



ბრძანება № 2

ПРИКАЗ № 2
РЕВОЛЮЦИОННОГО КОМИТЕТА
С. С. Р. ГРУЗИИ.

§ 1. В целях борьбы с контр-революцией, а также со спекуляцией и саботажем как в гор. Тифлисе так и на территории Советской Грузии, Революционный Комитет С. С. Республики Грузии на основании постановления от 25 февраля организует Чрезвычайно-следственную Комиссию Грузии по борьбе с контр-революцией, саботажем и преступлениями по должности.

§ 2. Председателем Чрезвычайной Комиссии Грузии временно назначается член Ревкома Грузии тов. Георгий Елисабедашвили, которому поручается в срочном порядке технически организовать Чрезвычайную Комиссию.

§ 3. Ревком С. С. Р. Грузии предупреждает население города Тифлиса, а также всех граждан Советской Грузии, что со всякими проявлениями контр-революционного характера, саботажа и спекуляции будет вестись беспощадная борьба.

§ 4. Все аресты и обыски в городе на квартирах могут производиться только с ведома и разрешения Чрезвычайной Комиссии по особому ордеру за подписью Председателя Чрезвычайной Комиссии.

§ 5. Всякого рода самочинные обыски и аресты без надлежащих вышеуказанных документов будут в корне пресекаться и лица учинившие таковые будут подвергаться наказаниям согласно законам революционного времени.

§ 6. О всех случаях самочинных обысков и арестов, а также несогласованных с § 4 надлежит немедленно сообщать в Чрезвычайную Комиссию.

Предревкома Грузии [illegible]

Секретарь [illegible]

26 февраля. 1921 г.
Тифлис.
[illegible]



Протокол № 1
Заседания Революционного Комитета С. Сов. Республики Грузии
25 февраля 1921 г.
Председатель [illegible]
Члены: [illegible]
Секретарь [illegible]
Слушали: 1. об организации Чрезвычайной Комиссии Грузии и о назначении председателя Комиссии
Постановили: Немедленно приступить ко организации ЧК и временным председателем назначить т. Г. Елисабедашвили





Georgia on January 9-14, 1992. The files suffered even more damage from being stored in the cellar, and their rescue became an urgent matter.

In April and May of 1995 because of the danger of fire, the Directory of the Ministry of State Security provided space for the materials in the "Moduli" scientific-technical center. Preparation work for accommodating the archive materials was carried out in this emergency situation. The time factor was extremely important: restoration work had to be completed very quickly. The lack of material resources for this task made the situation even more complicated. For these reasons the materials were delivered in unsatisfactory conditions. The materials that had been temporarily stored in the cellar of the State Archive were thus rapidly moved to a new storage facility, but with no protective mechanisms in place: the materials were simply tossed onto the floor in the new facility.

The archival materials were badly damaged and needed restoration and trusteeship. The Directorate of the Ministry of State Security of Georgia was well aware of the situation, but there was no action taken…

სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ „მოდულის“ შენობაში გამოყო დარბაზი. საარქივო მასალის განსათავსებელად მოსამზადებელი სამუშაოები საგანგებო ვითარებაში ჩატარდა. არსებითი იყო დროის ფაქტორი: რაც შეიძლება სწრაფად უნდა დამთავრებულიყო რემონტი. ამას ემატებოდა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ნაკლებობა... და საცავი არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში ჩაბარდა.

სახელმწიფო არქივის სარდაფიდან ყოველგვარი დამცავი მექანიზმების გარეშე, სასწრაფოდ მოხდა დროებით თავშეფარებული მასალის ახალ საცავში გადმოტანა და... დაყრა.

სერიოზულად დაზიანებული საარქივო დოკუმენტების გადასარჩენად გულისხმიერი რესტავრაცია და მზრუნველობა იყო საჭირო. ამ ფაქტით საქართველოს უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობა არაერთხელ იყო ინფორმირებული, მაგრამ უშედეგოდ...

***

After 2004 a new era began, and the conditions of the archive depository started to improve. The joining of Archive Department with the Ministry of Internal Affairs in 2005 and the combining of the archival materials was especially important. Archive personnel and invited specialists began work on

***

2004 წლიდან დაიწყო ახალი ეტაპი და დაიწყო პოზიტიური ძვრები საარქივო საცავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2005 წ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო განყოფილებასთან გაერთიანება და მათი საარქივო დოკუმენტებით ფონდის შევსება.

გარდა ამისა, მოწვეულ სპეციალისტთა და არქივის თანამშრომელთა მიერ დაიწყო განადგურების პირას მისული მასალების ინტენსიური და პერმანენტული აღდგენა-რესტავრაცია: იატაკზე დაყრილი, დაფლეთილი ყუთებიდან საკმაოდ შელახული დოკუმენტები სარესტავრაციო მაგიდაზე სათითაოდ, საგულდაგულოდ გასუფთავდა, ზედმეტი და დაზიანებული შემოგარენი ჩამოეჭრა, დახეული ადგილები დაეწება, აღგენილი ფურცლები სათანადო თანმიმდევრობით დალაგდა, ყდა გაუკეთდა და შეიკერა.

საგულდაგულოდ და რუდუნებით დამუშავებული საარქივო საქმე, ახალი სარეგისტრაციო ნომრის მინიჭების შემდეგ, სპეციალურ ყუთში მოთავსდა და მკაცრად განსაზღვრულ ადგილზე დროებით დაიდო.

საარქივო დოკუმენტები ისევ დროებით დალაგდა, რადგან საცავს სასწრაფოდ სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები სჭირდება, აუცილებელია საცავისათვის საჭირო ელემენტარული პირობების შექმნა. სასწრაფოდ უნდა გაკეთდეს სტელაჟები, რადგან რესტავრირებული საქმეები კვლავ იატაკზე აწყვია. ასევე სასწრაფოდ მოსაწესრიგებელია ტემპერატურული რეჟიმი და სანიტარული ნორმები.

ბოლო ხანს კიდევ ერთი, მეტად მნიშნელოვანი მოვლენა მოხდა შსს საარქივო სამმართველოს ცხოვრებაში: საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 5 აპრილის №150

intensive and permanent restoration of the materials that had nearly been destroyed: damaged documents were taken out of their flimsy boxes and were carefully cleaned one by one; damaged and extra pieces were cut off, and torn pages were glued. The restored papers put in order and appropriate covers were made for them.







განკარგულებით შსს საარქივო სამმართველოს გადმოეცა საქართველოს პრეზიდენტის (ყოფილი პარტიული არქივი) არქივი.

მანამდე პრეზიდენტის (ყოფილი პარტიული არქივი) არქივი არსებობისა თუ განადგურების ზღვარზე იდგა. ჩვენი ქვეყნის პარტიული წარსულის აღმნუსხველი ისტორიული ფასეულობების საკითხი ღიად რჩებოდა – ან უნდა განადგურებულიყო, ან პატრონი გამოსჩენოდა და ახალ ადგილზე დაებინავებინა...

...და მაშინ, როდესაც ყოფილ პარტარქივს სასწრაფოდ პატრონი სჭირდებოდა... შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის მხარდაჭერითა და მათი მტკიცე თანადგომით, მას მზრუნველი, შსს სამინისტროს საარქივო სამმართველოს სახით, გამოუჩნდა. სასწრაფოდ



მოიძებნა საცავის განსათავსებელი ფართი და დასაღუპავად გამეტებული პრეზიდენტის (ყოფილი პარტიული არქივი) არქივის 2,5 მლნ ერთეული იქ განთავსდა.

...და არქივიც გადარჩა.

მრავალ საკვანძო საკითხებთან ერთად შსს საარქივო სამმართველოს საქმიანობაში ერთ-ერთი პრეროგატივაა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მასობრივად და ხელაღებით რეპრესირებულ პირთა შესახებ ინფორმაციის მოძიება და შესაბამისი ცნობების გაცემა, რის საფუძველზეც, სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, მცირედი საპენსიო თანხა და შეღავათები ოდნავ მაინც უმსუბუქებს მათ მემკვიდრეებს წარსულის მძიმე ხვედრს.

The carefully restored archival files were placed in special boxes and assigned precise identification number. Thus the archive materials have been put in order, but still only temporarily, as the depositary needs urgent reconstruction and repair. Elementary conditions are essential. The shelving must be promptly prepared as some restored cases are still kept on the floor; temperature regime and sanitarian procedures must be regulated as well. A statement of purpose and blueprints have been prepared.

One more very important event occurred recently in the life of Archive Department of the MoIA: According to the Direction #150 of the President of Georgia on April 5, 2007, Georgia the Presidential Archive of Georgia was delivered to the Archive Department of the MoIA. This archive also faced potential destruction. At precisely that time when this archive of the former Central Committee of the Communist party urgently needed a patron, the Archive Department of Ministry of Internal Affairs of Georgia was ready to provide support and assistance. Space for accommodation of the Central Committee archive – doomed to desolation – was immediately found and 2.5 million archival files were placed there. Thus the Central Committee archive was rescued again.

One of the priority activities conducted by the Archive Department of the MoIA is searching for key information and providing certificates for persons who were subject to unjustified repression. These certificates help in court rulings which then assign victims or their heirs some small pensions and other benefits – but a slight alleviation for the hardships suffered.

# არქივის პირველი საქმე: შაქარსა და მარილს შეწირული სიცოცხლე

# The First File in the Archive: Lives devoted to Salt and Sugar

ნინო ყიფშიძე
NINO KIPSHIDZE

საბჭოთა ხელისუფლების დროს „ჩეკას“ (საქართველოს საგანგებო კომისია) სხდომის ოქმები იწერებოდა და შემდეგ ეს ოქმები გადაეცემოდა არქივს. სწორედ ამ ოქმებიდან ვლინდება, რომ ერთ-ერთი პირველი საქმე, რომელმაც არქივში დაიდო ბინა, 1921 წლით თარიღდება და ვაჭრების ბოროტი სპეკულაციის ბრალდებით დაპატიმრებასა და დახვრეტას ეხება. ამ საქმეს პირობითად „მირიანაშვილების საქმე“ შეიძლება ეწოდოს, რადგან აღნიშნული ბრალდებით პირველად სწორედ ძმები **მირიანაშვილები** დააპატიმრეს. საარქივო მასალების ისტორიის ათვლაც სწორედ 1921 წლის „მირიანაშვილების“ საქმიდან შეიძლება დაიწყოს.

1921 წლის 22 მარტს საქართველოს საგანგებო კომისიამ სპეკულაციის აღკვეთის მიზნით გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვით ყველა ვაჭარი ვალდებული იყო, სამ დღეში დახლებზე გამოეტანა ის საქონელი, რომელიც საწყობებში ჰქონდათ გადანახული, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სასჯელის უმაღლესი ზომა-დახვრეტა და მთელი ქონების კონფისკაცია ელოდათ.

მკაცრი ბრძანების მიუხედავად დახლებზე პირველადი მოხმარების პროდუქტები მაინც არ გამოჩნდა, რის გამოც საგანგებო კომისია უკვე მოქმედებაზე გადავიდა და 27 მარტის დილიდან სავაჭრო ობიექტების შემოვლა-შემოწმება დაიწყო.

კომისია ჯარისკაცების ბაზარში, ძმები მირიანაშვილების მაღაზიაში შევიდა. კომისიის წევრებმა წარადგინეს ჩხრეკის ორდერი, საქმეს შეუდგნენ და გადამალული საქონელიც აღმოაჩინეს. ღვინის სარდაფში

In the early Soviet period, minutes drawn up during the sessions of the Cheka – the so-called “Extraordinary Committee” or ChK – were usually transferred to the Archive. These minutes show that one of the earliest files contained there, from the year 1921, concerned the arrest and shooting of merchants for speculation. This file may be referred to as “the Mirianashvili Affair,” since the Mirianashvili brothers were the first to be arrested on this charge. Consequently, we can consider the the history of the Archive’s materials to begin from the date of the Mirianashvili case in 1921.

On March 22, 1921, the Georgian Cheka issued an order with the goal of preventing speculation. According to this order, every merchant was obliged to bring out goods concealed in storage to the stores within three days, otherwise they would be shot. The punishment would also include confiscation of all property belonging to those accused.

In spite of this severe order, few commodities were brought out to the stores. As a result, the Cheka decided to undertake forceful measures, and on March 27 it began conducting raids and inspections of trading centers.

One business that was raided was a military goods shop owned by the Mirianashvili brothers. The Cheka officers presented a warrant for the search,







вина, и принимая ю внима...
что МИРИНАШВИЛИ крупны...
делец и спекулянт, котор...
до вступления Соввласти в
Грузию все время был круп-
ным спекулянтом - торгующ...
свининной, салом с винным и
молочными продуктами, а со
дня вступления Соввласти
прекратил всякий ввоз и тор-
говлю означенными явно с
умышленной целью и руковод-
ствуясь приказом Ч.К. № 2
от 22/III с/г. применить вы-
сшую меру наказания - РАС-
СТРЕЛЯТЬ. Имущество конфис-
ковать, дело прекратить;

**პირველი საქმის მასალები**

**Papers of the first case**

and they found the following concealed commodities: wine, 35 boxes of salt, 12 boxes of ham, 7 boxes of cheese, and other goods. They sealed the shop and arrested the brothers for failing to obey the law and concealing commodities. The elder brother, 52 year-old Razhden Mirianashvili, bore the primary responsibility under this harsh law since he was the principal manager of the business.

The Mirianashvilis asserted to investigators that they had not imported goods since the installation of the Soviet government, and that the commodities found by the Cheka were intended for the needs of their large family. The Cheka dismissed these assertions, and consequently the elder brother Razhden was sentenced to be shot, while younger brothers Giorgi and Levan were imprisoned.

In its attempts to prevent speculation, the Cheka raided many more shops and trading centers. A raid was conducted on the basis of a search warrant in Petre Naumenko`s candy shop on Golovin Avenue, Tbilisi's central prospect. Storage sacks of wheat, sugar and honey were found in the shop, serving as a perfect pretext to arrest the owner. Naumenko, however, was lucky enough to avoid the death penalty, unlike another accused, Noveseltsev, who was arrested on the same charge. Various kinds of goods were found in Noveseltsev`s cellar, including Swiss cheese, butter, salt, sugar, and soap. The investigators accused him of speculation, and he was sentenced to be shot. The same fate was shared by still another merchant, Lazare Akopjanov, who was

კასრებით ღვინო, 35 ყუთი მარილი, 12 ყუთი ღორის ლორი, 7 ყუთი ყველი და კიდევ სხვადასხვა სახეობის პროდუქტი ინახებოდა. კომისიამ მაღაზია დალუქა და ძმები კანონის დაუმორჩილებლობისა და საქონლის გადამალვის გამო დააპატიმრეს. უფროსი ძმა **რაჟდენ მირიანაშვილი** 52 წლის იყო

და, როგორც უფროსსა და საქმის ძირითად წარმმართველს, კანონის მთელი სიმძიმე მას დააწვა.

მართალია, ძმები მირიანაშვილები გამოძიებას უმტკიცებდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ვაჭრობა შევწყვიტეთ და აღარც საქონელი შემოგვიტანია, ხოლო ის, რაც კომისიამ აღმოაჩინა, ჩვენი მრავალრიცხოვანი ოჯახის საჭიროებისთვის გვქონდა გადანახული. გამოძიებამ ეს მტკიცებულება სარწმუნოდ არ მიიჩნია, რის გამოც რაჟდენს დახვრეტა მიუსაჯა, ხოლო ლევან და გიორგი მირიანაშვილებს – პატიმრობა.

სპეკულაციის აღკვეთის მიზნით სპეციალური კომისია კიდევ არაერთ მაღაზიასა და სავაჭრო დაწესებულებაში შევიდა. ორდერის საფუძველზე შემოწმება ჩატარდა გოლოვინის პროსპექტზე მდებარე **პეტრე ნაუმენკოს** საშაქარლამოშიც. საწყობში ფუთობით ფქვილი, შაქარი და თაფლი აღმოაჩინეს, რაც მფლობელების დაპატიმრების მიზეზი გახდა. ნაუმენკო სასჯელის უმაღლეს ზომას – დახვრეტას გადაურჩა, რასაც ვერ ვიტყვით ამავე მოტივით დაპატიმრებულ კიდევ ერთ ბრალდებულ **ნოვოსელცევზე**, რომელსაც სახლის სარდაფში აღმოუჩინეს დიდი რაოდენობის სხვადასხვა საქონელი: შვეიცარიული ყველი, კარაქი, მარილი, შაქარი, საპონი. გამოძიებამ მას ბოროტ სპეკულაციაში დასდო ბრალი და დახვრეტაც მიუსაჯა.

იგივე ბედი გაიზიარა კიდევ ერთმა მოვაჭრე **ლაზარე აკოპჯანოვმა**, რომლის დახვრეტის მიზეზიც 1 ფუთი შაქრის, 3 ფუთი საპნის, 44 წყვილი წინდის, 40 ცალი სანთლის, 8 წყვილი ქალის ფეხსაცმლის გადამალვა გახდა.

ლაზარე აკოპჯანოვის საქმეში ვკითხულობთ: აკოპჯანოვს, როგორც პირველი გილდიის ვაჭარს, რომელმაც გადამალა საქონელი, მიესაჯოს კანონის უმაღლესი ზომა - დახვრეტა, მისი ქონება კონფისკირებულ იქნას, ხოლო საქმე ჩაითვალოს დახურულად და გადაეცეს არქივს.

საბჭოთა ხელისუფლება სპეკულაციის აღკვეთის მიზნით მსგავს რადიკალურ ნაბიჯებსა და გადაწყვეტილებებს არ ერიდებოდა, ამიტომაც იმ პერიოდში უამრავი ვაჭარი იქნა დახვრეტილი, დაპატიმრებული და საერთოდ ჩამოშორებული სავაჭრო საქმიანობას. მოვაჭრეების დახვრეტა დანარჩენების დასაშინებლად იყო მიმართული და მასობრივ ტერორს ისახავდა მიზნად.

convicted of concealing one pack of sugar, 3 boxes of soap, 44 pairs of socks, 40 candles, and 8 pairs of women shoes. In the Akopjanov case, the conclusion found in the file reads as follows: “Akopjanov, as a merchant of a first class guild, having concealed goods, shall be sentenced to shooting; his property shall be confiscated and the case shall be closed and transferred to the archive.”

The Soviet government showed no scruples in resorting to the harshest measures to prevent speculation. As a result, very many merchants were shot or forced to relinquish their commercial activity. The shooting of these merchants was aimed at intimidating others, and it served as part of the spreading large-scale terror in Georgia.

**რაჟდენ მირიანაშვილის ოჯახის წევრების წერილი**
**Letters of Razhden Mirianashvili`s family members**







დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი.


საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელი მთავრობა.

**დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი.**
**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა**

**Presidium of the Constituent Assembly.**
**Government of the Democratic Republic of Georgia**

# კოტე აფხაზი: „ჩემი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს“

# Kote Apkhazi – “My Death Will Bring Glory to Georgia”

ნინო ყიფშიძე

NINO KIPSHIDZE

**„შეთქმულების ორგანიზაციის შექმნის გამო, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ, ბანდიტიზმისა და შპიონიზმის ბრალდებით კონსტანტინე აფხაზს, რომელიც აღიარებს შეირაღებული აჯანყების ორგანიზებაში მონაწილეობას, მიესაჯოს დახვრეტა და განაჩენი სისრულეში მოყვანილ იქნას ოცდაოთხი საათის განმავლობაში**“. - ასეთი განაჩენი გამოუტანა გენერალ **კოტე აფხაზს** 1923 წლის მაისში „ჩეკამ“. სპეციალური კომისიის შემადგენლობაში, რომელმაც  გენერალ აფხაზს დახვრეტა მიუსაჯა – **მოგილევსკი, პანკრატო, ზონოვი, მახნოვსკი, ეპიფანე კვანტალიანი, ორახველიძე, შალვა ელიავა, ლავრენტი ბერია და ლომინაძე** შედიოდნენ.

კონსტანტინე აფხაზმა დიდი წვლილი შეიტანა **ივანე ჯავახიშვილთან** ერთად საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში. მის სახელს უკავშირდება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და ქართული ეროვნული არმიის შექმნა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტი იყო თავისუფლებაახალმოპოვებული საქართველოსთვის.

ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტსაც, რომელიც ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 26 მაისს მიიღო, სხვებთან ერთად ხელს სწორედ კოტე აფხაზი აწერდა.

დამოუკიდებელმა საქართველომ მხოლოდ სამი წელი იარსება. შემდეგ კი ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებლობა და ქართველმა მამულიშვილებმა კვლავ დაიწყეს ბრძოლა ქვეყნის გასათავისუფლებლად. კოტე აფხაზი ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ ამ ბრძოლაში.

1921 წლის ბოლოსთვის იქმნება ერთიანი სამხედრო ცენტრი, რომელშიც შედიოდნენ მენშევიკებიდან და მემარჯვენე ფედერალისტებიდან გენერალი **ვარდენ**

“Konstantine Apkhazi, accused of plotting against the state, banditry, and espionage directed against the authorities of the Soviet Republic of Georgia, and who admits participation in organizing an armed rebellion, is hereby convicted and sentenced to death, with the punishment to be carried out in the next 24 hours.”

Such was the guilty verdict delivered by the Cheka (ChK) against Kote Apkhazi in May 1923. The Cheka tribunal that convicted General Kote Apkhazi to death included the following: Mogilevski, Pankrato, Zonov, Makhnovski, Kvantaliani, Orakhvelidze, Eliava, Beridze, Lominadze, and others.

Konstantine (“Kote”) Apkhazi, together with Ivane Javakhishvili, made an enormous contribution to the foundation of Tbilisi State University in Georgia. His name is also associated with the restoration of the autocephalous status of the Georgian Church and the foundation of the Georgian army that was crucial in the ultimately doomed attempt to defend the newly acquired freedom of the Georgian Democratic Republic.

Kote Apkhazi was also among the signees of the Independence Act of Georgia that was adopted by the National Council on 26 May, 1918.

Independent Georgia was short-lived, lasting only three years. But after the Georgian state lost its independence, Georgian patriots carried on the struggle for its liberation. Kote Apkhazi was among the most outstanding leaders of this liberation movement following Bolshevik Russia’s occupation of Georgia.

**წულუკიძე** და ნაციონალ-დემოკრატებიდან კოტე აფხაზი. პირველ ეტაპზე სამხედრო ცენტრის დანიშნულება გახლდათ საქართველოს ყველა კუთხეში მსგავსი პატარ-პატარა ცენტრების შექმნა, რომელიც ერთიანი სამხედრო ცენტრისგან გაკონტროლდებოდა.

სამხედრო ცენტრმა მალე მთელი საქართველო მოიცვა. ცენტრის ყველაზე დიდი ფილიალი ბათუმში მდებარეობდა, რომელსაც გენერალი **გიორგი მაზნიაშვილი** ხელმძღვანელობდა.

ამ ცენტრს საერთო სახალხო აჯანყების ორგანიზება უნდა გაეწია. თუმცა ერთიანობა ხშირ შემთხვევაში მიუღწეველი იყო და ცენტრშიც კი აზრთა სხვადასხვაობა სუფევდა.

ცენტრს სურდა კავშირის დამყარება მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთთან, თუმცა ეს შეუძლებელი გახდა.

1922 წელს პირველად **სპირიდონ კედია,** შემდეგ კი **ასათიანი** დააპატიმრეს.

პოლიტიკური ცენტრი, რომელშიც უკვე პარიტეტული კომიტეტიც მოიაზრებოდა და ხშირად განმათავისუფლებელ კომიტეტსაც უწოდებდნენ, საბოლოოდ 1922 წლის სექტემბრის სხდომაზე გაფორმდა, რომელიც ნარიყალიძის ბინაში მიმდინარეობდა. სხდომას ესწრებოდნენ **ვარდენ წულუკიძე, კოტე აფხაზი, როსტომ მუსხელიშვილი, იოსებ გედევანიშვილი, ნარიყალიძე და ალექსანდრე ანდრონიკაშვილი.**

პარიტეტული კომიტეტი ხუთი პარტიისგან შედგებოდა: ნაციონალ დემოკრატები, მენშევიკები, სოციალისტ-ფედერალისტები, „სხივისტები“ და სოციალ-რევოლუციონერები.

მათ შორის ჩამოყალიბდა შემდეგი შეთანხმება:

**1) პარიტეტული კომიტეტი უნდა შემდგარიყო ხუთივე პარტიის თითო-თითო წარმომადგენლისაგან.**

**2) ყველა პრობლემა შეთანხმებულად უნდა გადაწყვეტილიყო. პარტიებს დამოუკიდებლად მოქმედება ეკრძალებოდათ. პარიტეტული კომიტეტი ვალდებული იყო შეეთანხმებინა მათი მოქმედება;**

**3) საზღვარგარეთ მყოფი ყოფილი ხელისუფლებისთვის დირექტივები პარიტეტულ კომიტეტს უნდა მიეცა და მათი ყოველი მოქმედებაც შეთანხმებული უნდა ყოფილიყო.**

**4) არსებული თანხები, რომელიც საზღვარგარეთ ჰქონდათ, საერთო მიზნებს უნდა მოხმარებოდა.**

**5) ბოლშევიკების საქართველოდან განდევნის შემდეგ, რაშიც აბსოლუტურად იყვნენ**

A Joint Military Center was set up at the end of 1921 that included General **Varden Tsulukidze** representing the Mensheviks and the Federalist Rightists, and **Kote Apkhazi** from the National Democrats. Initially, the Joint Military Center aimed at organizing and supervising similar small centers throughout Georgia.

Soon the jurisdiction of the Joint Military Center covered the whole country. The largest branch of the Center was located in Batumi, and was headed by **General Giorgi Mazniashvili.**

The Center was to arrange demonstrations and a nation-wide public rebellion. Unity was in many cases unattainable, however, and discrepancies were observed in the timing of the rebellion's launch.

The Center attempted to establish contacts in neighboring Azerbaijan and Armenia, but that turned out to be impossible.

In 1922 Spiridon Kedia was among the first to be arrested, and then Sosipatre Asatiani.

A "Political Center," which also contained a "Parity Committee" that was frequently also referred to as a "Liberation Committee," was formed at a session conducted in the apartment of Narikalidze in September 1922. Kote Apkhazi attended this session, as did Varden Tsulukidze, Muskhelishvili, Ioseb Gedevanishvili, Narikalidze, and Andronikashvili.

The Parity Committee included representatives of five political parties: the National Democrats, the Mensheviks, the Social-Federalists, the "Skhivists," and the Social Revolutionaries. They agreed on the following terms:

1. The parity committee was to include one representative of all five parties involved;
2. All problems were to be settled unanimously. The parties were banned from acting separately. The Parity Committee was to coordinate activities.
3. Prevailing funds that were available abroad were to be spent for general purposes.
4. After driving out the Bolsheviks, the inevitability of which the leaders of the rebellion were convinced, the Committee would be assigned to rule the country before the restoration of legally elected authorities.



კოტე აფხაზი
Kote Apkhazi

**დარწმუნებულები აჯანყების მოთავეები, კანონიერი ხელისუფლების დაბრუნებამდე ქვეყნის მართვა სწორედ კომიტეტს ევალებოდა.**

ამ პუნქტების შეთანხმებაში მონაწილეობას იღებდნენ ციხიდან კედია და ასათიანი.

1922 წელს ხევსურეთში **ქაქუცა ჩოლოყაშვილისა** და კოტე აფხაზის მეთაურობით მოეწყო აჯანყება. მართალია, რუსეთის ჯარმა აჯანყება ჩაახშო, მაგრამ თავადაც სერიოზული ზარალი განიცადა. ეს იყო სტარტი ერთიანი ეროვნული ამბოხებისა და ქართველი ერის გამოფხიზლებისა. ყველა კარგად ხვდებოდა, უკან დახევა დამღუპველი იყო და ამიტომ ახალი შემართებითა და ერთიანი ძალებით აპირებდნენ ამბოხს.

გადაწყდა, პირველ რიგში თბილისი დაეკავებინათ და განედევნათ რუსის ჯარი. საჭიროების შემთხვევაში კახეთიდან დაიხმარდნენ ძალებს.

თუმცა მანამდე, რამდენიმე თვის განმავლობაში, ქვეყანაში სიწყნარე იყო. „ჩეკა" დიდხანს ეძებდა აჯანყების ხელმძღვანელებს და გამცემის დახმარებით მიაგნო კიდეც. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრმა **კოტე მისაბიშვილმა** სამხედრო ცენტრის მთელი შემადგენლობა გასცა.

1923 წლის თებერვალში დააპატიმრეს კოტე აფხაზი და მასთან ერთად კიდევ სამხედრო ცენტრის თოთხმეტი წევრი: **ა. ანდრონიკაშვილი,**

Kedia and Asatiani participated in the elaboration of these terms from prison.

In 1922 a rebellion lead by **Kakutsa Cholokashvili** and Kote Apkhazi was staged in the Khevsureti region. Although the Russian army quelled the rebellion, it sustained heavy losses in doing so. That served as a beginning of a national revolt and an awaking for Georgians. It was obvious to everyone that they would lose the fight if they retreated, so therefore they decided to launch the uprising with a renewed and unified strength.

It was decided first of all to occupy Tbilisi and force out the Russian troops deployed there. If needed, reinforcements could be sent from the Kakheti region.

However, for the several preceding months all was calm in the country. The Cheka had long been looking for the leaders of the rebellion, and they found the trail by means of traitor. K. Misabishvili, a member of the Students' Committee of the National Democratic Party, betrayed the entire composition of the Military Center.

**Kote Apkhazi,** along with 14 members of the Military Center, **A. Andronikashvili, V. Tsulukidze, G. Khimshiashvili, El. Gulisashvili,**

**ვ. წულუკიძე, რ. მუსხელიშვილი, გ. ხიმშიაშვილი, ე. გულისაშვილი, ა. მაჭავარიანი, დ. ჩრდილელი, ს. მუხრანბატონიშვილი, ფ. ყარალაშვილი, ლ. კლიმიაშვილი, მ. ზანდუკელი, ი. კერესელიძე, ს. ჭიაბრიშვილი, ი. ქუთათელაძე.**

საშინლად აწამეს ტუსაღები, მაგრამ ვერც ერთს ვერაფერი წამოაცდევინეს...

გადაწყდა სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა და განაჩენიც სისრულეში იქნა მოყვანილი. კოტე აფხაზთან ერთად თოთხმეტივე პატიმარი 19 მაისს თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე დახვრიტეს.

**„მე ვკვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი საქართველოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა. ჩემი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს!“** – ეს სიტყვები შეუძახია გენერალ კოტე აფხაზს დახვრეტის წინ და სიკვდილსაც ისე გმირულად შეხვედრია, როგორც იცოცხლა.

**Al. Matchavariani, Dimitri Chrdileli, Simon Mukhran-Batonishvili, P. Karalashvili, L. Klimiashvili, M. Zandukeli, I. Kereselidze, S. Tchiaberashvili, and Ivane Kutateladze**, were detained in February, 1923.

The detainees were brutally tortured, but none of them betrayed their comrades.

The verdict – the harshest measure of punishment, death by shooting – was carried out, and Kote Apkhazi and the other fourteen arrestees were shot near Vake Park.

"I meet death happily, as through luck it has fallen to me to sacrifice myself for the cause of Georgia. My death will bring glory to Georgia!" Kote Apkhazi was quoted as saying before he was shot. He confronted his death as heroically as he lived his live.



45

ВЫПИСКА ИЗ ПРОТОКОЛА № 19 от 19-го Мая 1923 года.
Расширеннаго Заседания Коллегий Закавказской и Грузинской Чрезвычайных Комиссии.
Под председательством Предзакчк т. МОГИЛЕВСКАГО.
Присутствовали: т.т. ПАНКРАТОВ, ЗОНОВ, МАХНОВСКИЙ, НИКОЛАЕВ, КВАНТАЛИАНИ, БЕРИЯ, МИКЕЛАДЗЕ, ЭЛИАВА, ОРАХЕЛАШВИЛИ и ЛОМИНАДЗЕ.

| Слушали: | Постановили: |
|---|---|
| Докладчик тов. АШУКИН: I - Дело военной организации анти-советских партий, по обвинению: 5/ АБХАЗИ Константина Николаевича, 55 лет, с высшим образованием, б. князя, б. генерала - б. предводителя дворянства, председателя ЦК Грузинской и Н.Д. Партии.- | I - За организацию заговора против Сов власти Грузии, создание бандитскаго движения в Грузии и участие в нем, шпионаж в пользу Антанты, предательство и измену Рабоче-Крестьянскому Государству - ПОСТАНОВЛЕНО: 5/ АБХАЗИ Константина Николаевича, 55 л с высшим образованием, б. князя, б. генерала - б. предводителя дворянства, председателя ЦК Грузинской Н.-Д Партии. Вошел в Н.Ц. и участвовал в руководстве подготовкой к возстанию против Соввласти в Грузии, при обсуждении в ЦК Н.Д. вопроса о возстании голосовал, по собственному признанию, за немедленно вооруженное возстание - РАССТРЕЛЯТЬ Приговор привести в испол. в 24 час. сро |

Подлинный за надлежащими подписями.

ВЫПИСКА ВЕРНА:

НАЧРЕГОТДЕЛЕНИЯ ЗЧК [signature] / МАЙСОВ/

კოტე აფხაზის დახვრეტის დადგენილება

**Resolution sentencing Kote Apkhazi to death**

„წმინდაა იგი, ვისაც ეღირსება მამულისათვის თავის დადება!“

“A SAINT IS ONE FOR WHOM SACRIFICE FOR THE CAUSE OF THE HOMELAND BECOMES WORTHWHILE”



ქაქუცა ჩოლოყაშვილი
Qaqutsa Cholokashvili



შეფიცულები
Oath of Fealty

# მასობრივად დახურული ეკლესია-მონასტრები და ქუჩაში გამოყრილი ბერ-მონაზვნები

# The Total Closure of Churches and Monasteries and Expulsion of Monks onto the Streets

ნინო ყიფშიძე

NINO KIPSHIDZE

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ ბოლშევიკური რუსეთი მაქსიმალურად შეეცადა, ქართველი ერი საბოლოოდ დაემონებინა. ამ მიზნით სარწმუნოებასა და ეკლესიასაც შეეხო, ჯერ ეკლესია მონასტრები დახურა, მღვდლები და მონაზვნები მონასტრებიდან გამორეკა, ღვთისმსახურება აკრძალა, შემდეგ კი ტაძრების განადგურებაზე გადავიდა. 1921 წლიდან ეკლესიების მასობრივი დახურვა დაიწყო, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ერთმანეთის მიყოლებით მისდგნენ ეკლესიებს.

საბჭოთა რუსეთისთვის სულ ერთი იყო ეკლესია-მონასტრები მიუვალ მთებში მდებარეობდა, თუ ქალაქებისა და სოფლების ცენტრში, ყველგან ერთნაირი შემართებით ანადგურებდნენ.

XI საუკუნის მღვიმის დედათა მონასტერი ჭიათურიდან სამი ვერსის დაშორებით, უგზო და მიუვალ კლდეში მდებარეობდა. მონასტრის სენაკები უვარგის ხის შენობებს წარმოადგენდნენ. მის საკუთრებაში შედიოდა წისქვილთან ერთად მცირედი სახნავ-სათესი ადგილი და შავქვიანი მიწები სოფლად. თუმცა საბჭოთა ხელისუფლებას მონასტრების ქონება ნაკლებად აინტერესებდა, მთავარი ეკლესია-მონასტრების ფუნქციის აღკვეთა იყო, ამიტომაც მონაზვნებს აღნიშნული მცირედი ქონებაც წაართვეს და მონასტერიც დახურეს, მიუხედავად იმისა, რომ ვერანაირ დაწესებულებას იქ ვერ გახსნიდნენ. 25 მონაზონი, რომელთაც სიცოცხლის დიდი ნაწილი მონასტერში ჰქონდათ გატარებული (ზოგიერთი დავრდომილი და ოთხმოც წელს მიტანებულიც კი იყო), თავშესაფრისა და საზრდოს გარეშე დარჩა.

Bolshevik Russia, having established the Soviet regime in Georgia, tried its best to make Georgia into a nation of slaves. This found early reflection in its policy towards religion and churches: monasteries were destroyed, monks were thrown out onto the street, and religious services were halted.

Churches in Georgia had been largely closed since 1921. Red Army soldiers began destroying the churches one after another in the Eastern and Western parts of the country. It made no difference to them whether the monasteries and churches were located in impregnable mountains or in city and village centers. They battled against religious spirit with equal vigor everywhere.

The 11th century Mghvimi Monastery, located three kilometers from the town of Chiatura, is built on top of a high and extremely inaccessible rock. It was far away from the road, and its wooden cloisters were of no use to anyone. The property of the monastery was located on a small space of arable land with a village mill and black, stony soil. The Soviet government did not care particularly in the monastery's property, but rather considered preventing the functioning of churches and monasteries to be the major goal of its activity. Accordingly, the Soviet government expropriated the territory and simultaneously closed the churche, though it made it impossible for any other institution to be opened there. Twenty five monks, most of whom had spent the greater part of their lives in the monastery and were over 80 years old and

ჭიათურის აღმასკომის თავმჯდომარის ბრძანებით მონასტერი უნდა დახურულ-დაცლილიყო... ბრძანება სისრულეში მოიყვანეს...

უამრავი წერილი და ხელმოწერა გროვდებოდა ეკლესიების გადასარჩენად საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში.

თელავის მაზრის სოფელ ახალგავაზის მღვდელი **რაჟდენ თურქაძე** შემდეგ თხოვნას უგზავნიდა რევოლუციურ კომიტეტს: **„სოფელ ახალ გავაზის ეკლესიაში, რომელშიაც მე ვასრულებდი მღვდელმსახურებას, ადგილობრივმა პოლიციამ სამკითხველოდ გადააქცია და მე ამით სამლოცველო მომისპო. ამიტომაც უმორჩილესად ვთხოვ რევკომს, მომცეს ნება, სოფელ ახალ გავაზში მსურველთათვის ავასრულოთ მღვდელმსახურება ეკლესიის გარეშე სასაფლაოზე, მიცვალებულთა დასასვენებელში“** (სტილი დაცულია). – რევკომის სახელზე ამგვარი თხოვნები პირველი და უკანასკნელი ნამდვილად არ ყოფილა, თუმცა ეკლესიების დახურვის უმთავრესი მიზეზიც სწორედ მღვდელთმსახურების აღკვეთა იყო.

ბოლშევიკური ხელისუფლების მხრიდან ეკლესიების დაკეტვას ხშირ შემთხვევაში ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგობაც მოჰყვებოდა ხოლმე, ამიტომაც პარტიული მუშაკები არც ძალის გამოყენებას ერიდებოდნენ.

გორში, სოფელ ქვემო ხანდაკში შეიარაღებული ოთხი პარტიული ჩავიდა და საზოგადოებას ეკლესიის გაუქმება აცნობა.

– **„ჩვენ ვკეტავთ ეკლესიას, ეს ჩვენი ნებაა!“** – აცხადებდნენ პარტიულები.

დიდი და პატარა ევედრებოდა, არ დაეკეტათ სოფლის ერთადერთი ეკლესია, თუმცა ეს თხოვნა კიდევ უფრო აღიზიანებდა ოთხეულს და იმუქრებოდნენ, თუ ორ წუთში არ დაცლიდნენ ეკლესიის ტერიტორიას, ცეცხლს გახსნიდნენ. დაშინებული ხალხი იქაურობას ტოვებდა.

ამგვარი ქმედებების შემდეგ მოსახლეობა კანონის ძალით ცდილობდა ეკლესიებისთვის პირვანდელი ფუნქციების აღდგენას, თუმცა კანონიც მისი დამწერლების ინტერესებს ემსახურებოდა და ხალხი ვერაფერს ხდებოდა.

ეკლესიების გადასარჩენად თხოვნით მიმართავდნენ არა მხოლოდ რევოლუციურ კომიტეტებსა და სოფლის საბჭოებს, არამედ უმაღლეს პირებსაც. საყურადღებოა ერთი დეტალიც, ის ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ ქართული ეკლესია-მონასტრები

unable to move, were left without shelter or food. On the basis of an order from the Chiatura Executive Committee (Aghmaskomi) chairman, all churches and cloisters had to be closed and left vacant. This order was of course carried out. But soon numerous letters and signed statements began appearing from almost every part of Georgia, calling for the churches to be rescued.

Razhden Turkadze, a priest from the Akhalgavazi village near Telavi, sent the following petition to the Revolutionary Committee: "The church in Akhakgavazi village where I used to conduct services has now been made into a reading room by the local police, and thus our place of worship is destroyed. I kindly ask the Revolutionary Committee to allow me to conduct services for parishioners in Akhalgavazi village without a church, at the cemetery." This petition was neither the first nor the last of its kind that the Revolutionary Committee would receive. Of course, the main reason that the churches were closed was precisely to prevent worship services from being conducted.

Frequently church closures by the Bolshevik authorities provoked popular resistance from Georgians, so party members often used forceful measures against them. Four party members went to Kvemo Zandaki village near Gori and informed the population that their church was to be abolished: "We are closing the church, this is our decision," the party members declared. The village population, despite



რაჟდენ თურქაძის წერილი
**Letter of Razhden Turkadze**





ეკლესია-მონასტრების
გადასარჩენად
შეგროვილი ხელმოწერები

**Signatures Collected
to Reopen Closed Churches**

their advanced age, begged the party members not to close the church. This only aggravated the party members even further, and they threatened the population that if they did not abandon the territory of the church in two minutes, they would be shot. The people became frightened and fled the church grounds.

Later on, the local population tried to restore the functioning of the church through legal means, but the law protected the interests of the law makers and not those of the people.

Petitions calling for the safeguarding of churches were sent not only to revolutionary committees and village councils, but to high officials as well. One detail is worth mentioning: people who tried to rescue churches and monasteries often emphasized that religion did not prevent Communism ideas, and argued that it was in the interests of Communism to give people the opportunity to have their religious needs met.

In a letter dated 1923, Davit Kachakhidze, the Bishop of Guria-Samegrelo, appeals to Mikha

როგორმე გადაერჩინათ, ხშირად უსვამდნენ ხაზს, რომ რელიგია ხელს არ უშლის კომუნიზმის დამყარებას და რომ თავად კომუნიზმის ინტერესებიდან გამომდინარე უნდა მისცემოდა ხალხს საშუალება, დაეკმაყოფილებინა რელიგიური მოთხოვნილება.

**„მე თქვენ გიცნობდით ჯერ კიდევ მაშინ, როცა ვსწავლობდი თბილისის სემინარიაში, როცა თქვენ მოსწავლეთა შორის სთესდით სოციალიზმის თესლსა... სუფთა რელიგია თავისთავად სრულიადაც არ უშლის ხელს კომუნისტური ურთიერთობების დამყარებას, მით უფრო სახარებისებრი ქრისტიანობა. არა ჯერ არს მღვდელთა და ღვთისმეტყველთა ნაკლულოვნება, – შეცოდებათა გადატანა თვით სარწმუნოებაზე! ადამიანის და კაცობრიობის**



**მღვიმევის მონასტრის
დედათა კრებული.
1910-იანი წლები**

**The Mgvimevi Nunnery.
1910s.**

**დღევანდელი ფსიხიკა აუცილებლად მოითხოვს დაკმაყოფილებულ იქნას მისი მისტიურ-რელიგიური მოთხოვნილებაც“** (სტილი დაცულია), – ამ სიტყვებით მიმართავდა 1923 წელს თავის წერილში გურია-სამეგრელოს **ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე** მიხა ცხაკაიას და წერილშივე აძლევდა რჩევა-დარიგებასაც:
– **„კომუნიზმის გაძლიერებისთვის უმჯობესია, საბჭოთა ხელისუფლებამ უმაღლესი საერო მთავრობის №25 დეკრეტი სარწმუნოების შესახებ დაიცვას. ხოლო, თუ საეკლესიო წესებში და სამღვდელოებაში რაიმეა დასაგმობი, მიზეზი თვით რელიგიაში – ქრისტიანობაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ თავად სამღვდელოებაა „გასაჩოთქი“** (სტილი დაცულია).

მსგავსი მიმართვები და რჩევა-დარიგებები, როგორც წესი, უპასუხოდ და გაუთვალისწინებელი რჩებოდა, პარალელურად კი სამღვდელო პირთა დისკრედიტაცია და მათთვის ათასი სისაძაგლის დაბრალება ხდებოდა.

ზემოხსენებულ წერილებს, მოთხოვნებსა თუ ხელმოწერებს, რომლებიც ეკლესია-მონასტრების დაცვას ისახვდა მიზნად, ხშირ შემთხვევაში ამგვარად პასუხობდნენ: – მოვისმინეთ რა ეკლესიის მსახურთა მოხსენება, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით რელიგიის, ეკლესიის ბოროტებასა და ცრუმორწმუნეობაში.

სამღვდელოება ფეოდალური წყობილების გადმონაშთად ინათლებოდა და ეკლესიების მასობრივი დახურვის დადგენილებებიც არ აყოვნებდა. თავად ეკლესიის შენობებში კი იხსნებოდა კლუბები, სკოლები, სამკითხველოები...

**„გაუმარჯოს რელიგიის, სამღვდელოების, ეკლესიების მოსპობას! გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას, რომელიც ებრძვის ყოველგვარ ცრუმორწმუნეობასა და ბოროტმოქმედებას! ძირს რელიგია! გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!“** – მსგავსი შინაარსის ლოზუნგებს ახალგასაბჭოებულ საქართველოში იშვიათად ნამდვილად არ შეხვდებოდით, რაც ბოლშევიკური რუსეთის „წითელი“ პოლიტიკა გახლდათ.



**ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე**
**Bishop Davit Kachakhidze**

Tskhakaia: “I have kept up acquaintance with you since our study together in Tbilisi seminary, when you were busy with Socialist propaganda among the pupils... Pure religion itself does not prevent the establishment of communist relations at all, especially if we are speaking about the New Testament and Christianity. Nobody should extend the inadequacy or depravity of priests or clergyman to whole religions and confessions! Modern human psychology and the peoples of the world need to satisfy their mystical-religious demands.” The Bishop offered Tskhakia some advice later on in the same letter: “It would be better if the Soviet Government would follow Decree #25 “On faith” adopted by the Supreme Soviet. And if there is something unfair among the priesthood or in the church rules, the causes should be sought not in Christianity, but among the priesthood itself.”

Requests and suggestions such as those in this letter as a rule were left without response or consideration. Meanwhile, priests and church goers were regularly discredited by being accused of terrible things. Very often the letters, requests and signed statements received the following response: “Having discussed the appeals of priests, we were once more convinced of the cruelty and pseudo religion of churches and of religions in general.”

The priesthood was considered to be a remnant of feudalism. This opinion received immediate reflection in the order for the total closure of churches. Church services were successfully replaced with other kinds of activities, and schools, reading rooms and clubs were constructed in the empty church buildings.

“We welcome the destruction of religion, priests and churches! Long live the Soviet Government, which combats all pseudo religion and misdeeds! Down with religion! Long live to Communist Party!” Such appeals – the “Red Policy” of Bolshevik Russia – became a characteristic feature in Georgia just after the Soviet government came to power.

# საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას წერილი

ოციან წლებში გენუას გაზეთ „კაფფარაში" დაიბეჭდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას წერილი, რომელსაც „საარქივო მოამბე" სრული სახით გთავაზობთ:

3 3

ВОЗЗВАНИЕ ПАТРИАРХА ГРУЗИИ К КОНФЕРЕНЦИИ.

Грузинское посольство сообщает текст нижеследующего документа, подлинный которого передан Председателю Генуезской конференции.

"Цивилизованному человечеству, представленному на Генуезской Конференции, Амвросий, раб Божий, духовный пастырь и патриарх всей Грузии,- во имя Господне,- шлет свой привет.

Еще со времен доисторических, у подножья Кавказа, между Черным и Каспийским морями, некоторые племена Картвельского происхождения образовали государство, малое по размерам, но сильное своей сплоченной волей и одобренное творческими способностями, известное в истории под именем Грузии и которое в течение веков было в Передней Азии единственным пионером христианской цивилизации, и гуманных европейских принципов. В конце ХУIII века, грузинская нация, ослабленная борьбой против внешних врагов, добровольно отдалась под покровительство единоверной России, - в надежде, что это покровительство поможет ей сохранить свое национальное и политическое существования. Эти мотивы явно выступают в тексте договора, заключенного в 1783 году между грузинским царем Ираклием и императрицей Российской Екатериной.

Но, к сожалению, нашему отечеству пришлось разочароваться в своих надеждах и в течение 117 лет прибывать в качестве жертвы свирепого деспотизма и невыносимого гнета со стороны русской бюрократии.

Вот почему в 1917 год., вслед за разложением искусственного единства Русской Империи, грузинский народ провозгласил свою независимость и немедленно занялся восстановлением своего политического, национального и духовного существования.

И хотя его работа встречала больше затруднения со стороны внешних и внутренних врагов, грузинская нация дала доказательства своих творческих способностей, выразившиеся в том, что спустя три года цивилизованная Европа признала их и включила ее в состав свободных и суверенных государств.

Ясно, что этого не могла потерпеть Россия, прежняя властительница Грузии и угнетательница малых народов.

Она направила к грузинским границам войска, вторгшиеся в ее пределы с оккупационными целями, - и 25 февраля 1921 г. снова возложила на обескровленную малую Грузию унизительное ярмо рабство, подобно которому ей не приходилось переносить в течение ее многовековой истории.

Верно, что насильники стараются доказать всем, - как у себя дома, так и на чужбине, что они освободили и благодетельствовали грузинскую нацию. Но мы, духовный отец и единственный истинный пастырь ее, в руках которого сходятся самые тонкие нити ее национальных стремлений и до которого непосредственно доходят все ее слезы и жалобы, - мы знаем как она счастлива.

Мы можем без всякого преувеличения утверждать, что эксперименты, которым подверглась в течении последнего года грузинская нация, неизбежно ведут ее к физическому и моральному вырождению.

У народа отнимают имущество, орошенное кровью и освященное костями его предков, и делят его между чужеземными насильниками. Те же насильники отнимают у народа средства к существованию, приобретенному кровью и потом, - и отправляют его заграницу. Профанируется материнский язык народа, уродуется его национальная культура, созданная предками, предаются оскорблению даже то, что является наиболее драгоценным для народа - его вера, и под лживой маской свободы совести, народу запрещают свободное удовлетворение его религиозных потребностей.

Его духовенство беспощадно преследуется, его церков, по истечении стольких веков, по прежнему представляющая главный фактор величия и мощи грузинского государства, лишена теперь всяких своих прав до такой степени, что она, несмотря на труды, свои, лишена возможности добывать себе средства, необходимые для ее существования.

Одним словом, нация стонет, нация жалуется. Она не в состоянии возвысить даже свой голос, как следует.

При таком положении вещей мы считаем своим архипастырским долгом заявить перед лицом всего цивилизованного человечества нижеследующее:

Мы, в качестве представителя церкви Господней, не входим в обсуждение и сравнительную оценку различных форм политической жизни но мы не можем не стремиться к созданию для нашей нации такого порядка вещей, который относительно лучше содействовал бы ее материальному воз-

# LETTER OF AMBROSI KHELAIA, THE PATRIARCH OF ALL GEORGIA

The "Archival Bulletin" offers the full version of a letter by Ambrosi Khelaia, the Patriarch of All Georgia, published in the Kappara newspaper of Genoa:

2.

рождению и духовному развитию, и потому мы требуем:

I/ Чтобы русские оккупационные войска были немедленно удалены с территории Грузии и чтобы грузинское имущество было гарантировано от всякого насилия, принудительной оценки и чужеземного расхищения.

2/ Чтобы грузинской нации была дана возможность свободно организовать свою жизнь, так, как она найдет нужным, укрепить те формы своего политического и социального существования, которые лучше других подойдут к ее духу, ее стремлениям, ее обычаям и ее национальной культуре.

Мы питаем твердую надежду, что высокочтимая конференция, поставившая себе задачей урегулировать величайшие проблемы человечества и восстановить в этом мире справедливость и свободу, не отвергнет существенные требования маленькой Грузии, изложенные нами здесь и освободитьее от унизительного рабства и господства насилия, жертвой коего она является.

До почиет Божье благословение на Вас, на Ваших великодушных намерениях и трудах.

Смиренный Амвроесий, Патриарх Всея Грузии.

/передано из Генуэзской газеты "Каффара" от 5/У-22/.

წერილს შედეგად ის მოჰყვა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს სუვერენიტეტის აღდგენის მოთხოვნა არ აპატიეს და დააპატიმრეს. ამბროსი ხელაია საკმაოდ დიდხანს ჰყავდათ პატიმრობაში, მართალია, სულიერად ვერ გატეხეს, მაგრამ ფიზიკურად ძალიან დასუსტდა და გათავისუფლებიდან ძალიან მალე გარდაიცვალა. სწორედ ამბროსი ხელაიას ეკუთვნის სიტყვები: **„სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული — ჩემს სამშობლოს, მძორი, ჯალათებო, თქვენ და რაც გინდათ, ის უყავით"...**



The Patriarch of All Georgia was not forgiven for his request for the restoration of Church sovereignty, and was consequently arrested after the publishing of his letter. Ambrosi Khelaia was imprisoned for a long time. His spirit was never broken, but his health was shattered, and he passed away soon after his release from prison. Ambrosi Khelaia pronounced the now famous words: **"My soul belongs to God and my heard belongs to my homeland, and you tyrants, here is my flesh, and you can do whatever you want with it!"**

# ვინ იყო ქალი, რომელმაც ბერია დააჩოქა?

# Who was the woman who made Mr. Beria kneel down?

ნინო ყიფშიძე

NINO KIPSHIDZE

## ლავრენტი ბერიას საქმიანობა და ცხოვრებისეული დეტალები

**„მესმის, რომ საშინელი დანაშაულებები ჩავიდინე, მაგრამ მე ნიჭიერი ორგანიზატორი ვარ, ამიტომაც მგონია, სასარგებლო ვიქნები პარტიისა და ხელისუფლებისთვის, რის გამოც ვითხოვ შეწყალებას!“** – ეს სიტყვები **ლავრენტი ბერიამ** განაჩენის გამოტანის დღეს წარმოთქვა. თუმცა სასამართლომ მას 1953 წელს დახვრეტა მიუსაჯა – როგორც სამშობლოს მოღალატეს, საქმეების გამყალბებელს, ფალსიფიკატორს, ასობით უდანაშაულო ადამიანის მკვლელს და მან სიცოცხლე ისევე დაასრულა, როგორც მის მიერ ბრალდებულმა უამრავმა ადამიანმა.

საბოლოო განაჩენამდე ლავრენტი ბერიამ საკმაოდ დიდი გზა განვლო და „ტირანის“, „სისხლისმსმელის“, „ჯალათის“ სახელიც დაიმსახურა.

ლავრენტი ბერია 1899 წელს სოხუმთან ახლოს, სოფელ მერხეულში, ღარიბი გლეხის ოჯახში დაიბადა.

ბერიას თავისი ისტორიის მასწავლებელმა ერთხელ უთხრა: – შენგან, ლავრენტი, დადგება ზელიმხანივით გამოჩენილი კავკასიელი აბრაგი ან, როგორც რუსი პოლიციელი, ფუშეზე (ფრანგი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მოღვაწე, ნაპოლეონის თანამებრძოლი და პოლიციის მინისტრი) არანაკლები იქნებიო.

ბერია გახდა ერთიც და მეორეც. ბაქოს იატაკქვეშეთსა და 1920-1921 წლებში მენშევიკურ საქართველოში იგი იყო წითელი აბრაგი, ხოლო შემდეგ, 15 წლის განმავლობაში, „ფუშე“.

## SOME STORIES FROM THE LIFE OF LAVRENTY BERIA

“I acknowledge that I have committed terrible crimes, but I am a gifted manager and I can be valuable both for the Party and for the government, so therefore I ask for mercy.” These words were said to have been uttered by Lavrenty Beria on the day that judgment was passed on him. In 1953 a court sentenced him to be shot for high treason. He was a swindler, a counterfeiter and a murderer of thousands of innocent people, and he died in the same way as many of his own victims.

Beria enjoyed a long life as a tyrant, a bloodsucker, and even earned for himself the title of executioner.

Lavrenty Beria was born near Sukhumi in the village of Merkheuli to a poor farming family in 1899.

His history teacher once told him that he would either become a notorious brigand in the Caucasus like Zelimkhan, or a Russian police officer.

As it turned out, Beria became both of these things. In the Baku underground and in Georgia during the independent Georgian Republic in 1920-21 Beria was a Red brigand, and for the next fifteen years he was a Bolshevik police officer.

Beria was proud of the fact that he was nicknamed “detective” during his study in the gymnasium. Thefts were frequent in the school, and the teachers would often lose files and money, and students lost hundreds of

ბერია ამაყობდა, რომ სასწავლებელში, რომელიც 1915 წელს დაამთავრა, „მეძებარს“ ეძახდნენ. სასწავლებელში ხშირად იყო ქურდობის შემთხვევები: მასწავლებლებს ეკარგებოდათ ფული, საქაღალდეები; მოსწავლეებს – სხვადასხვა წვრილმანი. ლავრენტი გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ იწყებდა მათ ძებნას და, როგორც წესი, დანაკარგს თითქმის ყოველთვის პოულობდა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან უმეტესად თვითონ გახლდათ ქურდი.

ბერიას მიერ ჩადენილი ქურდობის ერთი შემთხვევა სოხუმის ყველა სასწავლებელში გახმაურდა. კლასის დამრიგებელი მოსწავლეთა ყოფაქცევის შესახებ ჩანაწერს აწარმოებდა. ბერიამ მთელი მისი „არქივი“ მოიპარა, რომელსაც შემდეგ შუამავალთა მეშვეობით მოსწავლეებზე ყიდდა. ამ ფაქტის გამო მასწავლებელმა კინაღამ სამსახური დაკარგა. ძიებამ დამნაშავე ვერ დაადგინა.

ბერიამ სიყმაწვილეში შეისისხლხორცა პოლიციური ფილოსოფია: „დასმენის სიყვარული და დამბეზღებელთა სიძულვილი“. თვითონ არავის აბეზღებდა, მაგრამ თუ ვინმეზე ჯავრის ამოყრას გადაწყვეტდა, მის შესახებ რაიმე მაკომპრომეტირებელს, სიცრუე იქნებოდა ეს თუ სიმართლე, მოუყვებოდა ისეთ მოსწავლეს, რომელსაც იცნობდა, როგორც დამსმენს.

ეს ხასიათი შემდეგშიც გაჰყვა...

small items. Young Beria would set out in search of these things in return for some payment. As a rule, he usually found them. This is not so surprising, as in most cases he himself was the thief.

One of Beria’s thefts became known to all the schools in Sukhumi. A teacher was keeping records on the behavior of all the students. Beria stole this “archive,” which he later sold to other students with the help of his classmates. The teacher was barely able to keep from losing his job, and the inquiry failed to establish the perpetrator.

In his early years Beria mastered the police officer philosophy: “Love of snitching, but hatred of snitches.” He never squealed on anyone, but if he had a grudge towards somebody he would obtain compromising information, whether true or false, and pass it along to a school mate who he knew to be an informer.

This feature would continue to be characteristic of him later in his life….

## გზა აღმავლობისკენ...

ერთი დოკუმენტის მიხედვით ბერია ბოლშევიკების პარტიაში 1917 წელს შევიდა (სინამდვილეში პარტიის წევრი იგი 1919 წ. გახდა). ბაქოში მოღვაწეობის წლებში ბერია თავბრუდამხვევ პოლიციურ კარიერას იქმნის, ერთდროულად ოთხი – საბჭოთა, მუსავატური, თურქული და ინგლისური დაზვერვის თანამშრომელია (სწორედ ამიტომ მას მოგვიანებით „საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტი“ უწოდეს).



ლავრენტი ბერია
**Lavrenty Beria**

მუსავატებთან ბერია დააკავშირა სტუდენტობის-დროინდელმა მეგობარმა, ბაქოელმა **მირზა ბალამ,** რომელიც შემდეგ აზერბაიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკის ცნობილი მოღვაწე გახდა.
მირზა ბალამ ბერია გააცნო ბაქოს საქალაქო პოლიციის უფროს **მირ-ჯაფარ ბაგიროვს.** ბაგიროვი ამავე დროს საბჭოთა აგენტიც იყო. აქედან მოყოლებული ბერია და ბაგიროვი განუყრელნი არიან პოლიტიკური კარიერის გზაზე. აღსანიშნავია, რომ ისინი ბოლოს ერთი ბრალდებით დახვრიტეს (თუმცა ბაგიროვი ერთი წლით გვიან). ინფორმაციას, რომელსაც ბერია მუსავატური დაზვერვისთვის აწვდიდა, ბაგიროვი წითელი არმიის მე-10 შტაბში გზავნიდა.

არმიის შტაბში ყურადღება მიაქციეს, რომ ამ არხიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაციები მოდიოდა, ამიტომ ბაგიროვს შესთავაზეს ბერიას წმინდა სამხედრო დაზვერვის ხაზით „სპეციალიზაცია“.

ბერიამ ქართულ ენაზე დაწერა პოლიტიკური ტრაქტატი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შექმნილიყო საბჭოთა სამხედრო დაზვერვა ბაქოში და გაუგზავნა ეროვნებათა სახალხო კომისარ სტალინს, რომელიც იმჟამად ცარიცინში იმყოფებოდა. მალე ბერია გამოიძახეს ცენტრალური კომიტეტის რეზიდენტთან – **მიქოიანთან.**

ბერიას და მიქოიანს პოლიტიკაში აერთიანებდათ კარიერისტის თანდაყოლილი ალღო და ჯაშუშის გენიალური ნიჭი. სხვა მხრივ ისინი ანტიპოდები იყვნენ.

ბერია ბაქოს იატაკქვეშეთში უცხოეთის დაზვერვის განხრით მიქოიანის თანაშემწედ მუშაობდა. მას არა მარტო მიქოიანის, არამედ ძერჟინსკის გვერდის ავლითაც უშუალო კავშირი ჰქონდა სტალინთან. იგი თანდათობით გახდა სტალინის მნიშვნელოვანი ინფორმატორი. მიქოიანმა იცოდა, რომ ბერია მის შესახებაც აწვდიდა ინფორმაციას სტალინს და გადაწყვიტა, თავი დაეცვა ბერიას პოლიტიკური მანქანისაგან. ამისთვის მან გამოძებნა უტყუარი საშუალება: ყოველ პოლიტიკურ მოხსენებას, რომელსაც მოსკოვში, ცენტრალურ კომიტეტსა და ჩეკაში აგზავნიდა, როგორც „ნდობით აღჭურვილ პიროვნებას“, ბერიას აცნობდა. ამ მოხსენებაში კი ბერია წარმოდგენილი იყო, როგორც უძვირფასესი მუშაკი. მიქოიანის ჩანაფიქრი გამართლდა – ბერიამ დაიწყო სტალინის თვალში მიქოიანის პოლიტიკური ქმედებების ცამდე აყვანა. ამით იგი საკუთარი პერსონის მიქოიანისეულ შეფასებას მატებდა ფასს.

წითელი არმიის მიერ აზერბაიჯანის ოკუპაციის შემდეგ, 1920 წლის მაისში, ბერიამ ბაქოს სახელმწიფო პოლიციის სამმართველოს უფროსის, თავისი ძველი მფარველის – ბაგიროვის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა.

## THE ROAD TO THE TOP...

According to a certain document, Beria joined the Bolshevik Party in 1917 (although he actually became a member of the Party only in 1919). Beria had great success in his police work in Baku; he may have simultaneously worked for the intelligence services of the Bolsheviks, the Azerbaijani nationalists (the Musavats), the Ottoman Turks, and the British. This is why he was latter accused of being an "agent of international imperialism." Mirza Bala, a friend from his student years, seems to have helped Beria establish ties with the Musavats, who then later became the leading political party in the independent Republic of Azerbaijan. Mirza Bala probably introduced Beria to Mir-Jafar Bagirov, chief of the Baku city police. Bagirov at the same time was also a Bolshevik agent. From then on they became inseparable friends throughout their police career. It is noteworthy that in the end they were shot on similar charges (although Bagirov was shot a year later). Information provided by Beria to the Musavat intelligence service was in turn submitted to the Red Army by Bagirov.

The attention of the army officials was drawn to the fact that significant information was being provided through that particular channel, and Bagirov suggested involving Beria in purely military intelligence.

Beria wrote a political treatise in Georgian outlining the ways of setting up Bolshevik military intelligence in Baku, and might have sent it to Stalin, who was then the Peoples Commissar for Nationalities, and who in that period was in Tsaritsino. Soon Beria was summoned to Mikoyan, the resident agent of the Central Committee in Baku.

Both Beria and Mikoyan had innate careerist instincts and a talent for espionage in politics; but in other regards they were opposites. In the Baku underground, Beria became Mikoyan's assistant for foreign intelligence. He may have maintained direct contact with Stalin, bypassing not only Mikoyan but also Dzerzhinsky. Gradually, it is possible that Beria may have become a valuable informer for Stalin. Mikoyan perhaps suspected that Beria might be providing information about him to Stalin, and decided to protect himself from Beria's political machinations. He devised an unusual approach: he showed Beria, as to his "trusted person," every political report that he submitted to Moscow, either

1921 წ. იანვარს ბაქოში არსებული ორჯონიკიძის შტაბიდან ბუდუ მდივანმა თანამემამულეებს მოუწოდა, გაერთიანებულიყვნენ საქართველოს „გასათავისუფლებლად“ მზადმყოფი წითელი არმიის რიგებში. საზღვარგარეთ მცხოვრებ ათასობით ქართველთაგან მხოლოდ ორმა ათეულმა მისცა თანხმობა. მათ შორის იყო ახალგაზრდა ლავრენტი ბერია. მოხალისეთა შესაკრებ პუნქტში ბერია „ჩეკას“ პოლიციურ ნაწილში ჩარიცხეს.

1921 წ. თებერვლის მიწურულს დამოუკიდებელი საქართველო დაეცა. პირველი ორგანიზაცია, რომელიც ბოლშევიკებმა „გათავისუფლებულ“ საქართველოში შექმნეს, საგანგებო კომისია („ჩეკა“) იყო, მისი პირველი გამომძიებელი კი ლავრენტი ბერია გახლდათ.

1921 და 1922 წლების შემოდგომებზე ბოლშევიკების წინააღმდეგ ორი აჯანყება მოეწყო, რომლებიც სასტიკად ჩაახშეს, მაგრამ სიმშვიდე მაინც არ დამდგარა.

ერთ-ერთი დავალების შესასრულებლად გამგზავრებამდე ჩეკისტებს მეგობრებმა დიდებული გაცილება მოუწყვეს. ჩვეულებისამებრ, მწვადებს კახურ ღვინოს აყოლებდნენ და „საქართველოს წმენდაზე“ საუბრობდნენ. ბანკეტზე იცავდნენ კავკასიურ ეტიკეტს: სუფრას ხელმძღვანელობდა თამადა. სტუმრებს ემსახურებოდა მერიქიფე. ბოლო ყანწი რომ შეავსეს, თამადამ, რომელიც სხვებზე ნაკლებს სვამდა, დასკვნითი სადღეგრძელო ქართულ ენაზე წარმოთქვა: – საქართველოში სარეველამ იმძლავრა. საქართველო უნდა გადაიხნას! – ასეთი იყო მისი ბოლო სიტყვები. ძველმა ქართველმა ბოლშევიკებმა: **მდივანმა, მახარაძემ, ორახელაშვილმა** უსიტყვოდ შესვეს ღვინო. სუფრის ახალგაზრდა მსახურმა კი თამადას უპასუხა: „სარეველასაც ამოვფხვრით და საქართველოსაც გადავხნავთო!“ და სასმისი დაცალა. დამსწრეებმა ერთმანეთს გადახედეს, თამადას კი საპასუხო სადღეგრძელო მოეწონა.

თამადა **იოსებ სტალინი** იყო, ხოლო სუფრის ახალგაზრდა მსახური – ლავრენტი ბერია, რომელიც მეორე დღესვე დაინიშნა „ჩეკას“ უფროსის მოადგილედ. ეს მოხდა 1922 წ. დასასრულს, როცა ბერია მხოლოდ 23 წლის იყო.

1924 წელს საქართველოში აჯანყების ჩახშობის ოპერაციის ხელმძღვანელიც პოლიციური სამმართველოს ახალი ხელმძღვანელი ლ. ბერია გახლდათ. ბერიამ შეასრულა სტალინისთვის მიცემული პირობა, რისთვისაც საქართველოს სახელმწიფო პოლიციური სამმართველოს უფროსად დანიშნეს და წითელი დროშის ორდენითაც დააჯილდოეს.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნისთანავე კი ბერია ამიერკავკასიის სახელმწიფო

to the Central Committee or to the Cheka. In these reports he depicted Beria as an invaluable employee. Mikoyan's efforts reaped results – Beria began to extol Mikoyan to the skies.

After the occupation of Azerbaijan in May 1920, Beria was employed as assistant to the Chief of the Baku People's Police, his old political protégé Bagirov.

In January 1921, Budu Mdivani, from the Orjonikidze's headquarters in Baku, appealed to his compatriots to enlist in the ranks of the Red Army to help "liberate" Georgia. Only several dozen out of the thousands of Georgians living abroad accepted the proposal, including the young Lavrenty Beria. In the volunteers' section, Beria was assigned to the Police Unit of the Cheka.

Independent Georgia was overrun in the end of February 1921. The first organization set up by Bolsheviks for the "liberation" of Georgia was the Extraordinary Committee, or Cheka, with Lavrenty Beria as its first investigator.

In the Autumn of 1921 and 1922 two uprisings were staged against the Bolsheviks and were harshly crushed, but this did not bring genuine stability.

According to one story, Beria's friends from the Cheka staged a sumptuous feast for him before his departure to fulfill a particular assignment. They ate shashlik and drank Kakhetian wine while talking of "the purges of Georgia." The revelers observed the Caucasian traditions during the banquet: the feast was led by a tamada (toastmaster), and the guests were served by a merikipe, or pourer. When drinking a final drinking horn, the tamada, who drank less than the others, uttered the following words in Georgian in his closing toast: "A weed has spread throughout Georgia. Georgia should be ploughed up!"

The old Georgian Bolsheviks, Mdivani, Orakhelashvili, Makharadze, drank their wine without uttering a word, and the young pourer replied to the tamada: "We'll uproot the weeds and plough up Georgia!" and drank down the toast. The revelers all looked at each other while the words were welcomed by the tamada.

According to this legend, Stalin was the toastmaster, and the pourer was Lavrenty Beria, who was appointed as deputy head of the Cheka the next

პოლიციური სამმართველოს უფროსის მოადგილე გახდა.

სამმართველოს უფროსი **პავლუნოვსკი** მთლიანად დაემორჩილა თავისი ახალგაზრდა და ენერგიული თანაშემწის ძალაუფლებას, რადგან იცოდა, რომ ერთადერთი ადამიანი, რომელიც სტალინთან წინასწარი მოხსენების გარეშე შედიოდა, ბერია იყო.

მოსკოვში „მემარცხენე“ (ტროცკისტები) და „მემარჯვენე“ (ბუხარინელები) მტრებთან

day. This would have taken place at the end of 1922, when Beria was barely 23 years old.

As the new head of the police division, Beria was in charge of the operation to suppress the 1924 uprising. Beria made good on his promise supposedly given to Stalin, and in return he was appointed as the Chief of the People's Police Commissariat of Georgia and awarded the Order of the Red Banner.



58.

С П Р А В К А.

По делу № 6650.

По обвиненению гр-н:

1.АДАМ ТААР ОГЛЫ БЕРИДЗЕ

2.ШАЛВАХИШВИЛИ ЛЕОНТИЯ ДАВИДОВИЧА.

АДАМ ТААР ОГЛЫ БЕРИДЗЕ,25 лет,из крестьян сел.Индуси Ахалцыхского уезда,малограмотный,беспартийный ,судим в 1928г. и бежал.

ШАЛВАХИШВИЛИ ЛЕОНТИЙ ДАВИДОВИЧ-28лет,из крестьян сел.Халтубани,Горийского уезда,малограмотный, беспартийный,судим в 1929г. и бежал из места заключения.

Коллегией ГРУЗГПУ от 23/Х-29г. приговорены к высшей мере социальной защиты - Р А С С Т Р Е Л У.

Коллегией ЗАКГПУ от 10/Х1-29г. приговор Коллегии ГРУЗГПУ У Т В Е Р Ж Д Е Н - за то ,что они:

-"Состоя в вооруженной шайки бандитов,они в июне м-це 1929года ограбили 50 крестьян на Бакурианском перевале , у коих забрали деньги и вещи."

Эта же банда между Ахалцыхом и Боржомом произвела три вооруженных налетов,где ограбили до 60 человек и при перестрелке ранили, сстоящего на посту милиционера.

Этой же бандой между Ахалцыхом и Ахалкалаки в местности Аскинза произведено три вооруженных налета, где забрали до 2000 руб. деньгами и товаром.

Эта -же банда в Боржомских лесах в местности "Даба дзвели-",произвела ограбление 3-х охотников , у коих забрала охотничьи ружья и 150 руб.деньгами,что предусмотренно ст. 58/17."

ბერიას ხელმოწერილი რეზოლუციები
**Resolutions Signed by L.Beria**

ბრძოლის წარმატებით დასრულების შემდეგაც სტალინი თავის სამშობლოში დიდი პატივით არ სარგებლობდა. ძველი ქართველი ბოლშევიკები, რომელთა შორისაც სტალინის მასწავლებლებიც იყვნენ, არ თვლიდნენ თავიანთ მოსწავლეს ხალხის უცოდველ მამად. ალბათ, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მათ წინააღმდეგ ბრძოლაში სტალინი და ორჯონიკიძე ხშირად ამჟღავნებდნენ თავიანთ პროვოკაციულ მიზნებს. მაგალითად, ცნობილია, რომ მათ სცადეს საბჭოთა საქართველოსა და რსფს-ს შორის შეექმნათ საბაჟო საზღვრები; აგრეთვე აკრძალეს რუსებზე ქართველთა ქორწინებები.

After the establishment of the Transcaucasian Federation, Beria became the Deputy Chief of the Transcaucasus Peoples Police Commissariat.

Beria's boss, Pavlunovsky, completely fell under the sway of his younger and more vigorous assistant, perhaps because he suspected that Beria may have been one of the few to have direct access to Stalin.

Stalin, after having successfully handling the fight against his "leftist" (Trotskyites) and "rightist" (the Bukharin faction) enemies in Moscow, was not as much

აი, როგორ იგონებს იმ პერიოდის ამბებს ჩვიდმეტწლიანი პატიმრობის შემდეგ რეაბილიტირებული სნეგოვი: **„1931 წლის 30 ოქტომბერს საკავშირო კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის ცკ-ს ორგბიუროს სხდომაზე ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ქართველიშვილმა გააკეთა მოხსენება. სხდომას ესწრებოდა საოლქო აღმასკომის ყველა წევრი, რომელთაგან ცოცხალი მხოლოდ მე დავრჩი. ამ სხდომაზე სტალინმა თავისი სიტყვის დასასრულს შემოიტანა წინადადება ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის სამდივნოს შექმნის შესახებ. პირველი მდივნის თანამდებობაზე ინიშნებოდა ქართველიშვილი, მეორე მდივნად – ბერია... ქართველიშვილმა განაცხადა, რომ ის კარგად იცნობს ბერიას და კატეგორიული წინააღმდეგია, იმუშაოს მასთან ერთად. სტალინმა სხდომას შესთავაზა, ღიად დაეტოვებინათ ეს საკითხი და მოგვიანებით გადაეწყვიტათ. ორი დღის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებით ბერიამ მიიღო პარტიული თანამდებობა, ხოლო ქართველიშვილმა დატოვა ამიერკავკასია.“**

საყურადღებოა, რომ ლავრენტი ბერიამ შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობის დაწყებამდე სეიფში გადამალა თავისი დოსიე მუსავატურ ორგანიზაციაში მოღვაწეობის შესახებ.

სტალინს უყვარდა იმ ადამიანებთან საქმის დაჭერა, რომლებსაც შავბნელი წარსული ჰქონდათ. ბერია მშვენიერი კანდიდატურა იყო ფალსიფიკატორის როლისთვის. სწორედ ამიტომაც ლავრენტი ბერიას ავტორობით ქვეყნდება ბროშურა – ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ, რომელშიც პირველად ვრცელდება ინფორმაცია ორი რევოლუციური ფრონტის არსებობის თაობაზე. იწერება, რომ რევოლუციურ ფრონტს ქვეყნის შიგნით სტალინი ხელმძღვანელობდა, ხოლო საზღვრებს მიღმა ლენინი. ამის შემდეგ უკვე ბერია საბჭოთა ხელისუფლებისთვის სანდო პირი და იარაღი ხდება.

1937 წელს სტალინის დედა გარდაიცვალა, შვილი ვერ ახერხებს დაკრძალვაზე ჩასვლას, სამაგიეროდ ლავრენტი ბერიას ეძლევა კიდევ ერთი შანსი, გამოადგეს და ასიამოვნოს საკუთარ პატრონს. მწვერვალებისკენ გზა გახსნილია.

ომის დასრულების შემდეგ ლავრენტი ბერია სტალინთან ყველაზე დაახლოებული პირია. ის ახორციელებს დიქტატორის ყველაზე არაადამიანურ ჩანაფიქრებს (ისტორიკოსებში ბერიას ბიოგრაფიულ დეტალებზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, ეს მონაცემებიც ერთგვარი ვერსიაა...).

revered in his own country as he was beyond it; the old Georgian Bolsheviks, including his old teachers, did not consider him to be the innocent father of the nation. Probably for this reason Stalin and Orjonikidzde often revealed their hostile intentions towards the Georgian Bolshevik leaders.

Here are some excerpts from the memoirs of Snegov, who was rehabilitated after 17 years of imprisonment: “On October 30, 1931 Mr. Kartvelishili, the Secretary of Transcaucasian region, spoke during a session of the Central Committee of the Communist Party. The session was attended by all members of the region Executive Committee, and I am the survivor. At the end of his speech, Stalin set forth a proposal on the creation of the Transcaucasian region’s Secretariat. Kartvelishvili was to be appointed as First Secretary, and Beria as the Second Secretary... Mr. Kartvelishvili announced that he knew Beria full well and flatly refused to work with him. Stalin offered to leave the issue open and settle it later. According to the decision adopted two days later, Beria was given the position of First Secretary and Kartvelishvili was transferred out of the Transcaucasus.”

It is thought that before enlisting in the ranks of the interior ministry Beria covered up the files showing his activity in the Musavat organization.

Stalin liked to deal with people with murky pasts, and Beria certainly had that. A booklet entitled “On the History of the Bolshevik Organizations in Transcaucasia” was published under Beria’s authorship in which the existence of two revolutionary fronts was asserted for the first time. The booklet suggested for the first time that the revolutionary front was let by Stalin within the Russian Empire and beyond its frontiers by Lenin. Afterwards, Beria became a reliable person and a handy tool for the Soviet authorities.

Stalin’s mother in Georgia passed away in 1937. Her son could not manage to attend the funeral, but i Beria was given one more brilliant chance to ingratiate himself with his patron. The road to the summit was open.

Beria became one of the closest people to Stalin before and after the war, and he carried out some of the most inhuman designs of the dictator. (There are different versions among historians about details of Lavrenti Beria, this datas is one of the version...)

## სისხლისმსმელი ტირანი

ლავრენტი ბერიას კისერზეა ასევე ათობით შეთითხნილი საქმე, რომელსაც ქართული ინტელიგენციის დიდი ნაწილი ეწირება. ლავრენტი ბერიას ბრალდებები წინასწარ ჰქონდა გამზადებული. ყველა იმ ადამიანს, რომლის გზიდან ჩამოშორებაც სურდა, კონტრრევოლუციურ საქმიანობაში, ანდა ტერორისტული აქტის მზადებაში ადანაშაულებდა. მიზანს მალე აღწევდა: დაპატიმრებულებთაგან სასურველ აღიარებით ჩვენებებსაც „მიიღებდა“ და ათეულობით ადამიანს სიცოცხლეს ასალმებდა.

ოცდაათიან წლებში ითითხნება ყველაზე სერიოზული ბრალდება, თითქოსდა სტალინისა და ბერიას წინააღმდეგ მზადდებოდა ტერორისტული აქტი „ტროცკისტების“ მიერ. აღნიშნული ბრალდებით ხორციელდება რეპრესიების მთელი სერია. „ტროცკისტებად“ და „კონტრრევოლუციონერებად“ ინათლებიან და ამ საქმეს ეწირება **მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, სანდრო ახმეტელი** და კიდევ უამრავი უდანაშაულო ადამიანი.

მიხეილ ჯავახიშვილს ლავრენტი ბერიამ მეტეხის ტაძრის დანგრევის გაპროტესტება არ აპატია. ტაძარი გადარჩა, მაგრამ თავად მიხეილ ჯავახიშვილი, „როგორც ხალხის მტერი, ჯაშუში და დივერსანტი“, ჯერ მწერალთა კავშირიდან გარიცხეს, შემდეგ სიცოცხლეს გამოასალმეს.

ბერიას დამსახურებით თავს იკლავს ცეკას ყოფილი მდივანი **თენგიზ ჟღენტი.**

პირადი ანგარიშსწორების მიზნით ლავრენტი ბერია თენგიზ ჟღენტს კონტრრევოლუციურ საქმიანობაში ადანაშაულებს და მის დისკრედიტაციას ეწევა პლენუმებზე. ჟღენტი ამ საქმესთან დაკავშირებით არაერთხელ იკითხება, ბოლოს კი იგი, აბსოლუტურად უდანაშაულო, სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს.

**„ეს შვიდი თვე მე ისე მძირავდნენ, რომ მეტი აღარ შემიძლია, თავს ვიკლავ არა დანაშაულის გამო, არამედ ველარ ვუძლებ ამდენ დამცირებას! “** – თენგიზ ჟღენტი თვითმკვლელობამდე ოჯახის წევრებს ამ შინაარსის წერილს უტოვებს.

ბერიას ბრძანებით აპატიმრებენ ჟღენტის მეუღლეს და შვილებს. არც მათ ადგებათ კარგი დღე, რომლებმაც გაბედეს და ჟღენტის ოჯახის წევრებს უბრალოდ მიუსამძიმრეს.

ხინთიბიძე, რომელმაც ჟღენტის ვაჟს მიუსამძიმრა, რამდენიმე დღეში დაპატიმრებულ იქნა და მას აწერინებენ აღიარებით ჩვენებას, თითქოსდა ჟღენტის ვაჟს ბერიაზე სურდა

## THE BLOODSUCKING TYRANT

Lavrenty Beria was responsible for many fabricated cases that claimed the lives of a sizeable chunk of the Georgian intelligentsia. Beria had the judgments prepared in advance; he charged those whom he wanted to get rid of with counterterrorist activity or plotting terrorist attacks. The task was easily accomplished: he obtained the necessary confessions from the detainees, and dozens of more people were then arrested and murdered.

The most serious charges in the 1930s was that Trotskyites were plotting terrorist acts against Stalin and Beria. On the ground of these false charges, a string of repressions had been carried out. Mikheil Javakhishvili, Titsian Tabidze, Paolo Iashvili, Sandro Akhmeteli and dozen more famous figures were charged as `Trotskyites` and `Counter revolutionaries` and were executed.

Beria could not forgive Mikheil Javakhishvili for objecting to the demolishing of Metekhi Church. The church was left intact but, Mikheil Javakhishviliwas first expelled from the ranks of the writer’s union and later executed as an “enemy of the people,” a “spy” and “a wrecker.”

A former secretary of the Central Committee, Tengiz Dzghenti, commited suicide thanks to Beria.

In order to settle his scores with Dzghenti, Beria accused him of involvement in counter revolutionary activities, and discredited him during a Party plenum. Dzghenti had been interrogated repeatedly on the case and ultimately committed suicide.

“I have been dishonored for the last seven months and I can stand it no more, so I am committing suicide not because of a crime, but due to the fact that I can no more withstand such degradations,” Dzghenti wrote in a letter to his family before his suicide.

On Beria’s command, Dzghenti’s spouse and children are arrested. Those who only offered their condolences to the Dzghentis were also mistreated.

Khintibidze, who offered his condolences to Dzghenti’s son, was arrested after a couple of days and

მამის გამო შურისძიება. ამ ბრალდებით თენგიზ ჟღენტის შვილს აპატიმრებენ და გადასახლებაში უშვებენ.

ასეთი საქმეები ბერიასთვის პირველი და უკანასკნელი ნამდვილად არ ყოფილა.

ლავრენტი ბერიას სახელს უამრავი ადამიანის პირადი ტრაგედია უკავშირდება.

## ბერიას სიყვარული და შურისძიება

თინათინ ჯიქია ლავრენტი ბერიას ჯერ კიდევ გათხოვებამდე იცნობდა. იგი ბიძაშვილის სახლში გაიცნო. რის შემდეგაც ბერია ცდილობდა, დაახლოებოდა თინათინ ჯიქიას. ეპატიჟებოდა კინოში, სთავაზობდა სამსახურებრივი ავტომობილით გასეირნებას. თუმცა თინათინი მუდამ თავს არიდებდა ბერიას, რომელიც უკვე დაოჯახებული იყო ნინო გეგეჭკორზე.

ერთ დღეს თინათინ ჯიქია მეგობართან მიდიოდა, გზად ბერია შეხვდა, რომელმაც კიდევ ერთხელ შესთავაზა, ერთად გასეირნება, მაგრამ ამჯერადაც უარი მიიღო. ჯიქია მეგობართან ავიდა. ბერია კი მთელი საღამო ძირს ელოდა, ქალი სახლამდე რომ მიეცილებინა.

1932 წელს თინათინი **ვლადიმერ ჯიქიას** მიჰყვება ცოლად და ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე სახლდებიან. ბერიაც მათი მეზობელი ხდება.

მაშინ, როდესაც ვლადიმერ ჯიქია სახლში არ იმყოფებოდა, ბერია მის მეუღლეს ურეკავს და ეკითხება, თუ ვინ იყო მასთან ერთად. თინათინ ჯიქიამ მოატყუა ბერიას, თითქოსდა მეგობარ ქალთან ერთად იყო. რამდენიმე წუთის შემდეგ ბერია ჯიქიასთან მიდის წიგნით ხელში და ცდილობს, ძალით შეიჭრას ჯიქიების ბინაში. ამ დროს იგი უკვე ცეკას მდივანია.  ბერია, როცა დარწმუნდა, რომ თინათინ ჯიქია სახლში დედასთან ერთად იმყოფებოდა, ბინა დატოვა და ქალს სთხოვა, ამ შემთხვევის შესახებ არავისთვის ეამბნა.

ლავრენტი ბერია თინათინის მეუღლის მეგობარ **გრიგოლ ელიავაზე** ეჭვიანობდა. ვლადიმერ ჯიქიამ ანონიმური წერილი მიიღო, რომელშიც მითითებული იყო, თითქოს თინათინი მეუღლეს ელიავასთან ღალატობდა. ამ წერილის წაკითხვისთანავე ჯიქიები მიხვდნენ, რომ ეს ყველაფერი ბერიას ნამოქმედარი იყო.

ლავრენტი ბერია აღნიშნული შემთხვევის შემდეგაც ხშირად ურეკავდა თინათინ ჯიქიას და სთხოვდა, კრწანისის აგარაკზე ერთად წასულიყვნენ. ბერია პასუხად კვლავ უარს იღებდა. აგარაკზე წასვლაზე რომ ვერ დაითანხმა ქალი, მაშინ სთხოვა, სადილად მაინც წაჰყოლოდა. ტელეფონზე საუბრისას

made to confess that Dzhenti’s son was seeing revenge on Beria for his father’s death. Tengiz Dzghenti’s son was then arrested on that charge and sent into exile.

Beria fabricated many such cases, and his name is central to the personal tragedies of scores of people.

## BERIA IN LOVE AND REVENGE

One story told about Beria concerns his affections towards a woman named Tinatin Jikia. Tinatin lived on Vazha Pshavela Street in Tbilisi with her spouse and had known Beria, whom she had met in her cousin’s apartment, before getting married. Afterwards, Beria sought ways to befriend with Tinatin. He often invited her to the cinema and offered to give her rides in his official car, but she tried to avoid him.

Once Tinatin was on the way to visit a friend when she ran into Beria. He offered once more to take a stroll, and the offer was again refused. While Tinatin was visiting her friend, Beria waited for her all evening until she left her friend’s apartment in order to accompany her to her house.

Once Beria called Tinatin when her husband was away and asked who was with her. Tinatin lied and pretended she was with her friend. Several minutes later Beria arrived at the Jikias’ apartment with a book in his hand and tried to enter. He was by that time already a secretary of the Central Committee. Beria left the apartment only after being persuaded that Tinatin was with her mother, and he begged her not to tell anyone about the event.

Beria was jealous of Grigol Eliava, a friend of Tinatin husband Vladimir. Vladimir Jikia received an anonymous letter alleging that Tinatin cheated on him with Eliava. When the Jikias read this letter, they guessed that Beria was behind it.

Even after the event described above, Beria would often call Tinatin Jikia on the telephone and ask her to accompany him to his Krtsanisi dacha. Beria`s proposals were denied several times. When he was not able to gain her consent for this proposal, he decided to invite her for dinner. On the telephone he acknowledged that

იმაშიც გამოუტყდა, რომ მზად იყო თუნდაც მუხლებზე დაეჩოქა. ქალმა – სცადეო! – უპასუხა და ბერიამ, მართლაც, დაუჩოქა. თუმცა ჯიქია ბერიას სადილად მაინც არ წაჰყვა.

1936 წელს ვლადიმერ ჯიქია მივლინებით ეკლესიის ასაშენებლად მოსკოვს მიემგზავრება, სადაც ხვდება სტალინს. სტალინი და ჯიქია ერთმანეთს ჯერ კიდევ რევულუციის პერიოდში იცნობდნენ. მშენებლობის გამო ჯიქიას ლენინის ორდენით აჯილდოებენ, რასაც ბერია არცთუ დიდი სიხარულით ხვდება. ამ შემთხვევის შემდეგ ვლადიმერი მეუღლეს ხშირად ეუბნებოდა, რომ მტერი გაიჩინა ლავრენტი ბერიას სახით.

ლავრენტი ბერია საცხოვრებლად მაჩაბლის ქუჩაზე გადადის და არც ისე ხშირად  ურეკავს თინათინ ჯიქიას.

ერთ ზაფხულს ჯიქიების ოჯახი კიკეთში ისვენებდა და ცეკას მდივან **პეტრე აღნიაშვილთან** ერთად სადილობდა. აღნიაშვილმა ბერიას სადღეგრძელო წარმოთქვა. მსუბუქად ნასვამმა ჯიქიამ ეს სადღეგრძელო არ შესვა, რაც აღნიაშვილმა წერილით ბერიას ამცნო. ამ უკანასკნელმა კი ჯიქია დაიბარა და ჰკითხა: – რა აზრის იყო აღნიაშვილზე. ჯიქიამ აღნიაშვილი დადებითად დაახასიათა. ბერიამ კი ჯიქიას აღნიაშვილის წერილი აჩვენა. ჯიქიამ თავის მართლება სცადა და უთხრა, რომ ნასვამი იყო და მხოლოდ ამიტომ არ დალია სადღეგრძელო. ბერიამ გაუღიმა, წერილი მის თვალწინ გადახია და უთხრა: – ხომ ხედავ, როგორ გექცევი? – წასვლის დროს კი ისიც ურჩია: – სხვებთან ერთად ჩემს ავტორიტეტს ნუ შელახავო!

1936 წლის შემოდგომაზე ვლადიმერ ჯიქია მაინც დააპატიმრეს.

რამდენიმე დღეში ცეკადან თინათინ ჯიქიას ურეკავენ და ბერიასთან იბარებენ. ბერია ცდილობს, თინათინი დაარწმუნოს, რომ მისი მეუღლე სამშობლოს მოღალატე და ხალხის მტერია, რასაც ქალი, რა თქმა უნდა, აპროტესტებს და ბერიას სთხოვს, ქმართან შეხვედრის უფლება მისცეს.

თინათინ ჯიქიას მეუღლის ნახვის უფლებას აძლევენ.

ცოლს ვლადიმერ ჯიქია უყვება, რომ დამნაშავე არ არის და არც სამშობლოსთვის უღალატია, არც პარტიისა და არც ოჯახისთვის. ვისი მიზეზითაც დააპატიმრეს, კარგად ხვდება. „ამ ბრალდებით დიდი-დიდი სამი წელი ვიყო დაკავებული და არავითარ შემთხვევაში არაფერი სთხოვო ბერიასო," – ურჩევს მეუღლეს.

თინათინ ჯიქიამ მხოლოდ რამდენჯერმე მოასწრო ციხეში ამანათის შეგზავნა. ივლისში კი შეატყობინეს, ამანათს ნუღარ გზავნით, ჯიქია გადაყვანილიაო.

he was prepared to get down on his knees in order to gain her consent. Tinatin suggested that he try, and in fact Beria knelt down, yet she still refused his offer.

In 1936 Vladimir Jikia was on a business trip to Moscow where he met Stalin and was awarded the Order of Lenin's for construction. Beria was not thrilled by this news. Vladimir would later tell his wife that he had made enemy in the person of Lavrenty Beria.

Soon afterwards Beria moved to Machabeli Street and he did not phone Tinatin Jikia so often.

One summer the Jikias were in a dacha in Kiketi dining with Petre Agniashvili, Secretary of the Central Committee. Agniashvili proposed a toast to Beria, but Jikia refused to drink to Beria`s health. Agniashvili immediately sent a written denunciation to Beria describing this incident. Beria then sent for Jikia and asked him what he thought about Agniashvili. Jikia spoke favorably of Agniashvili, but then Beria showed him the Agniashvili's denunciation. Jikia tried to justify himself and said that by the time the toast was proposed he had drunk enough, and that was why he refused. Beria smiled, tore the letter to pieces and said: "Can you feel my attitude towards you?" Before Jikia left, Beria gave him some advice: "You do not need to destroy my reputation."

In the Fall of 1936 Jikia was arrested. A few days later somebody from Central Committee phoned Tinatin Jikia and asked her to come to see Beria. Beria tried to assure Tinatin that her husband was a traitor to his country and an enemy of the people. Tinatin did not believe this, of course, and protested and asked Beria to let her see her husband.

Tinatin Jikia was then allowed to meet with her husband.

Vladimir Jikia told his wife that he was not guilty, that he did not betray his country, party and family. He knew very well who was behind his detention. "For this accusation the maximum sentence is only three years, and do not ask Beria to help me" Jikia told his wife. After this Tinatin Jikia managed to send a parcel to the prison only a few times. In July she was informed not to send parcels there, because Jikia had been transferred.



89(1)

3

С П Р А В К А

По делам приговоренных к высшей мере социальной защиты-
.расстрелу - на заседании Коллегии Груз. Г.П.У.
от 2-го Сентября 1930 г.

1. ХАЧИРАШВИЛИ Карум Зурабович,
рождения, беспартийный, частник, име
ший по отпуску домашних обедов.

Злостный скупщик серебряной монеты. Обнаружено при
1.410 р.50к. банковского серебра и серебрянной разменно
неты и 135 рублей золотом царской чеканки.

2. БУРЧУЛАДЗЕ Ясон Иванович, 18
рожд., холост, кассир Кутаисского
ния СОЮЗТРАНСА, беспартийный.

Пользуясь своим положением кассира, со злостной спе
ной целью присваивал серебрянную монету. При обыске у
наружено 493 р.50 к. банковского серебра и серебрянно
ной монеты, на пять рублей медной советской разменной
советских кредитных билетов рублевого достоинства на
123 рубля и большое количество разного дефицитного т
25 дюжин ниток, 170 метров мануфактуры и т.д.

3. КАЧАРАВА Давид Зурабович
бывший член партии меньшевико
торговец, под судом и следстви
дился в 1921 году.

Злостный спекулянт. При обыске у него обнаружено
55 к. банковского серебра и серебряной разменной м
бумажными деньгами и значительное количество разли
дефицитного товара (бакалея, колониальный товар и п

4. ОГАНЯН Арташес Григорьевич, 1897 г.
рожд., заведывающий овощной секцией Ер-
коопа, он-же кассир, бывший частный тор-
говец.

Пользуясь своим положением кассира припрятывал и присваи-
вал со злостной спекулятивной целью мелкое разменное серебро.
При обыске у него обнаружено и отобрано серебряной и разменной

\- 2 -

89(11)

монеты советской чеканки на сумму 180 рублей.

. . . .

5. ГУСЕЙН-ГУСЕЙНОВ, рожд.1894 г., тю-
рок, урож. Дзегам Гянджинского района.
Домовладелец, бывш. торговец. В царской
армии служил в дикой дивизии.

Являясь заклятым врагом сов. власти ГУСЕЙН-ГУСЕЙНОВ еще во
время гражданской войны был активным участником антисоветского
движения. Служил в меньшевитской народной гвардии и был близ-
ским человеком известного меньшевитского карателя начальника
бронепоезда ГОГЕЛАДЗЕ. Имел связь с меньшевитской контр-развед-
кой. После советизации перешел на нелегальное положение и скры-
вался в течении 6 месяцев.

Имел связь с бандой Чолокаева.

Впоследствии устроившись в качестве сторожа водокачки ст.
Дзегам - связался с оперировавшими в этом районе полит-бандита-
ми и занялся скупкой и снабжением их оружием. Для этой цели он
организовал целую сеть агентов по скупке. Особенно усилилась
его деятельность с момента начала кампании по коллективизации,
когда к.р. группировки стали готовиться к организации восстания.

Помимо большого количества оружия, закупленного им для банд
и повстанческих отрядов, ГУСЕЙНОВ умудрился получить также и
взрывчатые вещества (динамит, бикфордов шнур).

Как неисправимый враг совласти и злостный пособник банд-
ГУСЕЙНОВ приговорен к расстрелу.-

П Р Е Д  ГРУЗ  Г П У  /Б Е Р И Я/

ბერიას ხელმოწერილი
რეზოლუციები
**Resolutions Signed by L.Beria**

1937 წელს კი თინათინ ჯიქიასაც აპატიმრებენ, როგორც ვლადიმერ ჯიქიას მეუღლეს, და საქართველოდან ასახლებენ.

სამი წლის შემდეგ თინათინ ჯიქია შეწყალებას ითხოვს და წერილს ბერიას სახელზე აგზავნის, რათა შვილებთან დააბრუნონ. 1940 წელს იგი უკვე სამშობლოში ბრუნდება. ორი წლის თავზე კი თინათინ ჯიქიას მოსკოვში იბარებს ბერია და სურს, როგორც აგენტი, ისე გამოიყენოს გერმანიის წინააღმდეგ და თუ კარგად გაართმევს თავს დავალებას, ჰპირდება, რომ ქმრის შესახებ ყველაფერს უამბობს. თინათინ ჯიქია თანხმდება ბერიას და აგენტურულ საქმიანობაშიც ერთვება. ომის დასრულების შემდეგ კი იგი კვლავ ხვდება ბერიას, რომელიც ხუმრობით იმასაც კი ეუბნება, შენი დახმარებით გერმანიას ომი მოვუგეთო. ხოლო როცა თინათინ ჯიქია მეუღლის ბედით ინტერესდება, ბერია პასუხობს, ვლადიმერ ჯიქია, როგორც სამშობლოს მოღალატე, დახვრიტესო და იქვე სთავაზობს, ცოლად რუს გენერალს გაჰყვეს, რაზეც ბერია კატეგორიულ უარს იღებს.

In 1937 Tinatin Jikia herself was arrested as the wife of Vladimir Jikia, and later she was exiled from Georgia.

Three years later Tinatin Jikia asked for a pardon, and sent a letter to Beria asking to be returned to her children. In 1940 she returned to Georgia. Two years later Beria sent for Tinatin from Moscow, as he apparently wanted to use her as an agent against Germany, and in the case success he promised to give her news of her husband. Tinatin Jikia accepted the offer, and soon she was involved in espionage activities. After the war ended she met Beria again, who joked: “We won the war with your assistance”. But when Tinatin inquired about the fate of her husband, Beria answered that he had been shot. Soon after saying this, Beria proposed that she marry a Russian general. This proposal was categorically refused.

თინათინ ჯიქიამ მოგვიანებით დაკითხვის დროს აღიარა, რომ ლავრენტი ბერიას არაერთხელ უცდია მასთან ინტიმური კავშირის დამყარება, რაზეც ყოველთვის უარს იღებდა. ბერიამ ისიც იცოდა, რომ თინათინ ჯიქია მეუღლეს ყველაფერს უყვებოდა.

ერთხელ, როცა ვლადიმერ ჯიქია ბერიასთან ერთად აგარაკზე ყოფილა, ვლადიმერს ზღაპარი მოუყოლია იმის შესახებ, თუ როგორ ცდილობდა მეფე ვეზირის ცოლთან დაახლოებას. ნადირობის დროს ვეზირს „შემთხვევით" მოუკლავს მეფე. ამ ზღაპრის მოსმენის შემდეგ ბერიას მიტკლისფერი დასდებია სახეზე.

1937 წელს გიორგი ელიავაც, რომელზეც ბერია ეჭვიანობდა, დააპატიმრეს და დახვრიტეს.

## დასასრული

მასობრივი რეპრესიების განმხორციელებელ ლავრენტი ბერიას 1953 წლის ივნისში აპატიმრებენ. მას ბრალად სამშობლოს ღალატი, შპიონიზმი, უდანაშაულო ადამიანების ხოცვა-ჟლეტა, ინტრიგნობა და საქმეების შეთითხნა ბრალდება.

ბერიას საქმეს **მარშალი კონიევი** ხელმძღვანელობდა. დაპატიმრების დღიდან ლავრენტი ბერია მოსკოვის სამხედრო შტაბში იმყოფებოდა და მთელი პროცესიც იქ მიმდინარეობდა.

სასამართლოს დაწყების პირველ დღეს, როცა მსჯავრდებული სასამართლო დარბაზში შეჰყავთ, იგი თავს იგიჟიანებს, ხელ-ფეხს იქნევს და როცა მის დაწყნარებას ცდილობენ, ერთ-ერთ პიროვნებას შარვალზე ღილებს აგლეჯს, ღილები იატაკზე ცვივა, ბერია იხრება, კრეფს ღილებს და მშვიდდება.

მთელი სასამართლო პროცესის დროს, როცა მოწმეთა მოსმენა მიმდინარეობდა, ბერია თავჩაღუნული იჯდა და თავის ქნევით ადასტურებდა მათ ჩვენებებს.

ლავრენტი ბერიას არც მაშინ აუწევია თავი, როცა სასამართლომ დამნაშავედ ცნო და სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა.

*P.S. ლავრენტი ბერიას ცხოვრებისეულ დეტალებსა და დაღუპვის შესახებ სხვადასხვა ვერსიები არსებობს, ჩვენ ერთ-ერთი მათგანი შემოგთავაზეთ. თუმცა სტატია ძირითადად მაინც საარქივო სამმართველოში დაცულ საქმეებზეა აგებული.*

Later, during questioning, Tinatin Jikia acknowledged that Lavrenty Beria tried several times to be intimate with her, but without result. Beria knew that Tinatin Jikia told her husband everything.

Once when Vladimir Jikia was in a dacha with Beria, Vladimir told Beria a fairytale about a king who tried to get close to the vizier's wife. During a hunt the vizier "accidentally" killed the king. When Beria listened to this fairytale, he blanched with terror.

## CONCLUSION

A Lavrenty Beria, the man who implemented all of the atrocities we have been discussing, was arrested in June 1953, and charged with high treason, espionage, murdering of innocent people, intriguing and fabricating cases.

Marshal Koniev presided over Beria`s trial. From the very first day of his detention, Beria was held in the headquarters of the Moscow Military District, and the trial took place there.

According to one story, on the first day the hearing, when the accused was brought into the courtroom he pretended to be mad, waved his hands and feet about, and when somebody tried to calm him down he tore off the buttons from somebody's trousers. Supposedly, the buttons fell on the floor, Beria bent, picked up the buttons and calmed down.

During the whole trial, when the witnesses, Beria bowed his head and confirmed their statements by nods, one story goes.

The court found him guilty and sentenced him to the extreme penalty – execution – and Lavrenty Beria supposedly did not even raise his head.

*P.S. There are many different stories about the details of Lavrenty Beria's life: we have suggested only on version of several of those stories, although the article is based mainly on files stored in the Archive Department.*

# სანდრო ახმეტელის საქმე

# THE AKHMETELI CASE

გიორგი კლდიაშვილი
ლევან ავალიშვილი

GIORGI KLDIASHVILI
LEVAN AVALISHVILI



სანდრო ახმეტელი
**Sandro Akhmeteli**

გასული საუკუნის 30-იანი წლები საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს, საინტერესო და ამავე დროს შეუსწავლელ ფურცლად რჩება. ჩვენ მიერ საქართველოს პრეზიდენტის (ყოფილი პოლიტიკურ პარტიათა არქივი) არქივში ნაპოვნია დოკუმენტი, რომელიც ეხება რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელის, **ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელის** და მისი დასის რეპრესირების ფაქტებს. დოკუმენტი ბევრ საინტერესო ფაქტობრივ მასალას შეიცავს არა მარტო კონკრეტულად ამ ერთი მოვლენის, არამედ მთლიანად ეპოქის შესახებ, რომელიც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ და რთულ პერიოდს წარმოადგენს.

1956 წლის 11 თებერვალს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ მოხდა რუსთაველის თეატრის მხატვრული ხელმძღვანელის, რეპრესირებულ ალექსანდრე ახმეტელის და ამავე თეატრის თანამშრომლების – **პლატონ კორიშელის, ელგუჯა ლორთქიფანიძის, გია ქანთარიას, ივანე ლაღიძის, თამარ წულუკიძე-ახმეტელის, ბუჟუჟა შავიშვილისა და ნინო ღვინიაშვილის** რეაბილიტაცია.

ეს პიროვნებები საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სამხედრო კოლეგიის მიერ იქნენ ცნობილნი დამნაშავეებად. ალექსანდრე ახმეტელს ბრალად ედებოდა ის, რომ ეწეოდა ჯაშუშურ საქმიანობას ინგლისის დაზვერვის სასარგებლოდ და ამავე დროს იყო ტროცკისტულ-ზინოვიევური კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრი და მავნებლურ საქმიანობას ეწეოდა ხელოვნების სფეროში. სხვა რესპუბლიკების

The 1930s remain one of the most important and interesting periods of Georgian history, many pages of which remain unstudied. One such blank page that we can now begin to fill in concerns the persecution of Rustaveli Theater director Aleksandre (Sandro) Akhmeteli, together with the theater's entire troupe. The authors have found a file regarding this case in the Presidential Archive Georgia (formerly the Party Archive of the Central Committee of the Communist Party of Georgia). The documents in this file contain numerous interesting materials that concern not only this specific case, but which reflect in general on an epoch that was characterized by very painful and difficult events for our country.

On February 11, 1956, the Military Board of the Supreme Court of the Soviet Union vindicated

ეროვნული თეატრების ხელმძღვანელობის საფარქვეშ მან შექმნა მეამბოხე სამხედრო დაჯგუფებები ბაქოში, სოხუმში, გროზნოში, სტალინირსა და საქართველოს რიგ რაიონებში. ამ მეამბოხე სამხედრო ჯგუფებში პირადად „გადმოიბირა“ 35 ადამიანი.

ალექსანდრე ახმეტელს ბრალად არა მარტო ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობა წაუყენეს, არამედ ისიც რომ ლავრენტი ბერიასა და იოსებ სტალინის ფიზიკურ ლიკვიდაციასაც აპირებდა.[1]

1937 წლის 28 ივნისს ალექსანდრე ახმეტელს, პლატონ კორიშელს, ელგუჯა ლორთქიფანიძეს, გია ქანთარიასა და ივანე ლაღიძეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის მიხედვით მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა ქონების კონფისკაციით, ხოლო თამარ წულუკიძე-ახმეტელს, ბუჟუჟა შავიშვილისა და ნინო ღვინიაშვილს ათწლიანი პატიმრობა.

ალექსანდერე ახმეტელი 1922–1926 წწ. რუსთაველის თეატრში რეჟისორად მუშაობდა, შემდეგ 1935 წლამდე, ანუ მოხსნამდე, მუშაობდა მთავარ რეჟისორად და სამხატვრო ხელმძღვანელად. მოხსნის შემდეგ იგი სამუშაოდ გადავიდა მოსკოვის „მწვანე თეატრში“.

სარეაბილიტაციო კომისიის გამოძიებიდან ჩანს, რომ ახმეტელი 1936 წლის 19 ნოემბერს ქალაქ მოსკოვში და შემდეგ თბილისში იქნა ეტაპირებული. საინტერესოა, რომ მისი დაპატიმრების შესახებ დადგენილება გამოიცა 5 დეკემბერს, ხოლო თავად ახმეტელს წარედგინა 7 დეკემბერს, 18 დღის შემდეგ მისი ფაქტობრივი დაკავებიდან. ახმეტელი დააპატიმრეს პროკურორის სანქციის გარეშე და წინასწარ გამოძიებასა და სასამართლო პროცესში პროკურორი მონაწილეობას არ იღებდა.[2]

ახმეტელი დაკავებული იყო 7 თვის განმავლობაში (1936 წ. ნოემბრიდან 1937 წ. ივლისამდე). როგორც საქმიდან ჩანს, პირველი სამი თვე იგი უარყოფდა ყველა ბრალდებას. მაგრამ შემდგომ, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის გამო, აღიარა არა მარტო ყველა წაყენებული ბრალდება, არამედ „დაასახელა“ 200 ადამიანზე მეტი, ვინც მასთან ერთად „მონაწილეობდა კონტრრევოლუციურ საქმიანობაში“, მათ შორის ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები,

1 შსს საარქივო სამმართველოს მესამე განყოფილების (ყოფილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის - Партархив Грузинского филиала ИМЛ при ЦК КПСС) არქივი – ф. №14, Оп. №31, дело №247 стр. 3.

2 იქვე, გვ. 4-5.

a number of “repressed” persons, including the following: Sandro Akhmeteli, Artistic Director of Rustaveli Theater, and theater employees Platon Korisheli, Elguja Lortkipanidze, Gia Kantaria, Ivane Laghidze, Tamar Tsulukidze-Akhmeteli, Bezhuzha Shavishvili and Nino Gviniashvili. These people had previously been considered guilty by the Military Board. In particular, Sandro Akhmeteli was accused of espionage for the British intelligence services, membership in a Trotsky-Zinoviev counterrevolutionary organization, and “wrecking” in the artistic sphere. Akhmeteli was accused of establishing seditious military groups in Baku, Grozny, Sokhumi, Stalinir and other regions of Georgia with the support of national theater administrations in the other Republics, and of personally recruiting 35 persons as organizers of these groups. Akhmeteli was further not only accused of establishing the above mentioned terrorist organization, but also of plotting to assassinate Lavrenty Beria and Joseph Stalin with the assistance of this organization.[1]

On June 28, 1937 Aleksandre Akhmeteli, Platon Korisheli, Elguja Lortkipanidze, Gia Kantaria and Ivane Laghidze were sentenced to death with property confiscation according to the Article 58 of Penal Code of the Soviet Socialist Republic of Georgia; Tamar Tsulukidze-Akhmeteli, Bezhuzha Shavishvili and Nino Gviniashvili received ten year sentences.

From 1922 to 1926 Aleksandre Akhmeteli had worked as a producer in the Rustaveli Theatre. After that, he held the position of Chief Producer and then Artistic Director until his dismissal in 1935. Following his dismissal, Akhmeteli moved to the Green Theater Moscow.

The investigation conducted by the rehabilitation commission showed that Akhmeteli was arrested on November 19, 1936 in Moscow and then transported to Tbilisi. A number of questions appear concerning Akhmeteli`s arrest: the decision to arrest Akhmeteli was issued on December 5, and Akhmeteli himself was informed of this order on December 7, eighteen

1 Party Archive of the Central Committee of the Central Committee of the Communist Party of Georgia – Today officially referred to as the Presidential Archive of Georgia (Tartarkhiv TsK KPG), f. 14, o. 31, d. 247, p. 3.

დეპუტატები, მწერლები და ა.შ. (მაგ.: **ბუდუ მდივანი, გიორგი ქურულოვი, მიხეილ ჯავახიშვილი, შალვა დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე,** რუსთაველის თეატრის მთელი შემადგენლობა და ა.შ.).[1]

აშკარაა, რომ საქმე გამოყენებულ იქნა არა მარტო კონკრეტულად ახმეტელის საწინააღმდეგოდ, არამედ მთელი ქართული ინტელიგენციისა და პოლიტიკური ელიტის წინააღმდეგ.

სასამართლო სხდომების ოქმებიდან ჩანს, რომ ყოველი ბრალდებულის მიმართ გამოძიება მიმდინარეობდა მხოლოდ რამდენიმე წუთს, ბრალდებულებს გულდასმით არ კითხავდნენ, არ განიხილებოდა წინააღმდეგობები წინასწარ ჩვენებებსა და სასამართლოს დარბაზში მიცემული ჩვენებებს შორის და, რაც მთავარია, სასამართლო არც კი დაინტერესდა, რატომ უარყოფდნენ ბრალდებულები საკუთარ ჩვენებებს სასამართლო პროცესის დროს.

ასე, მაგალითად, ალექსანდრე ახმეტელის მეუღლემ **თამარ წულუკიძემ** სასამართლო პროცესზე მთლიანად უარყო გამოძიების მსვლელობისას მიცემული წინასწარი ჩვენებები და განაცხადა, რომ „გრძნობს თავს დამნაშავედ, ოღონდ თვითონ არ იცის, რაში."[2]

კორიშელმა, ლორთქიფანიძემ, შავიშვილმა და ღვინიაშვილმა კი განაცხადეს, რომ არ ცნობენ თავს დამნაშავეებად, მაგრამ შემდგომ ნაწილობრივ მაინც აღიარეს საკუთარი „დანაშაული".

საინტერესოა, რომ მოწმეების ნაწილი მოგვიანებით თავად იქნენ რეპრესირებულნი და დახვრეტილნი (**ლ. გასვიანი, ა. გიორგაძე, ი. ზურაბიშვილი** და ა.შ.), ხოლო მოწმეებმა, რომლებიც გადაურჩნენ რეპრესიებს, სარეაბილიტაციო საქმის მსვლელობისას სრულიად უარყვეს 1936-1937 წლებში მიცემული საკუთარი ჩვენებები და განაცხადეს, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამომძიებლები დაკავებულნი იყვნენ ჩვენებების გამოძალვითა და ფალსიფიკაციით **(ა. დავითაშვილი, ა. ქავთარაძე, ა. ვასაძე და ა.შ.)**.[3]

ამ მხრივ ნიშანდობლივია რეაბილიტაციის საქმეში არსებული ორი მოწმის ჩვენება. კერძოდ, ვინმე ქვლივიძე, რომელიც ასევე დაპატიმრებული იყო და ერთი პერიოდი ახმეტელთან ერთად იყოფდა საკანს საპატიმროში, უჩვენებს გამოძიებას, რომ ცნობილი რეჟისორი გაუთავებელი წამების შედეგად მიყვანილი იყო

1 შსს საარქივო სამმართველოს მესამე განყოფილების არქივი- ф. №14, Оп. №31, дело №247 стр. 4-5.
2 იქვე, გვ. 6.
3 იქვე, გვ. 6-7.

days after his actual arrest. The arrest was conducted without a prosecutor's order, and a prosecutor did not appear or take part in the preliminary investigation or in the court hearing.[1]

Akhmeteli was detained for 7 months (November 1936-July 1937). The case file materials show that for his first three months of detention he denied absolutely all of the charges, but afterwards under physical and psychological duress Akhmeteli not only admitted his guilt but also "named" more than 200 persons who were supposedly taking part in counterrevolutionary activity together with him. Many of those named were well known political leaders, deputies, and writers, including Budu Mdivani, Giorgi Kurulov, Mikheil Javakhishvili, Shalva Dadiani, Konstantine Gamsakhurdia, Paolo Iashvili, Titsian Tabidze, and the whole Rustaveli Theatre troupe. It must be concluded that Akhmeteli`s case was being used not only against him, but against Georgian intellectuals and the political elite of the entire country.[2]

The minutes of the court hearings clearly show that investigative procedures for each of the accused lasted only several minutes; they were not interviewed properly in connection with the accusations against them, and contradictions between evidence from the preliminary investigations and testimony given during the court hearings were ignored. Further, the court was not even interested in the fact that the accused recanted their confessions; for example Tamar Tsulukidze, Akhmeteli's wife, denied her confession given during the preliminary investigation, and at the court hearing she declared that she "feels guilty herself but does not know what for particularly." Korisheli, Lortkipanidze, Shavishvili and Gviniashvili also declared that they did not recognize their guilt, although later they partly "confessed."

It should be emphasized that some of the witnesses in this case were later arrested and shot (L. Gasviani, A. Giorgadze, and I. Zurabishvili, among others). Those who survived the repressions vigorously denied their confessions given in 1936-37 during the rehabilitation procedures, and they declared that NKVD

[1] Tartarkhiv TsK KPG, f. 14, o. 31, d . 247, p. 4-5.
[2] ibidem – p. 4-5

კრიტიკულ ზღვრამდე. ახმეტელი, ქვლივიძეს ცნობით, ნანობდა, რომ თავის დროზე არ „აღიარა“ ყველა ის მოგონილი ბრალდება და ამით არ შეწყვიტა გამოძიება და წამება. ამავე დროს ახმეტელს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ მის წინააღმდეგ წამოწყებული საქმის უკან იდგა თავად ლავრენტი ბერია, რომელთანაც მას არც თუ ისე კარგი დამოკიდებულება ჰქონდა.[1]

მეორე მოწმე, ვინმე **ატაშიანი,** როგორც შსსკ-ის ყოფილი თანამშრომელი, ადასტურებს, რომ გამომძიებელი შეკოტიხინი, რომელსაც მხეიძესა და პოდოლსკაიასთან ერთად იძიებდა რუსთაველის თეატრის საქმეს, იყენებდა ბრალდებულების მიმართ განსაკუთრებით სასტიკ ფიზიკური ზემოქმედების საშუალებებს. იგივე დაადასტურეს რეაბილიტაციის პროცესის დაწყებისთვის ცოცხლად გადარჩენილმა ახმეტელის მეუღლემ და ნინო ღვინიაშვილმა (სხვათა შორის, იმავე, 1937 წელს, ამ საქმის გამომძიებლები შსსკ-ის თანამშრომლები – **მხეიძე და შიკოტიხინი** თავად იქნენ ბრალდებულნი შპიონაჟში და მათაც სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიესაჯათ, ხოლო პოდოლსკაია დააპატიმრეს, როგორც ანტისაბჭოთა ტერორისტული ორგანიზაციის წევრ შუტოვის მეუღლე. მართალია, პოდოლსკაიას საქმე შეაჩერეს, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი დაუდგენელი დარჩა).[2]

დოკუმენტში კარგად არის გამჟღავნებული ყველა ის რეალური მოტივი, რომელიც საფუძვლად ედო ახმეტელის საქმეს. როგორც ირკვევა, სანდრო ახმეტელსა და რუსთაველის თეტრის მსახიობებზე დაკვირვება სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოსა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებმა ჯერ კიდევ 1928 წლიდან, ანუ იმ პერიოდიდან დაიწყეს, როცა მოხდა სამსახიობო კორპორაცია „დურუჯის“ დახურვა. ეს გაერთიანება 1924 წელს **კონსტანტინე მარჯანიშვილის** ინიციატივით შეიქმნა და მასში გაერთიანდნენ ქართული თეატრის წამყვანი სახეები. გამოძიების მასალებიდან ჩანს, რომ ლავრენტი ბერია, როგორც საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ხელმძღვანელი, პირადად ხელმძღვანელობდა დაკვირვებას. 1930 წელს მისი უშუალო ბრძანების საფუძველზე რუსთაველის თეატრი გასტროლებზე საზღვარგარეთ არ გაუშვეს.[3] ეს ფარული დაკვირვება უშუალოდ ახმეტელის დაკავებამდე გრძელდებოდა.

---

[1] შსს საარქივო სამმართველოს მესამე განყოფილების არქივი – ф. №14, Оп. №31, дело №247 стр. 14.
[2] იქვე, გვ. 14.
[3] იქვე, გვ. 13.

investigators usually obtained confessions through torture and also fabricated evidence (for example, A. Davitashvili, A. Kavtaradze, and A. Vasadze).[1]

From this point of view, testimony from two witnesses is particularly important: a certain Kvlividze who was also arrested and placed in the same cell with Akhmeteli later stated that the famous producer was brought to the breaking point and forced to confess through ceaseless torture. According to Kvlividze, Akhmeteli regretted that he did not “confess” all of the fabrications sooner to end the investigation and the torture. Akhmeteli had also realized that the person behind the case against him was Lavrenty Beria himself, with whom Akhmeteli had a poor relationship.[2]

Another witness, one Atashian who introduced himself as a former employee of the NKVD, admitted that Shekotikhin, the investigator handling the Rustaveli Theater case together with Mkheidze and Podolskaia, often used especially brutal methods of coercion. The same was admitted by Akhmeteli`s wife and by Nino Gviniashvili, who survived until the start of the rehabilitation process (incidentally, two of the investigators of the case, NKVD officials Mkheidze and Shikotiknin, were arrested later the same the same year, in 1937, and both were sentenced to death; Podolskaia was arrested because her husband Shutov was convicted of conspiracy against the Soviet


Прокуратура Союза ССР
ВОЕННЫЙ ПРОКУРОР ЗАКАВКАЗСКОГО ВОЕННОГО ОКРУГА
июля 1955 г.
№ 004347
СЕКРЕТАРЮ ЦЕ
Тов
Военной Пр
Округа, в связи с по
репрессированных в 1
зии, бывших:- художе
Гос. драматического
сандра Васильевича и
ШЕЛИ П.Е., ЛОРТКИПАН
И.В., ШАВИШВИЛИ Б.Л.
ШВИЛИ Н.Л.- произвед
указанных лиц.
Установлен
репрессированы неосн
сфальсифицированных
разоблаченного врага
А.В. питал личную вр
Берия возм
считался с его лично
нем отзывался отриц
восстановлении на ра
плины и пьянство ХО
В фальсифи
люционных преступле
ков театра им. Руста
САДЗЕ А.А., член КП
АХМЕТЕЛИ и других д
ими контрреволюцион
ВАСАДЗЕ А
он-ВАСАДЗЕ служил в
ее разгрома. Устано
третил враждебно, т
воевателями". В 192
виков, осевших в те
в их нелегальной ра
в антисоветскую раб

- 6 -
ВОПРОС:-Как конкретно называл А.В.
ционно-националистическую
культурной гегемонии Грузи
республиками?
ОТВЕТ:- По существу АХМЕТЕЛИ имел
монию, а установление связ
националистическим элемен
платформу он излагал так:
шизмом свергнута в ближай
должны сидеть сложа руки.
видом культурной связи мы
боты театра "Руставели"
и разжигать ненависть про
с этим мы должны увязатьс
ционалистической интелли
для того, чтобы подготови
борьбе за свержение Сов
Эта платформа была и
и неоднократно повторяла
формой были знакомы и по
САДЗЕ Акакий Алексеевич,
кури, АХСОБАДЗЕ Шота, КАН
ВОПРОС:-Какие конкретные шаги п
проведению в жизнь этой
ОТВЕТ:- 1/ Мне хорошо известно
держивал тесную связь на контрреволюционно-национа
налистической почве с Симоником ПИРУМОВЫМ, проводив
шим контрреволюционно-националистическую работу в
Армении. В отношении ПИРУМОВА - АХМЕТЕЛИ мне говорил,
что ПИРУМОВ будучи в Париже связался с эмигрантами,
с которыми продолжает поддерживать тесную связь,
действует по их указаниям и получает из заграницы
деньги. В 1934г. АХМЕТЕЛИ меня познакомил с Симоникой
ПИРУМОВЫМ в "Orианте". По Тбилиси с ПИРУМОВЫМ были
связаны писатели Тициан ТАБИДЗЕ и Николо МИЦИШВИЛИ.
уже показывал. Могу добавить следую-

---

[1] Ibid., p. 6
[2] Ibid., p. 14.

საქმეში აგრეთვე აღწერილია ახმეტელსა და ბერიას შორის დაპირისპირებაც, რაც გამოწვეული იყო, პირველ რიგში, ახმეტელის ფეთქებადი ხასიათით და იმით, რომ მას არ სურდა, ბერიას ყველა ბრძანებისა თუ სურვილის უსიტყვო შესრულება. სხვა წყაროს ცნობით, ახმეტელმა მეგობრებთან საუბარში უხეში სიტყვებით მოიხსენია ლავრენტი ბერია. კონსტანტინე გამსახურდიასა და ჯიქიას ჩვენებებით, 1935 წელს პირად საუბარში ახმეტელმა ძალზე უხეშად და უცენზურო სიტყვებით მიმართა ბერიას.[1]

კაჭარავას ჩვენებით, 1935 წლის ზაფხულში ის შესწრებია დეკანოზოვსა და ბერიას შორის საუბარს, როდესაც ეს უკანასკნელი გაბრაზებული აღნიშნავდა, რომ „თავგასულმა" ახმეტელმა მისი ნებართვის გარეშე რუსთაველის თეტრში დაკიდა სტალინთან ერთად გადაღებული სურათები და იქვე გამოთქვა მისი ფიზიკური ლიკვიდაციის სურვილი.[2]

თავის მხრივ, ბერიამ ისარგებლა იმ დაპირისპირებით, რომელიც არსებობდა

[1] შსს საარქივო სამმართველოს მესამე განყოფილების არქივი – ф. №14, Оп. №31, дело №247 стр. 12.
[2] იქვე, გვ. 12.


Копия с копии.-

ПРОТОКОЛ ДОПРОСА

свидетеля ВАСАДЗЕ Акакия Алексеевича -

1899г.р., грузина, гр-на СССР, ур.Кутаисского района, режиссера, руководителя худ. части театра им.Руставели, прож. в г.Тбилиси.-

от 4 мая 1937 года.

Ш Отдел УГБ НКВД ГССР.-

ВОПРОС:-Сообщите следствию о ваших политических взглядах непосредственно после Советизации Грузии?

ОТВЕТ:- Советизация Грузии застала меня в г.Батуми куда я отступал вместе с меньшевистской армией, служа в 9 Аспинзском батальоне в качестве пулеметчика. В этот период убеждения мои были явно контрреволюционные. На большевиков и Советскую власть я смотрел как на "русских завоевателей". Мои стремления сводились к мысли как бы "спасти" Грузию от большевиков и добиться ее полной независимости. Вращаясь в среде меньшевиков я полностью разделял их политические установки, а после советизации, непосредственно принял участие в нелегальной меньшевистской организации.

ВОПРОС:-С кем из участников к/р.партии Вы были связаны в этот период?

ОТВЕТ:- Начиная с 1921г.марта-апреля м-ца я поддерживал связь с меньшевиками Василием АРАБИДЗЕ, Александром Ражденовичем ЦУЦУНАВА, Шалвой АМИРАДЖИБИ и Федором ВАСАДЗЕ. До 1923 года мы вели активную контрреволюционную пропаганду как в театре Руставели, так и в среде своих знакомых и возлагали все надежды на Ноя Жордания, который по нашему убеждению при помощи Германии и Франции должен был "освободить" Грузию от большевиков в Советской власти.

ВОПРОС:-Существовала ли в театре им.Руставели в указанный Вами период нелегальная меньшевистская ячейка и какую конкретную контрреволюционную работу Вы проводили?

ОТВЕТ:- Да, меньшевистская ячейка действительно существовала. Была она организована в 1922 году Васо АРАБИДЗЕ и Александром Ражденовичем ЦУЦУНАВА. До 1923 года включительно состав меньшевистской ячейки в театре им.Руставели был следующий:-

1. Васо АРАБИДЗЕ, 2. Платон Евгеньевич КОРИШЕЛИ, 3. Сандала ГАЧЕЧИЛАДЗЕ, 4. Александр МГАЛОБЛИШВИЛИ, 5. Акакий ВАСАДЗЕ, 6. Александр ЖОРЖОЛИАНИ, 7. Александр ЦУЦУНАВА.

В 1923 году наша меньшевистская ячейка пополнилась новыми членами в лице Акакия Алексеевича ХОРАВА и Васо ПАТАРАЯ. Несколько позже вступил и Иа Николаевич КАНТАРИЯ.

Работа, проводимая ячейкой до 1923 года сводилась к ведению контрреволюционной агитации и пропаганды, а с середины 1923 года мы начали систематически собирать деньги в пользу нелегальной контрреволюционной работы.

**აკაკი ვასაძის დაკითხვის ოქმი**

**Minutes from Akaki Vasadze's testimony**

Union. Later Podolskaia`s case was suspended, but her whereabouts remained unknown).[1]

The documents in the file clearly show all of the actual motives that formed the basis for the Akhmeteli case. The materials show that the OGPU and NKVD had been conducing surveillance of Sandro Akhmeteli and the other actors of the Rustaveli Theatre since 1928. That was the period when the artists` cooperative Duruji, was closed. This union was established in 1924 on the initiative of Konstantine Marjanishvili, and it the gathered the leading figures in Georgian theatre. The materials from the investigations demonstrate that Lavrenty Beria, as head of the Georgian OGPU, personally supervised the surveillance. In 1930, on Beria's order, the Rustaveli Theatre's overseas tour was cancelled.[2] The surveillance was continued up until Akhmeteli`s arrest.

The case file also provides descriptions of the disagreements between Akhmeteli and Beria. The first point of conflict was Akhmeteli`s hot temper: he simply did not want to obey Beria`s orders and bend to his will. According to some sources, Akhmeteli spoke about Beria offhandedly in conversations with friends. Based on statements from Konstantine Gamsakhurdia and Jikia, during private conversation in 1935 between Beria and Akhmeteli the latter addressed Beria roughly, using very vulgar words.[3] According to Kacharava`s evidence, he (Kacharava) overheard a conversation between Dekanozov and Beria in the Spring of 1935 and heard Beria angrily referring to the "impudent" Akhmeteli, who had hung a photo taken with Stalin in Rustaveli Theater without his permission. Of course, Beria took advantage of a confrontation between the Artistic Director and two of the theater's leading actors, Akaki Khorava and Akaki Vasadze, and tried his best to exacerbate the quarrel between the artists and their supporters. This story ended with the demotion of Akaki Vasadze by Akhmeteli, and Khorava was sacked from the theater. Akhmeteli did not obey a direct order from Beria to restore Khorava and Vasadze to their positions, and with this Beria`s patience ran out.

[1] Archive of the III Section of the Archive Administration of the MoIA – f.#14; file #247; p. 14
[2] Ibid., p. 13
[3] Ibid., p. 12

რუსთაველის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელსა და თეატრის წამყვან მსახიობებს (**აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე**) შორის და ყველანაირად ცდილობდა, კიდევ უფრო გაეღრმავებინა შუღლი ხელოვანებს შორის და ერთმანეთისთვის გადაეკიდა მათი მხარდამჭერი ბანაკები. ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ 1935 წელს სანდრო ახმეტელმა დააქვეითა აკაკი ვასაძე, ხოლო აკაკი ხორავა საერთოდ გააძევა თეატრიდან. ამავე დროს ახმეტელმა არ შეასრულა ბერიას უშუალო ბრძანება და ხორავა და ვასაძე თავიანთ ძველ თანამდებობებზე არ აღადგინა. ეს ზუსტად ის ბოლო წვეთი იყო, რამაც აავსო ბერიას მოთმინების ფიალა. იმავე წელს ახმეტელი გადააყენეს დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო ერთ წელიწადში წაუყენეს შპიონაჟის და ათასი სხვა სახის შეთითხნილი და მოგონილი ბრალდება.

დოკუმენტი ააშკარავებს მეტად მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ახმეტელის საქმეში მთავარი მოწმის სტატუსი ჰქონდა აკაკი ვასაძეს. სწორედ მისი ჩვენებების საფუძველზე მოხდა ძირითადი ბრალდებების ფორმულირება და შემდგომში წაყენება. ვასაძემ, ახმეტელთან ერთად, უშუალო „კონტრრევოლუციურ“ საქმიანობაში ამხილა და საბრალდებო ჩვენება მისცა ბევრი ცნობილი პიროვნების შესახებ. მათ შორის აღმოჩნდნენ: მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, შალვა დადიანი და სანდრო შანშიაშვილი; მსახიობები: ხორავა, საღარაძე, ჯაფარიძე, იმდროინდელი პოლიტიკური მოღვაწეები: ბ. მდივანი, მ. ორახელაშვილი, ლ. გოგობერიძე, პ. ორჯონიკიძე, ლიდია გასვიანი; ასევე მხატვარი დიტო შევარდნაძე და სხვები.[1]

ვასაძის ჩვენებებით, სანდრო ახმეტელი მიზანმიმართულად ეწეოდა კონტრრევოლუციურ, მავნებლურ სქმიანობას თეატრში, კონტაქტი ჰქონდა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართულ ემიგრაციასთან, რომლისგანაც პერიოდულად იღებდა ფინანსურ დახმარებას, დგამდა ანტისაბჭოურ სპექტაკლებს, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა რესპუბლიკის (განსაკუთრებით უკრაინული) თეატრების ხელმძღვანელებთან, რომლებთანაც ერთად არჩევდა ნაციონალურ თემებს, ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა მეამბოხე ჯგუფს თეატრში, სტუდენტებში აღვივებდა ანტისაბჭოურ სულისკვეთებას და პირად საუბრებში მუდამ ნაციონალურ თემებზე ამახვილებდა ყურადღებას, იყო პროფაშისტურად განწყობილი და თავის თანამოაზრეებთან ერთად აპირებდა

[1] შსს საარქივო სამმართველოს მესამე განყოფილების არქივი – ф. №14, Оп. №31, дело №247 стр. 7.

The same year Akhmeteli was dismissed from his position, and a year later he was accused of espionage and many other fabricated charges.

The file also reveals one very important fact: it shows that Akaki Vasadze was a main witness in the Akhmeteli case. It was Vasadze`s testimony that became the basis for formulation of the central accusations. Besides Akhmeteli, Vasadze alleged that many famous persons were directly involved with “counter-revolutionary” activity. Focus was especially made on well-known political figures, writers, and artists, including writers and poets like Mikheil Javakhishvili, Titsian Tabidze, Paolo Iashvili, Konstantine Gamsakhurdia, Dadiani, and Shanshiashvili, artists such as Khorava, Sagaradze, Kaparidze, and Dito Shevardnadze, and political officials of the period such as Budu Mdivani, Mamia Orakhelashvili, L. Gogoberidze, P. Orjonikidze, and Lidia Gasviani.[1] According to Vasadze’s statement, Sandro Akhmeteli purposefully conducted counterrevolutionary sabotage at the theater, had contacts with Georgian émigrés abroad and regularly received financial support from them, staged anti-Soviet theatrical performances, kept close relations with the administrations of theatres from different Soviet republics (especially in Ukraine), focused on nationalistic themes together with the members of these theater administrations, established and headed a seditious group at the theater, supported the incitement of an antisocial spirit among students, always emphasized nationalist themes in his private conversations, and because his pro-Fascist spirit conspired together with other accomplices to assassinate Lavrenty Beria and other party leaders.[2]

Vasadze was summoned for interrogation three times, and his list of “counter revolutionary organizations” was repeatedly updated and new names were added. As a result, six more people were sacrificed to the meat grinder, among them Petre Otskheli, Vakhtang and Ivane Abashidze, and Aleksandre Tarkhnishvili.[3]

[1] Ibid., p. 7.
[2] Ibid.,pp. 18-24., 25-35., 36-38.
[3] Ibid., p. 10.

ლავრენტი ბერიასა და სხვა პარტიული მოღვაწეების ლიკვიდაციას.[1]

ვასაძე სამჯერ იყო დაბარებული გამომძიებლებთან ჩვენებების მისაცემად და ყოველი  მისვლისას ახმეტელის „კონტრრევოლუციური ორგანიზაციის“ წევრთა სია ახალი სახელებით ივსებოდა. შედეგად რეპრესიებს შეეწირა კიდევ 6 პიროვნება, მათ შორის პეტრე ოცხელი, ვახტანგ და ივანე აბაშიძეები, ალექსანდრე თარხნიშვილი.[2]

აკაკი ვასაძის ჩვენებებში ჩვენ ვეცნობით რუსთაველის თეატრში წლების განმავლობაში მიმდინარე მოვლენებს, თანამშრომელთა ცხოვრების დეტალებს, ასევე იმ დაპირისპირებას, რომელიც არსებობდა თეატრის თანამშრომელებს შორის და იმ როლს, რომელსაც ამ დაპირისპირებაში თამაშობდა ცკ-ს პირველი მდივანი ლავრენტი ბერია.

რეაბილიტაციის საქმის მსვლელობისას აკაკი ვასაძე კვლავ იქნა დაკითხული ახმეტელის საქმესთან დაკავშირებით. ამჯერად მან უარყო ყველა ის ბრალდება, რომელიც წაუყენეს რუსთაველის თეტრის სამხატვრო ხელმძღვანელს მისი ჩვენებების საფუძველზე.[3]

მან აგრეთვე უარი განაცხადა, დაედასტურებინა საკუთარი დაკითხვის ოქმები. მხოლოდ მას შემდეგ, რაც კრიმინალისტიკურმა ექსპერტიზამ დაადასტურა ოქმებზე მისი ხელმოწერების უტყუარობა[4], ვასაძემ აღიარა, რომ ოქმები არ იყო გაყალბებული, თუმცა ვერ ახსნა ის ფაქტი, თუ საიდან გაჩნდა მისი ხელმოწერები დოკუმენტზე. ერთადერთი ახსნა, რომელიც თავად ვასაძემ მოუძებნა ამ ფაქტს, იყო ის, რომ ბერიამ ფსიქოლოგიურად მოამზადა იგი, ხოლო გამომძიებლებმა ისარგებლეს მისი დაბნეულობით და შეუცვალეს დაკითხვის ოქმი ხელმოწერისას.[5]

მიუხედავად იმისა, რომ 1937 წლის 14-16 აპრილს მიცემულ ჩვენებებში აკაკი ვასაძემ სანდრო ახმეტელისა და მისი ჯგუფის „კონტრრევოლუციური მოღვაწეობის“ მრავალი ფაქტი ამხილა, 1955 წლის 20 აპრილს სარეაბილიტაციო კომისიისთვის მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავდა, რომ ახმეტელის კონტრრევოლუციურ საქმიანობაზე მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა.[6]

1 შსს საარქივო სამმართველოს მესამე განყოფილების არქივი–ф. №14, Оп. №31, дело №247 стр. 18-24., 25-35., 36-38.,
2 იქვე, გვ. 10.
3 იქვე, გვ. 39-41.
4 იქვე, გვ. 51-52.
5 იქვე, გვ. 49-50.
6 იქვე, გვ. 42.

Vasadze's testimony gives us an opportunity to learn about how events developed at Rustaveli Theater during those years and to become acquainted with the personal details of the theater staff as well as the confrontation among them and the key role played by Beria – the First Secretary of the Central Committee – in these confrontations.

Akaki Vasadze was interviewed again in connection with the Akhmeteli case during the rehabilitation process. At that time, he denied all of the accusations leveled against the Artistic Director of Rustaveli Theater that were based on his statements. He also denied the authenticity of the minutes of his statements. It took forensic specialists to prove the authenticity of his signature on the minutes, and Vasadze confessed that the minutes were not forged, though he could not explain how his signatures appeared on the documents.[1] The only explanation Vasadze could offer was that Beria had acted on him psychologically, and the investigators took advantage of his condition and successfully substituted the minutes at the last moment for him to sign.[2]  In spite of the Vasadze`s statement, dated April 14/16, 1937, and testimony on a number of facts concerning "counter revolutionary activity" by Sandro Akhmeteli and his troupe, on April 20, 1955 in a statement given to the rehabilitation commission Vasadze said that he had no information about any counter revolutionary activity conducted by Akhmeteli.[3]

On July 6, 1955 Judge Advocate Colonel Tsumarov presented his conclusion on Sandro Akhmeteli and the Rustaveli Theater personnel persecuted as a result of the Akhmeteli case. The conclusion states: "I believe that the judgment imposed on all persons involved should be considered invalid, and case closed due to the absence of a crime".

The documents in Akhmeteli`s case file present consistently and thoroughly the entire pathos of the 1930s. Sandro Akhmeteli`s case gives us a clear understanding of the events of that era; it describes various aspects of social life, gives a clear picture of

1 Ibid., p. 39-41.
2 Ibid., p. 49-50.
3 Ibid., p. 14.

1955 წლის 6 ივლისს სამხედრო პროკურორმა, პოლკოვნიკმა **ა. ცუმაროვმა** წარმოადგინა დასკვნა სანდრო ახმეტელის და მისი საქმის მიხედვით რეპრესირებული რუსთაველის თეატრის თანამშრომლების შესახებ, რომელშიც აღნიშნულია: ვთვლი, რომ ამ საქმით გასამართლებული ყველა პირის მიმართ წაყენებული განაჩენი უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად და საქმე შეწყდეს მასში დანაშაულის არარსებობის გამო.[1]

სანდრო ახმეტელის საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტი დეტალურად და თანმიმდევრულად ასახავს იმ პერიპეტიებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში გასული საუკუნის 30-იან წლებში. ზემოაღნიშნული საქმიდან შესაძლებელია, თვალნათლივ წარმოვიდგინოთ ის მოვლენები, რომლებიც მიმდინარეობდა საქართველოში გასაბჭოების ეპოქაში, აღწერილია, თუ რა გავლენას ახდენდნენ ცალკეული პიროვნებები საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე, პირადი ამბიციები და ინტერესები როგორ იხლართებოდა პოლიტიკურ ინტრიგებში, თუ როგორ შეიძლებოდა, პიროვნულ დაპირისპირებას ათეულობით და ასეულობით ადამიანის სიცოცხლე შესწირვოდა.

დოკუმენტი ფარდას ხდის და აშიშვლებს იმ დაუნდობელი და ბოროტი სტრუქტურის მუშაობის მთელ მექანიზმს, რომელსაც 30-იანი წლების საიდუმლო სამსახური ერქვა და რომელსაც სათავეში ლავრენტი პავლეს ძე ბერია ედგა. დოკუმენტიდან ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ხდებოდა ჩვენებების გამოძალვა, გაყალბება, ადამიანების გამოყენება და, რაც განსაკუთრებით მძიმეა, მათი ფიზიკური ლიკვიდაცია.

სანდრო ახმეტელისა და მისი დასის საქმე ერთ-ერთია, მაგრამ გამორჩეული და საინტერესო იმ ზღვა მასალიდან, რომელიც ინახება შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივებში.

how ambitions and interests were linked and turned into intrigues that resulted in personal confrontation, and consequently the loss of hundreds of lives. The documents clearly show the whole mechanism of that brutal and ruthless structure called the “organs of state security” and headed by Lavrenty Beria: it describes how evidence was obtained under pressure, how statements were fabricated, and most importantly, how people were physically liquidated.

Sandro Akhmeteli and his troupe’s case is one of the most interesting and notable files from among the huge amount of materials that are kept in the Archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia.


51/ 116

საქართველოს სსრ
იუსტიციის სამინისტრო

Грузинская ССР
МИНИСТЕРСТВО ЮСТИЦИИ

თბილისის სასამართლო-სამეცნიერო კრიმინალისტური ლაბორატორია
ТБИЛИССКАЯ НАУЧНО-ИССЛЕДОВАТЕЛЬСКАЯ КРИМИНАЛИСТИЧЕСКАЯ ЛАБОРАТОРИЯ
ქ. თბილისი, ათარბეკოვის ქ. № 32—г. Тбилиси, ул. Атарбекова № 32. ტელ.—тел. 3-08-88

Сов.секретно

კრიმინალისტური ექსპერტიზის აქტი
АКТ КРИМИНАЛИСТИЧЕСКОЙ ЭКСПЕРТИЗЫ № 229/Гр.

შედგენილია / Составлен „5" Мая 1955 წ.г.

По архивно-следственному делу № 966716, по обвинению АХМЕТЕЛИ Александра Васильевича, и других.

26-го Апреля 1955 года в Тбилисскую Научно-Исследовательскую Криминалистическую лабораторию Министерства Юстиции Грузинской ССР, из Военной Прокуратуры Зак.ВО, при постановлении от 23-го Апреля 1955 года помощника Военного Прокурора Зак.ВО, майора юстиции Авания, для производства криминалистической экспертизы поступили:

Протоколы допроса Васадзе Акакия Алексеевича от 7.УI-1937 г., 4.У-1937 г., 4.У-1937 г. и от 14-16-го Апреля 1937 года.

На разрешение экспертизы поставлен следующий вопрос:

Выполнены ли подписи от имени Васадзе Акакия Алексеевича на протоколах его допроса от 7.УI-1937 г., 4.У-1937 г., 4.У-1937 г. и от 14-16-го Апреля 1937 года, самим Васадзе Акакием Алексеевичем?

В качестве материалов для сравнительного исследования представлены свободные образцы почерка и подписи Васадзе А.А. на личном листке по учету кадров от 13.XI-1950 г., на автобиографии от 13.XI-1950 г., на 2-х автобиографиях без дат /одна из них кончается фактами, относящимися к 1938 году, а другая – к 1942 году/ и экспериментальные образцы подписи на собственноручном показании от 20.IУ-1955 года, в количестве 14-ти на 14-ти листах.

После ознакомления с материалами, на исследуемых документах был поставлен штамп "ТНИКЛ", на образцах – "Образец".

Производство экспертизы поручено старшему эксперту Мгеладзе О.М. и эксперту Жгенти О.В., имеющим высшее юридическое образование, квалификацию экспертов-криминалистов и 4-х летний стаж экспертной работы.

Эксперты предупреждены об уголовной ответственности за отказ от дачи заключения и за дачу заведомо ложного заключения.

/МГЕЛАДЗЕ/ /ЖГЕНТИ/

/на обороте/

ექსპერტიზის აქტი
**Forensic analysis results**

[1] შსს საარქივო სამმართველოს მესამე განყოფილების არქივი – ф. №14, Оп. №31, дело №247 стр. 14.

# ნემსის წვერით გამოზრდილი ბავშვი

### (სტალინის დედის, კეკეს მოგონებანი)

# A Child Brought Up Thanks To Needle-Point

### (MEMOIRS OF KEKE, STALIN'S MOTHER)



ეკატერინე ჯუღაშვილი

**Ekaterine Jugashvili**

ჩემი თავი ღამბარეულიდან მახსოვს. აუარებელი ჭაობების გამო იგი ციებ-ცხელების ბუდედ იყო გადაქცეული. ამიტომ თავზე ხელაღებული უნდა ყოფილიყო ადამიანი, იქ რომ ეცხოვრა.

ღამბარეული ჩემი მშობლების სამშობლო არ ყოფილა. ისინი სვენეთელები იყვნენ. მამაჩემი ხელობით მეჭურჭლე იყო. დედაც და მამაც ამილახვრების ყმებად ითვლებოდნენ, მაგრამ მამაჩემმა ბატონის უჯიათობას რომ ვერ გაუძლო, სვენეთიდან გაიქცა და ცოლ-შვილით ღამბარეულს შეაფარა თავი.

მე მყავდა ორი ძმა – გიო და სანდალა. მამა ციებ-ცხელებამ შეიპყრო და საშინელ ტანჯვაში დაალევინა სული.

ჩვენს ბედზე ბატონყმობა გადავარდა და დედაჩემის რჩევით გორში გადავსახლდით. დროებით ნათესავებთან ვცხოვრობდით. თუ ღამბარეულში მუდამ თავი მიმძიმდა და გაბრუებული ვიყავი, აქ გამოვცოცხლდი, მოვმაგრდი, ჩემს ტოლებში სახარბიელო და თავმომწონე ქალი შევიქენი.

ძმებს შუამავლებიც მოუვიდა. ბესო ჯუღაშვილს ჩემი თხოვნა უნდოდა. იგი ქარგლად მუშაობდა ფეხსაცმელების სახელესნოში.

ნიშნობამაც არ დააყოვნა. ქორწილიც დიდი გავაჩაღეთ. ორი მეჯვარე გვყავდა. უფროსმა მეჯვარემ, იაკოფ ეგნატაშვილმა დიდი ამაგი დაგვდო ოჯახის შექმნაშიც და მერეც. ბედნიერ

I recall that I came from Gambareuli. Because of huge bogs, this place became a nest of fevers and chills. Therefore one should be very foolhardy to live in such a place.

Gambareuli was not the native land of my parents. They were from Svaneti. My father was a potter. Both my mother and my father were the serfs of the Amilakhvari family, but my father could not bear his master's obstinate spirit, so he and his wife and children escaped from Svaneti and took shelter in Gambareuli.

I had two brothers – Gio and Sandala. My father fell ill with fever and passed away.

Luckily, serf ownership was abolished and on my mother's advice we moved to Gori, where we lived temporarily lived with our relatives. If in Gambareuli I often had headaches and felt ill, in Gori I revived, restored my health, and became pleasant and desirable to my peers.

The matchmakers began approaching my brothers. Beso Jugeli wanted to marry me. He was a shoemaker in a workshop.

ქალად მიმაჩნდა თავი, ჩემი ბესო კარგი მეოჯახე კაცი გამოდგა.

ბესოს წინაპრები მეჯოგეები გახლდნენ, ამიტომაც ჯოგანეებს ეძახდნენ თურმე. ისე სულ სხვა გვარის, გერელები ყოფილან. გერელები დიდად შეუწუხებიათ მთიდან წამოსულ ოსებს. ბესოს წინაპრები მაჩაბლებს შეუწყნარებიათ და ლილოში დაუსახლებიათ.



ბესომ თავის საქმე გააუმჯობესა და საკუთარი სახელოსნო გახსნა. ერთი წლის შემდეგ კი ჩვენი ბედნიერება იმით დაგვირგვინდა, რომ ბიჭი შეგვეძინა. ბესო კინაღამ გადაირია სიხარულით და დიდი ნათლობაც გააჩაღა. თუმცა სიხარული მწუხარებით შეგვეცვალა, რადგანაც ბავშვი ორი თვისა გარდაგვეცვალა.

მეორე წლის თავზე მეორე ბიჭი შეგვეძინა, მაგრამ არც ამ ბავშვს ეწერა დღეგრძელობა, ისიც ნაადრევად გარდამეცვალა.

მესამეც ბიჭი მეყოლა. ნათლობა დავაჩქარეთ, მოუნათლავი რომ არ გარდაგვცვლოდა. დედაჩემმა წმინდა გიორგის შანა დაჰკიდა ბავშვს ყელზე და ბესოს უთხრა, გერში წავიდეთ საღმრთოს შესაწირადო.

აი, ეს ამბები გადაგვხვდა ჩემი სოსოს შეძენამდე.

***

თუმცა ბავშვი ცოცხალი შეგვრჩა, მაგრამ იგი ძალიან სუსტი აგებულების გამოდგა. მეტად ნაზი იყო, კაკაროტი, ხორცი ვერ მოვაკიდებინეთ. სადმე ავადმყოფობა რომ გაჩენილიყო, პირველი მას დაეტაკებოდა ხოლმე. საჭმელში ეჯავრებოდა ხორცეული, სამაგიეროდ ლობიოს ჭამდა მადიანად.

ერთხელაც ორქარზე ჯდომის გამო ენა ჩაუვარდა. ყველას ეგონა, სოსოს ავი სული დაეცა და კვდებაო, მაგრამ ბავშვი გადაგვირჩა. ეს ავადმყოფობა კი იმის საბაბი გახდა, სოსო გორში სალოცავად რომ წაგვეყვანა. ცხვარი შევწირეთ, პარაკლისიც გადავიხადეთ, მაგრამ ბავშვმა მხოლოდ მაშინ ამოიღო ხმა, როცა გასათხოვარი ქალი „ავი სულით შეპყრობილი“ უფსკრულში გადაჰკიდეს „მოსარჩენად“, სოსომ იკივლა და გულში ჩამეკრა.

Soon the engagement ceremony took place, and then we had a grandiose wedding with two best men. The senior best man, Yakov Egnatashvili, did his best to help create our family and continued to help in the future. I considered myself to be a lucky woman – my Beso was a perfect family man.

Beso's were herders, so they were called "joganeebi," meaning herders or shepherds. Their actual surname was quite different: they were Goreli. But the Gorelies were continuously disturbed by Ossetians who came from the mountains. Besos`s ancestors were sheltered by Machabelies, who later settled them in Lilo.

Beso perfected his business and founded his own shoemaking workshop. In a year our happiness was doubled by birth of our son. Beso was very happy and organized a grandiose party to celebrate our son's christening. But later our happiness was replaced by grief and sorrow when our two-month old infant died.

On our two year anniversary our second son was born, but he was also not destined for longevity, and he soon died.

The third child was also a boy. We christened him immediately, in order to prevent him from dying without being christened. My mother hung an icon of St. George on the child's neck and told Beso "let's go to Gori in order to make a sacrifice for God."

These were the events that took place before the birth of my Soso.

***

Despite the fact that the child was alive, he was very weak. He had a delicate constitution and was very thin. In there was any disease around he was always the first to be taken ill. He hated meat, but ate beans with great pleasure.

Once, because of sitting in a cold draft he swallowed his tongue. Everybody thought that evil angels got into him and were trying to kill him, but he survived. Because of this disease we began taking him to Gori to offer prayers. We sacrificed a sheep and held a thanksgiving service, but the child only began to speak when a woman "seized by an evil angel" was hung out on the precipice to be "healed"

სოსომ ნაადრევად აიდგა ენა. უყვარდა ყვავილები, განსაკუთრებით ღიღილო და გვირილა. გვირილა მისთვის „ზიზი“ იყო. ამ „ზიზის“ წყალობით ავადგმევინეთ ფეხი მე და დედაჩემმა.

რამდენადაც ბედნიერი ვიყავი შვილის დღეგრძელობით, იმდენად უბედური ვიყავი იმ მხრივ, რომ ჩემმა ბესომ სმას უმატა. წახდა მეოჯახე კაცი. თავს ველარ დასძლია. ყველაფერი კარში გაჰქონდა, ოჯახი საერთოდ აღარ აგონდებოდა.

ჩემი სოსო მეტად მგძნობიარე ბავში იყო. მამის სიმღერას რომ გაიგონებდა, მაშინვე მომეკვრებოდა და მთხოვდა, მეზობლებთან შევაფაროთ თავი, სანამ მამა დაიძინებს, თორემ ისევ გაგაჯავრებსო.

***

სოსო მამის საქციელზე ძალიან ნაღვლობდა. გულჩათხრობილი შეიქნა, ტოლებში არც კი გადიოდა. მეზობლისაგან არსენას ლექსი გაეგო და მთხოვდა, ჩქარა მასწავლე წიგნი, „არსენა“ წავიკითხოო. მეც მინდოდა მისი სკოლაში მიბარება, მაგრამ ბესო სხვანაირად ფიქრობდა: ბიჭს ჩემი ხელობა უნდა ვასწავლოო. ასწავლა კიდეც, მაგრამ ბავშვი ავად გამიხდა. ყვავილმა კინაღამ თან გადაიტანა.

გადამირჩა შვილი სიკვდილს. მეზობლები ხელს მიწყობდნენ, სოსო რომ მომაგრებულიყო და ჩემი ცოდვით იწვოდნენ. ბესოს მისი სახელოსნოში წაყვანა აღარ უხსენებია. მიბრძანა, კარგად ასვი, აჭამე და მოაძლიერეო. იმას კი არ კითხულობდა, რითი და როგორ...

რამდენი ღამე გამიტარებია ტირილში. დღისით ვერ ვბედავდი, ან კი როგორ გავბედავდი, როცა ბავშვზე ძალიან მოქმედებდა ჩემი ცრემლი. მეტყოდა ხოლმე, დედი, არ იტირო, თორემ მეც ვიტირებო.

სოსო მომჯობინდა თუ არა, წიგნი მოიკითხა. მეც მინდოდა მისი სასწავლებელში მიყვანა, მაგრამ ბესო თავს იკლავდა, ნასწავლი შვილი დაღუპვად მიმაჩნიაო. მთავარია, ბავშვი კარგად გვყავდეს, ხელობა რომ შევასწავლო, ხომ ხედავ, მე აღარ ვარგივარო. ბოლოს შევეხვეწე, პურის

– at this moment Soso squealed and threw himself into my arms.

Soso began to speak very early. He liked flowers, especially cornflower and chamomile. Chamomile was “zizi” for him. Due to this “zizi” my mother and I made him take his first steps.

I was very happy with the longevity of my son, but at the same time my happiness was spoiled my Beso began to drink more. My perfect family man began to go bad. He could not keep himself from drinking, and he completely forgot the family.

My Soso was a very sensitive child. When he would hear his father singing, he would snuggle up to me and ask me to seek shelter from the neighbors until father would fall asleep.

***

Soso was very upset by his father’s behavior. He led a secluded life and did not associate with children his age. From a neighbor he heard the poetry or Arsen and he asked me to teach him immediately in order to read Arsen by himself.
I myself wanted to send him to school but Beso thought otherwise: “I have to train my son in my craft.” And so he did, but the child soon fell ill with smallpox and nearly died.

My child survived this disease. Our neighbors helped me in everything and all of them felt sorry for me. Beso did not mention taking Soso to his workshop any. He ordered me to give him the best food and drink in order to make him stronger after the disease. But he was not interested in how I was to accomplish his order.



კეკე შვილთან ერთად

Keke with her son



**იოსებ სტალინი**
**Joseph Stalin**

მცხობლად დავდგები, ან მრეცხავად, ოღონდ ბავშვი უსწავლელი არ დამრჩეს-მეთქი. თუმცა ისევ სასტიკი წინააღმდეგი იყო.

ჩემი ოცნების განხორციელებაში ჩარკვიანის ოჯახმა შემიწყო ხელი. მათი უფროსი შვილი, კოტე, სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა და თავის დასა და ძმასაც ამეცადინებდა. კოტემ სოსოს სწავლებაც არ დაიზარა და ერთ კვირაში დედაენა სულ გადააბულბულებინა.

ენკენის თვეში ქრისტეფორე მღვდელის დახმარებით სასულიერო სემინარიაში შევიტანეთ განცხადება.

ბავშვი გამოცდებზე დაუშვეს და სოსო იმდენად მომზადებულად ცნეს, რომ „სრედში“ (საშუალო) მიიღეს. ბესომ სულ ცეცხლი მოიკიდა, ბავშვს რატომ მიღუპავთო.

დრო გადიოდა... სოსო პირველი მოსწავლე იყო და ასე გადადიოდა კლასიდან კლასში. ეს არ ახარებდა ბესოს და საერთოდ აიღო ხელი მუშაობაზეც. ოჯახი იაკოფ ეგნატაშვილის წყალობით არ დაგვეღუპა. ბესო სმას არ ანებებდა თავს და ოჯახის გასაწყლების მიზეზად მე მასახელებდა. სულ მეჩხუბებოდა და მაბრალებდა, შვილი წამართვიო. ერთხელაც ძალიან მთვრალი მოვიდა, ჩემზე გამოიწია საცემრად და სოსო ძალით წაიყვანა სახელოსნოში. ჩემი ძმებიც მოვიშველიე, ნათლია იაკოფიც და მასწავლებლებიც. ბესო გაჯიუტდა, ვერავის დავანებებ ჩემს შვილს, ახლაც ისეთი წაღები შეკერა, როგორც მირონიო, – ამბობდა. ბოლოს სასწავლებლის უფროსიც ჩაერია. ყველანი არცხვენდნენ, ასეთი ნიჭიერი შვილი

I spent so many nights crying. I could not cry during the daytime, because my tears had a negative influence on the child. He used to say: “Mum, don’t cry or I‘ll cry with you”.

As soon as Soso recovered, he asked me for a book. I myself wanted to send him to school, but Beso was against this, as he thought that an educated child was a failed child. Beso used to say that “the main thing for the wellbeing of our child is to train him in my craft, since as you can see I myself am no longer fit for this work.” Finally I asked Beso to let me work in a bakery or as a laundress in order to not leave my child uneducated. But Beso still strongly objected to my wish.

The Charkviani family helped me to realize the dream of my life. Their elder son Kote studied at the religious school and he taught his sister and brother. Kote took the trouble to teach Soso, and in the course of one week they carefully studied the textbook Deda-ena (“Mother Tongue”).

In September, with the assistance of the priest Christopher [Charkviani?], we submitted an application to the religious school.

Soso was allowed to take the examinations; he was so well prepared that he was accepted without difficulty. Beso was very angry and wondered why had I decided to spoil the child.

The days passed by. Soso made a good progress and advanced up to the higher classes.  Beso was not happy with this fact, and soon he gave up his work. Our family survived thanks to Yakov Egnatashvili. Beso continued drinking and blamed me for causing the failure of our family. He scolded me all the time and accused me of taking the child from him. Once he came home very drunk, and he wanted to beat me and took Soso to the workshop against his will. I asked for assistance from my brothers, godfather Yakov and Soso’s teachers. Beso became very obstinate and he did not want to listen to anybody. Finally, even the head of the school interfered in this case. All of these people tried to shame Beso by telling him that he had a very gifted child and that he should be proud of him and not prevent him from getting an education. At last common sense won out, but Beso considered it to be a disgrace and he decided to leave the family forever.

After Beso`s leaving life became very difficult for me. People around me helped, but that help could only last so long. I began to working and did my best to work hard. I was not ashamed of working as a laundress. Later I began to sew. I found I had a talent for sewing, and very soon I became a well known blanket seamstress in Gori. After sewing blankets I began to sew underclothes and then dresses. In brief, needle-point was a means of subsistence for my child and me. I had no other means of earning a living.

გყავს, თავი უნდა მოგწონდეს, შენ კი ხელს უშლი სწავლაშიო. გაჭრა ქვეყნის ხმამ... მაგრამ ბესომ ეს „შერცხვენად“ მიიღო, ითაკილა და სამუდამოდ მოშორდა ოჯახს.

ბესოს წასვლის შემდეგ ძალიან გამიჭირდა ცხოვრება. გარშემომყოფები კი მეხმარებოდნენ, მაგრამ როდემდე უნდა ვყოფილიყავი სხვის კმაყოფაზე. საკუთარი მარჯვენა ავამუშავე და არავითარ შავ სამუშაოს არ ვერიდებოდი. სარეცხსაც კი არ ვთაკილობდი. შემდეგ უკვე კერვა დავიწყე. ნიჭი აღმომაჩნდა და გორში სახელი გამივარდა, როგორც საბნების საუკეთესო დამლიანდაგებელს. საბნებიდან საცვლების კერვაზე გადავედი, შემდეგ კაბების. ერთი სიტყვით, ნემსის წვერი შეიქნა მე და ჩემი ბიჭის მაცხოვრებელი. სხვა სახსარი მე არ გამაჩნდა.

სწორედ ამ ხანებში გორში ორმა დამ ტანსაცმლის სამკერვალო გახსნა და თავისთან მიმიწვიეს. სრული ჩვიდმეტი წელი დავრჩი იქ და თავჩაღუნული ვმუშაობდი. ნემსის წვერი არ გამიგდია, რაც დამიფასეს. ასე ვინახავდი ჩემს პატარა სოსოს, როცა ბესომ თავი დაგვანება.

ჩემი გარჯილობით ბავშვის გული არ დამიჩაგრია და ყველაფერს თავის დროზე ვაძლევდი, უმამობა რომ არ ედარდნა.

***

სოსო რამდენჯერმე გადამირჩა სიკვდილს. იყო ისეთი უბედური შემთხვევა, როცა ბავშვი ხელიდან კინაღამ გამომეცალა. მაშინ ის უკვე სკოლაში დადიოდა. საღ-სალამათი გავისტუმრე სასწავლებელში და ხელზე გადასვენებული მომიყვანეს ჩემი შვილი. თურმე გაკვეთილებიდან შინ რომ წამოსულა, დუქნის მახლობლად კოპინოვს მეორე ტროტუარიდან დაუძახია, გადმოდი, რაღაც უნდა გაჩვენოო. სოსოც ქუჩის რუზე გადამხტარა და კოპინოვისკენ წასულა. ამ დროს გამოქანებული ფაიტონი დასჯახებოდა და კინაღამ ცხენებს გადაეთელა. ბავშვი გრძნობადაკარგული მოიყვანეს. მთელი ორი კვირის განმავლობაში ენაჩავარდნილი მყავდა...

***P.S. გაგრძელებას შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ უცხოელი მეცნიერი ისტორიკოსების კომენტარებით.***

At precisely that time, two sisters opened a tailoring shop in Gori and they offered me work. I worked there for a full seventeen years, and I worked very hard. I never let the needle out of my hands, and of course this was appreciated. In this way lived I and my little Soso, when Beso left us.

I did not press the child’s heart by my diligence and I did my best to provide him with everything he needed, and to prevent him for grieving because of the absence of his father.

***

Soso had close brushes with death several times. There was once an accident, and the child nearly died in my arms. At that time he was a school-boy. When I sent him off to school he was healthy, and later somebody brought my child home dying. As it turned out, after the lessons were over he was on his way home when, in the vicinity of tavern, Kopinov called him from the sidewalk saying that he wanted to show him something. Soso jumped over the ditch and walked towards Kopinov. Suddenly a carriage knocked him down and the horses nearly ran over him. Somebody brought the child home unconscious. For two weeks my Soso could not utter even a single word.

***P.S. The conclusion of this article along with the comments of foreign historians will be published in the next issue.***

**სახლი, სადაც სტალინი დაიბადა**

The house where Stalin was born





НАЧАЛЬНИКУ тов. СТАНСКОМУ

Коменданта ЗЧК т. ПОПОВА

Рапорт

Согласно предписания от 19-го декабря с.г. за № 15639 в ночь с 19-го на 20-е декабря с.г. привел приговор в исполнение расстрелял нижеследующих осужденных:

1/ ВИЛОВА Федора Матвеевича 30л.
2/ ЯКОВЛЕВА [illegible] Яковлевича 26л.
3/ СААКЯНА Апета [illegible] 36л.
4/ ХАЧАТУРЯНА Степана [illegible] 32л.
5/ СААКЯНА Галуста Хачатуровича 36л.
6/ [illegible]ЧАРАДЗЕ Ислама Хусейновича 31г.
7/ [illegible] Турсун Ахмедовича 20л.
8/ МИНАСЯНА Оганеса [illegible] 38л.
9/ БУДАГОВА Багдасара Соломоновича 37л.
10/ ЗАКОЕВА Сергиса Гаспаровича 36л.
11/ НАЛБАНДЯНА Григория Ивановича 45л.

Затем доношу, что осужденный БОЛКВАДЗЕ Лука Мелитонович 26л. по случаю болезни не мог выйти из Тюремной больницы, т.к. 14/XII-с.г. ему произведена операция и швы еще не были сняты, а потому БОЛКВАДЗЕ остался не расстрелянным, прилагая справку дежурного врача Центральной тюремной больницы, о чем и доношу для Вашего сведения.

ПРИЛОЖЕНИЕ: акт в 2-х экземплярах.

КОМЕНДАНТ



НАЧАЛЬНИКУ тов. СТАНСКОМУ

Коменданта ЗЧК ПОПОВА

Рапорт

Согласно предписания от 19 декабря 1925г. за №15639 в ночь с 2-го на 3 февраля 1926г. в 1 час ночи привел приговор в исполнение расстрелял осужденного БОЛКВАДЗЕ Луку Мелитоновича 26л., о чем и доношу.

ПРИЛОЖЕНИЕ: акт в 2-х экз.

КОМЕНДАНТ /ПОПОВ/

მსჯავრდებული ლუკა ბოლქვაძე დახვრეტას ჯანმრთელობის გაუარესების გამო გადაურჩა. გადაურჩა მხოლოდ დროებით... ბოლქვაძეს სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს, უმკურნალეს და ჭრილობების მოშუშების შემდეგ, დაახლოებით ორ კვირაში, დახვრიტეს.

Luka Bolkvadze was sentenced to death, but was spared – but only temporarily – because of a severe health condition. He was urgently operated on, and as soon as the incisions healed two weeks later he was shot.

# შაქრო მოსულიშვილის დაჯგუფება თავზარს სცემდა მთელ კახეთს

ქეთევან სარსევანიძე
**KETEVAN SARSEVANIDZE**

შაქრო (ზაქარია) დავითის ძე მოსულიშვილი, მეტსახელად „გიჟო", სიღნაღის მაზრის სოფელ არაშენდის მკვიდრი, ქურდების ცნობილი ოჯახიდან იყო. მისი მამა, დედა და ძმები გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული ხელმრუდობით, ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ 10-12 წლის გიჟო თანატოლებისაგან სწორედ თავისი შავბნელი საქმიანობით გამოირჩეოდა.

გიჟო 16-18 წლის იყო, როდესაც პირველად მიიღო მონაწილეობა სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულში. ის, თანამზრახველებთან ერთად, თავს დაესხა  სიღნაღის მაზრის სოფელ ჩალაუბნის მოსახლეობას. ბოროტმოქმედებმა გაძარცვეს ერთი ოჯახი, სცემეს რამდენიმე კაცი და მძიმედ დაასახიჩრეს ქალი.

ამ დანაშაულისათვის გიჟოს 15 წლით კატორღა მიესაჯა, მაგრამ მალე ბედი მის სასიკეთოდ შემობრუნდა. მეფის თვითმპყრობელური რეჟიმის დამხობამ და ხელისუფლების შეცვლამ ყაჩაღის წისქვილზე დაასხა წყალი. გიჟოს ათავისუფლებენ და 1917 წელს ის თავის სოფელში ბრუნდება.

გიჟომ ცხოვრება ყოველგვარი შეზღუდვისა და შევიწროების გარეშე გააგრძელა. ქვეყანაში გარდამავალი ეტაპია, არასტაბილურობა და განუკითხაობა სუფევს. გიჟომ, როგორც დიდი გაქანების მქონე კაცმა, პირველი დღეებიდანვე სწორად აუღო ალღო არსებულ ვითარებას და სოფელში დაბრუნებისთანავე დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობის დაშინება, გამოძალვა და შეუბრალებლად ძარცვა-გლეჯა. იგი არ ინდობდა საომარი პოზიციებიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებსაც კი.

ყოველგვარ ზღვარს გადასული გიჟო მენშევიკურმა მთავრობამ 1921 წლის დასაწყისში დააპატიმრა და მკაცრ სასჯელსაც ვერ ასცდებოდა, ბედი ისევ მის სასიკეთოდ რომ არ შემობრუნებულიყო. ტუსაღი ქვეყნის გასაბჭოებამდე ორი კვირით ადრე მეტეხის ციხიდან გამოიქცა.

თავის გადარჩენასა და წარსულის მიჩქმალვას გიჟო წითლებთან თანამშრომლობით შეეცადა.



**შაქრო (გიჟო) მოსულიშვილი**
**Shaqro (Gijo) Mosulishvili**

ქართულ წითელ ნაწილებთან ურთიერთობისა და თანადგომის შემდეგ გიჟო ჩაეწერა არაშენდის კომკავშირულ უჯრედში და თავი კომუნისტად გამოაცხადა. მაგრამ ძველი საქმიანობისთვის თავი მაინც არ მიუნებებია და მოსახლეობის ძარცვა არ შეუწყვეტია.

დღისით კომუნისტი შაქრო მოსულიშვილი სოფელში ტრიალებდა, ღამღამობით კი ყაჩაღი გიჟო ამფსონებთან ერთად გზაზე გამვლელ მგზავრებს ძარცვავდა და ხოცავდა.

მისი ამქრის წევრები იყვნენ: ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ნაცარაშვილი, მეტსახელად „კოლოტასბიჭი", ნიკოლოზ წყალობას ძე ხარაზიშვილი, გიორგი

მეძველიშვილი, მიხეილ ასლამაზოვი, ივანე ნიკოლოზის ძე ნაცარაშვილი, მეტსახელად „დიდიკოლოტასბიჭი“ (გიჟოს მასწავლებელი), ლუკა ნახუცრიშვილი, ვლადიმერ შაიშუნაშვილი, არჩილ მინდიაშვილი, ძმები ირაკლი და გიორგი ჭანტურიძეები, დავით (დათა) გიოს ძე მოსულიშვილი გიჟოს ძმიშვილი.

თანამზრახველთა ქმედებები ადამიანურობის ჩარჩოებს ძალიან სცილდებოდა. მაგალითად, 1921 წლის მარტსა თუ აპრილში მძარცველებმა იმერელ გლეხებს ისიც კი არ დაუტოვეს, რაც ტანზე ეცვათ; მელაანის მახლობლად კი ბანდიტები თავს დაესხნენ წითელსოფლელ კომკავშირელ მარსანოვს. თავდაცვისას კომკავშირელმა „ბრაუნინგის“ ტიპის რევოლვერიდან გასროლით გიჟო მუხლს ქვემოთ დაჭრა. გიჟომ დაუნანებლად ჩაცხრილა მარსანოვი.

გიჟოსთვის ეს არც პირველი და არც უკანასკნელი მკვლელობა ყოფილა. მალე მარსანოვის გზას გაუყენა არაშენდას აღმასკომის წევრი, ფხოველი გიორგი ჯავახიშვილი; ასევე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მილიციელ იოსებ ამირიძეს, მეტსახელად „თუშს“, იგი მოულოდნელად თავს დაესხა და სიცოცხლეს გამოასალმა.

გიჟოსა და მის თანამოძმეთა კრიმინალური საქმიანობა თანდათანობით სულ უფრო მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ხდებოდა.

ბანდის წევრებმა პოლიტიკური შეხედულებების გამო დახოცეს ფხოველი გლეხები და მილიციელი. არ დაინდეს არაშენდის რევკომის უფროსი მილიციელი, მელაანელი ვასილ ნათიძე და ამავე სოფლის მწყემსი იგორ ანდროს ძე მოსულიშვილი.

მორიგი მსხვერპლის ძიების დროს მკვლელები თავს წაადგნენ კახეთის რკინიგზის სადგურის ყაზარმაში მძინარე მუშებს და სრულიად უმიზეზოდ ამოხოცეს. მელაანში კი იარაღისთვის ასევე მძინარე მოკლეს ვინმე ლაკბე.

ადგილსამყოფელისა და ყაჩაღების გადაადგილების მიმართულების დადგენა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. ხშირად ისინი დანაშაულს რადიკალურად დაშორებულ ადგილებზე ჩადიოდნენ. სად და როდის გამოჩნდებოდა უბედურების მატარებელი მოთარეშეთა ჯგუფი, არავინ იცოდა.

თელავიდან 12 ვერსის დაშორებით, მდ. ალაზნის ხიდთან, ყაჩაღები თავს დაესხნენ თელავის რევკომის წევრ მათიაშვილს და გაიტაცეს სამი მლნ მან. სახელმწიფო ფული.

1921 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ბანდის 12 წევრი გადავიდა სიღნაღის მაზრაში და ახალშენში გაძარცვა შეძლებული გლეხების ექვსი ოჯახი. ყაჩაღებმა გაიტაცეს სხვადასხვა ფასეულობა და ფული, დაახლოებით 40 მლნ მან.

1922 წლის ზაფხულში გიჟოს ბანდის წევრები აქტიურ მოქმედებაზე გადავიდნენ. 19 ივლისს ღამით თხუთმეტკაციანი ჯგუფი თავს დაესხა კაჭრეთის მილიციას. გაიმართა ბრძოლა. მილიციელთა რაზმი შეუპოვრად დახვდა თავდამსხმელებს. ყაჩაღები იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ და მიმალულიყვნენ.

მაგრამ მოთარეშეები ვერ დაშოშმინდნენ. იმავე ღამით, 3 საათზე, ისინი შეიჭრნენ მახლობელ მამულში, თუმცა ისევე უშედეგოდ. ადგილობრივი მილიციის მიერ დროულად გაწეული წინააღმდეგობის შემდეგ თავდამსხმელებმა ტყეს შეაფარეს თავი.

ყაჩაღთა ასეთმა სითამამემ სიღნაღის პოლიტბიურო იძულებული გახადა, გადამჭრელი ზომების მიღებაზე ეზრუნა. 24 ივლისს შეიქმნა შეიარაღებული ოპერდაჯგუფება, რომელთან ერთად ბანდის სალიკვიდაციოდ გაემგზავრა სიღნაღის პოლიტბიუროს უფროსი, მაგრამ ბოროტმოქმედთა მიგნება ადვილი არ აღმოჩნდა.



გიჟო და ილია მოსულიშვილები მეუღლეებთან ერთად
**Gizho and Ilia Mosulishvilis with their spouses**

გიჟო და მისი ამფსონები კი თავიანთ საქმიანობას პერმანენტულად აგრძელებდნენ.

6 აგვისტოს ღამით გიჟოს ბანდა არაშენდაში თავს დაესხა მაზრის მილიციის უფროს ციციშვილს. თავდამსხმელებს დამხდურმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ბოლომდე გამკლავება მაინც ვერ შეძლო და შეტაკების დროს იგი ყაჩაღებმა მოკლეს.

შეტაკება იმდენად მასშტაბური იყო, რომ არც თავდამსხმელთა მხარე დარჩენილა მსხვერპლის გარეშე. დაიღუპა ძმები ჭანტურიძეებიდან ერთ-ერთი, დაიჭრა და რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა მინდიაშვილი, დაიჭრა ერთი ყაჩაღი, რომლის გვარი დაუდგენილია.

დაახლოებით 10 დღის განმავლობაში გიჟო და მისი თანამზრახველები არსად გამოჩენილან, როგორც ჩანს, ჭრილობებს იშუშებდნენ და ძალებს იკრებდნენ.

ხელისუფლების წარმომადგენლები ყაჩაღებს ტყე-ღრეში ეძებდნენ. 18 აგვისტოს საქართველოს „ჩეკას“ ლეგიონმა საგარეჯოს რაიონში, ცივის მთაზე, მწყემსების ქოხებთან გიჟოს დაჯგუფების 7 კაცს მიაგნო და ბრძოლა გაუმართა. შეტაკება თითქმის 1 საათი გაგრძელდა. ყაჩაღებმა თავდასხმა ვერ მოიგერიეს. მათ შორის რამდენიმემ: გიჟოს ძმისშვილმა დათამ, თომა ბეციაშვილმა, ალექსანდრე (სანდრო) ნაცარაშვილმა და ვანო მარტიროზაშვილმა, მეტსახელად „ხვიტამ“, გაქცევით უშველა თავს. დანარჩენები: გიორგი ჭანტურიძე, ლუკა ნახუცრიშვილი და გიორგი მეძველიშვილი სამთავრობო ლეგიონერებმა დააპატიმრეს.

გაქცეულმა სანდრო ნაცარაშვილმა სიცოცხლე კი შეინარჩუნა, მაგრამ შეტაკებიდან თავის დაძვრენა უვნებლად ვერ შეძლო, მძიმედ დაიჭრილმა ძლივს მოახერხა ტყეში მიმალულიყო. დასახმარებლად მიბრუნებულმა გიჟომ დაჭრილთან ბეციაშვილი და მარტიროზაშვილი დატოვა. მათ უნდა ეზრუნათ დაჭრილი თანამოძმის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე.

დავალების შესრულება კი ყაჩაღებისათვის არც ისე იოლი აღმოჩნდა. სროლების დასრულების შემდეგ საქართველოს „ჩეკას“ რაზმმა კვალში მისდია ლტოლვილებს.

მალე რაზმი თანდათან მიუახლოვდა და ალყა შემოარტყა იმ ადგილს, სადაც დაჭრილი თავის მეურვეებთან ერთად თავს აფარებდა.

ბეციაშვილი და მარტიროზაშვილი შიშმა აიტანა. მათ დაავიწყდათ მეთაურის მითითება, დაავიწყდათ მძიმე მდგომარეობაში მყოფი ამხანაგი და მიახლოებულ რაზმელებს მალულად გაარიდეს თავი. ბედის ანაბარად მიტოვებულმა დაჭრილმა ნაცარაშვილმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და თავი დააღწია მდევარს.

საძმოს წევრების ღალატმა და უპასუხისმგებლობამ გიჟო განარისხა და მათ მოკვლით დაემუქრა.

ბეციაშვილსა და მარტიროზაშვილს თანამოძმეებთან დასაბრუნებელი პირი აღარ ჰქონდათ. ისინი ჩამოსცილდნენ ჯგუფს და დამოუკიდებლად დაიწყეს მოქმედება.

ბეციაშვილისა და მარტიროზაშვილის შეუწყნარებელი საქციელი ბოლო არ ყოფილა გიჟოს თანამოძმეთა შორის. ადამიანური სისუსტეების მსხვერპლნი ხშირად უმსგავს საქციელს ჩადიოდნენ. ასე დაემართა ლუკა ნახუცრიშვილსაც. დატყვევებულმა დამსჯელებს თვითონ შესთავაზა დახმარება გიჟოს სალიკვიდაციოდ.

რამდენადაც ლუკა ნახუცრიშვილი ბანდის ერთ-ერთი აქტიური და ავტორიტეტული წევრი იყო, საქართველოს „ჩეკამ“ ხელიდან არ გაუშვა ასეთი ხელსაყრელი წინადადება და იგი მეგზურად გააყოლეს გიჟოს დაჯგუფების შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად გაგზავნილ რაზმს, რომელსაც ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომელი ი. ივანიძე მეთაურობდა.

რაზმი, პირველ რიგში, იმ ადგილზე მივიდა, სადაც გიჟოს საყვარელი ნატაშა ცხოვრობდა. სავარაუდოდ, ეს ქალი იყო გიჟოსა და ჩოლოყაშვილის დამაკავშირებელი რგოლი. თუმცა ქალი მათ საერთოდ არ შეხვდა. ნატაშასგან საჭირო საინტერესო ინფორმაციის მიღების უშედეგო მცდელობის შემდეგ რაზმმა გზა გააგრძელა. მათ გადაჭრეს ანაგის ტყე და, ნახუცრიშვილის მითითებით, გაემართნენ ჩალაუბნის ტყისკენ.

გზაზე, ნაკადულთან, შესვენების დროს რაზმს ჩალაუბნელი მიხეილ (მიხო) ალექსანდრეს ძე კაციაშვილი გადაეყარა დედასთან ერთად, რომელიც მათი ვინაობით დაინტერესდა.

– ჩვენ ჩოლოყაშვილის დაჯგუფების ერთ-ერთ ნაწილს წარმოვადგენთ. – მოიტყუეს რაზმელებმა.

შემდეგ ოპერჯგუფმა, ნახუცრიშვილის მითითებით, მელაანისაკენ გასწია. მათ გადაკვეთეს ბაკურციხისა და ვეჯინის ტყეები. ბოლოს ფხოველსა და მელაანს შორის მდებარე ტყეში შევიდნენ, სადაც მწყემსების ორ სადგომს მიადგნენ. ერთ-ერთ სადგომში მეცხვარე დათა დახვდათ, რომელიც უნდობლად დახვდა რაზმელებს, მაგრამ ნახუცრიშვილის დანახვისთანავე ნდობით განიმსჭვალა, ხოლო როცა გაიგო, რომ მის სტუმრები პოლკოვნიკ ყაზბეგის ჯგუფის წევრები იყვნენ, აშკარად გაიხარა.

ივანიძემ, რა თქმა უნდა, თავის სასარგებლოდ გამოიყენა მეცხვარის ეს განწყობილება და უთხრა მას:

– ჩვენ განზრახული გვაქვს, შევკრიბოთ ყველა, ვისაც ტყეში დაუდია ბინა და გაერთიანებული ძალებით მივიდეთ ჩოლოყაშვილთან. ჩვენ გვაინტერესებს ყველა გვარდიელი და ყველა ყაჩაღი, მათ შორის გიჟოც. – და დაუმატა, – ხომ არ იცი გიჟოს ადგილსამყოფელი?



**დაჯგუფების წევრები**
**Criminal group members**

– გიჟოს შესახებ კარგა ხანია, არაფერი მსმენია. ციციშვილის მკვლელობის შემდეგ ის აღარ გამოჩენილა. – უპასუხა დათამ.

ოპერჯგუფმა გზა ჭერემისაკენ განაგრძო, სადაც შეხვდნენ გიჟოს აგენტს, მეცხვარე ვანო ჯაჭვაძესა და შიშნიაშვილს.

– აქ საიდან გაჩნდი, შენ ხომ დაპატიმრებული იყავი? – გაკვირვებულმა ჯაჭვაძემ შესძახა ნახუცრიშვილს.

– ბედმა გამიღიმა, ყაზბეგის რაზმმა შეძლო ციხიდან ჩემი გათავისუფლება. – დაუფიქრებლად უპასუხა ნახუცრიშვილმა.

ჯაჭვაძემ ნათქვამი დაიჯერა. მან მაშინვე დაკლა ცხვარი და მოიტანა რძე.

– როგორ არის ნაცარაშვილი, გამოჯანმრთელდა თუ არა? – რაზმელებმა ჯაჭვაძეს ყაჩაღის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ჰკითხეს.

– დიდი ხანია, არაფერი მსმენია. ბეციაშვილისა და მარტიროზაშვილისგან მიატოვებული დაჭრილი ნაცარაშვილი, რაზმელების მიერ ტერიტორიის დატოვების შემდეგ, გიჟომ თვითონ წამოიყვანა და თვითონვე ზრუნავდა მასზე. ვიდრე გიჟო ცივის მთაზე იყო, ნაცარაშვილი ჩემთან აფარებდა თავს. უკან მობრუნებულმა გიჟომ იგი ისევ თავისთან წაიყვანა. მას შემდეგ აღარაფერი ვიცი.

ჯაჭვაძის სადგომიდან რაზმი ჯიმითის ტყისკენ გაემგზავრა, სადაც, წესისამებრ, პერიოდულად იკრიბებოდნენ ყაჩაღები. ივანიძესთან ერთ-ერთმა რაზმელმა ჯიმითელი მოხუცი ტუხაშვილი მიიყვანა.

მოხუცს შიკრიკისთვის უკითხავს:

– შენ ხარ სანდრო?

– არა, სანდრო ჩემი ამხანაგია! – უთქვამს რაზმელს და სანდროსთან წაყვანას შეჰპირებია.

მოხუცს დაუჯერებია და გამოჰყოლია. გზაში რაზმელს მოხუცთან საუბარისას გაურკვევია, რომ ვიღაც სანდრო ტუხაშვილს უნდა მიეყვანა სამ შეიარაღებულ ცხენოსანთან, რომლებიც ტყეში იცდიდნენ.

რაზმელმა კი ტუხაშვილი მეთაურთან მიიყვანა.

შემდეგ ივანიძემ მოხუცს სთხოვა, მიეყვანა იმ სამ შეიარაღებულ პირთან, რომლებიც სანდროს ელოდებოდნენ. ტუხაშვილმა ჭკუა იხმარა და ისინი საწინააღმდეგო მიმართულებით წაიყვანა. რაზმელებმა სამ შეიარაღებულ ცხენოსანს, რა თქმა უნდა, ვერ მიაგნეს, ტუხაშვილს გამოემშვიდობნენ.

საღამოს ხანს რაზმი გიჟოსა და შიშნიაშვილის ყველაზე ერთგულ მოკავშირესთან, მეღორე გიო ედიშერაშვილთან მივიდა.

ნახუცრიშვილის დანახვისას არც ედიშერაშვილს შეჰპარვია ეჭვი, რომ ეს არ იყო ტყეში გახიზნული ყაჩაღების დაჯგუფება. კითხვაზე, გიჟოს ადგილსამყოფელის შესახებ, მან გულწრფელად უპასუხა:

– გიჟო, როგორც ჩანს, აქ არ არის. ახლო-მახლო რომ იყოს, აუცილებლად მესტუმრებოდა.

ედიშერაშვილს არც ის დაუმალავს, თუ როგორ დაწვეს შიშნიაშვილის ამფსონებმა წითელარმიელი და როგორ გაატარეს ის ღამე და მომდევნო დღე მასთან ყაჩაღებმა.

მეორე დღეს რაზმი ცივის მთისკენ გაემართა ჭერემის, ურიათუბნისა და ჩოლურის ტყის გავლით. ჩოლურის ტყეში, ნახუცრიშვილის განცხადებით, უნდა ყოფილიყო გიჟოს ბანდის ორი აგენტი.

მალე რაზმი, მართლაც, მივიდა ერთ-ერთ აგენტთან, ჩოლურელ მენახირე სანდრო აბრალანთიასთან. სანდრო წითელი არმიის დეზერტირი იყო

ამ დროს შემთხვევით მივიდა გიჟოს აგენტი გიგა სეხნიაშვილი. უსაზღვრო იყო გიგას სიხარული მათი გაცნობის გამო.

ივანიძემ ჰკითხა: – სად არის გიჟო? ხომ არ იცი, ახლა სად იმალება?

– არა, ნამდვილად, არ ვიცი, მაგრამ გაგება შემიძლია. ახლავე ბიჭს გავგზავნი ჩოლურში. იქ ბანდის მთავარ აგენტ პეტრე ფხალაძეს უსათუოდ ეცოდინება მისი ადგილსამყოფელი.

გაგზავნილი ბიჭი მალე დაბრუნდა, მოიტანა 1 ბოთლი არაყი, წყვილი წინდა, თუთუნი, პაპიროსი და ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გიჟო, ორ ამხანაგთან ერთად, ფხალაძესთან ორი დღის წინ ყოფილა. მათ შორის ერთ-ერთი, სანდრო ნაცარაშვილი, ჭრილობებს იშუშებდა. ყაჩაღები იქ დიდხანს არ გაჩერებულან. ისინი წითელარმიელების მიერ დატყვევებული სამი თანამოძმის გასათავისუფლებლად გამგზავრებულან, ხოლო შემდეგ იორმუღანლოს მიმართულებით წასვლა ჰქონიათ გადაწყვეტილი.

საქართველოს „ჩეკას“ რაზმმა ივანიძის მეთაურობით აქ დაამთავრა თავისი მისია და სიღნაღში დაბრუნდა. გამოვლენილი ბანდის მფარველებისა და აგენტების მიმართ ხელისუფლებას არ გაუტარებია არანაირი დამსჯელი ღონისძიება, მაგრამ ყაჩაღების მიმართ ყურადღება არ მოუდუნებია და მათ გასანადგურებლად ახალი შეტევისათვის მზადება დაიწყო.

ყაჩაღები კი თავიანთ საქმიანობას, ცოტა მეტი სიფრთხილით, მაგრამ მაინც აგრძელებდნენ.

საქართველოს „ჩეკამ“ რევანში აიღო. ბანდიტიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილი დამსჯელი რაზმი შეუსვენებლად მოძრაობდა საეჭვო ადგილებში და ხელიდან არ უშვებდა უმნიშვნელო შესაძლებლობასაც კი, სამაგიერო მიეზღოთ მოთარეშეთათვის. 3 იანვარს სართიჭალაში მათ მიერ დაკავებულ იქნა გიჟოს თანამებრძოლი დათა დურგლიშვილი.

მაგრამ ხელისუფლების უფრო მასშტაბური მიზანი ჰქონდა: ბანდის წევრთა სრული ლიკვიდაცია. 26 იანვარს სიღნაღის პოლიტბიურომ გადამწყვეტი შეტევისათვის გაგზავნა ექვსკაციანი სპეცჯგუფი, მაგრამ უშედეგოდ, გიჟოს ჯგუფის განადგურება მათ ვერ შეძლეს.

29 იანვარს სიღნაღის პოლიტბიურომ მიიღო შეტყობინება, რომ კრაწაშვილის დაჯგუფების ლიკვიდაციის შემდეგ, გიჟომ ყველა თანამზრახველს თავისუფალი არჩევანისა და მოქმედების ნება მისცა, მათ შ.ორის, თავის ძმისშვილ დათასაც.

სიცოცხლის გადასარჩენად გიჟო ცდილობდა, რამენაირად განრიდებოდა იქაურობას. მან მუშაობა დაიწყო თბილისის მახლობლად თათრის ოჯახში.

სიღნაღის პოლიტბიუროსთვის ეს სიახლე მალევე გახდა ცნობილი. გიჟოს დასაპატიმრებლად გაიგზავნა ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების რწმუნებული მჭედლიძე სამ თანამშრომელთან ერთად, მაგრამ უშედეგოდ, მათ ყაჩაღის შეპყრობა ვერ მოახერხეს. გიჟომ მიმალვა მოასწრო.

26 თებერვალს სიღნაღის პოლიტბიუროს რაზმმა კიდევ გამართა ბრძოლა ბეციაშვილის ჯგუფთან, რომლის დროსაც მოკლეს თომა ბეციაშვილი და სესიაშვილი, დააპატიმრეს მათთან მყოფი ერთ-ერთი მოკავშირეც.

შეტაკების შემდეგ ყაჩაღებს დარჩათ თოფები, ტანსაცმელი და გრამაფონი 16 ფირფიტით. ამ ბრძოლის შემდეგ გიჟოს ჯგუფი დიდხანს აღარ გამოჩენილა.

საქართველოს „ჩეკას“ გადაწყვეტილებით კახეთის რეგიონი საბოლოოდ უნდა გაწმენდილიყო ყაჩაღთა ნარჩენებისაგან, ამიტომ შეიარაღებული დამსჯელი რაზმი საგულდაგულოდ ჩხრეკდა ტყეში გაჭრილთა სავარაუდო სამყოფელ ადგილებს, რასაც ხშირად სროლები და შეტაკებები მოსდევდა.



**დაჯგუფების წევრები**
**Criminal group members**

25 მაისის შეტაკებას მიხეილ ოდიშელიძისა და ნიკო ბიბილაშვილის სიღნაღის პოლიტბიუროში ნებაყოფილობითი გამოცხადება მოჰყვა.

ხელისუფლებისაგან შევიწროებული გიჟოს დაჯგუფება ხშირად გადაადგილდებოდა, თავს ხან კოდალოსა და გურჯაანის რაიონებს აფარებდა, ხან აზერბაიჯანში, ყაზახის მაზრაში გადადიოდა.

14 ივნისს სიღნაღის პოლიტბიუროს უფროს დევდარიანთან გამოცხადდა არაშენდის ერთ-ერთი მკვიდრი და განუცხადა:

– გიჟოს თქვენთან შეხვედრა უნდა და გთხოვათ, რომ უარი არ უთხრათ. იგი ზიარის ტყეში გელოდებათ.

დევდარიანი და ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების რწმუნებული მიხეილ შახსუვაროვი დღის 12 საათზე დანიშნულ ადგილზე მივიდნენ. გიჟო მათ ელოდებოდა.

– რამდენიმე დღე საგარეჯოში ვიყავი. იქიდან რამდენიმე თანამზრახველთან ერთად წამოვედი, მათ შორის იყვნენ ციკურიშვილი და მათიაშვილი. - თქვა გიჟომ, – ჩვენ ჩოლოყაშვილის დაჯგუფებასთან გაერთიანებას ვაპირებდით, მაგრამ მე გადავიფიქრე. ისინი ცივის მთაზე დავტოვე, მე კი გადავწყვიტე ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამოცხადება შეწყალების სათხოვნელად. მაგრამ ვიცი, მანამდე საბჭოთა ხელისუფლების წინაშე ჩემი დანაშაული უნდა გამოვისყიდო და ნდობა მოვიპოვო, ამიტომ მზად ვარ სამსახურისა და ნებისმიერი დავალების შესრულებისათვის!

გადაწყვეტილებით კმაყოფილმა დევდარიანმა გიჟოს დაავალა, ჩოლოყაშვილის დაჯგუფება თელავიდან სიღნაღში გაეტყუებინა და გაენადგურებინა.

გიჟო დათანხმდა. 4 ივლისს ყაჩაღი გაემართა დაღესტნის მთებისაკენ, თითქოს დავალების შესასრულებლად. მაგრამ უშედეგოდ, გიჟომ დევდარიანის დავალება – ჩოლოყაშვილის პარტიზანული რაზმის განადგურება, „ვერ მოახერხა“.

ცხადია, დევდარიანის დავალებაზე თანხმობა გიჟოს მხოლოდ პოლიტბიუროს თვალში ავტორიტეტის ასამაღლებლად სჭირდებოდა. უდავოა, იგი არც თავისი სურვილით და არც იძულებით ჩოლოყაშვილის საწინააღმდეგოდ არაფერს მოიმოქმედებდა.

მიუხედავად ამისა, ივლისის შუა რიცხვებში გიჟო და მისი ძმისშვილი დათა მოსულიშვილი სიღნაღის პოლიტბიუროში ნებაყოფლობით გამოცხადდნენ და ხელისუფლებამ ისინი შეიწყალა. გიჟომ თავისუფლება და თავის სოფელში მშვიდად ცხოვრების უფლება მიიღო, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებით.

მან სცადა მოეტყუებინა ხელისუფლება, თითქოს ჩოლოყაშვილი ვერ მოკლა, რაც, რა თქმა უნდა, არც უცდია. მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლებიც არ აღმოჩნდნენ მიამიტები, ამიტომ 24 აგვისტოს პოლიტბიურომ თავის ერთგულ მოხელეს, კოდალოს რაიმილიციის უფროს ლეონტი ჭიჭინაძეს დაავალა, რომ, როგორც კი მოხდებოდა შემორიგების საჯარო გამოცხადება, დაეხოცა შაქრო, იგივე გიჟო, და დათა მოსულიშვილები.

ჭიჭინაძემ ეს დავალება პირნათლად შეასრულა. გიჟოს მიერ გამართულ შემორიგების აღსანიშნავ ქეიფზე ცეკვის დროს მილიციელმა ხმლით დახოცა გიჟო და მისი ძმისშვილი.

მეორე დღეს კი ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნით დააპატიმრეს და ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების საგანგებო სამეულის დადგენილებითა და საქართველოს „ჩეკას“ სანქციის თანახმად დახვრიტეს შემორიგებული ყაჩაღები: მიხეილ ოდიშელიძე და ნიკო ბიბილაშვილი.

საქართველოს „ჩეკა“ და ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილება კომპრომისზე არც სხვების მიმართ წავიდა. 28 აგვისტოს დააპატიმრეს ბანდის ერთგული მფარველები და მოკავშირეები: მიხეილ ალექსის ძე ციციშვილი, ლუკა გიოს ძე ალხაზაშვილი, იოსებ კონსტანტინეს ძე ნიკოლაიშვილი, ირაკლი მიხეილის ძე ჭანტურიძე და შაქრო ისაკის ძე ხელაშვილი.

***P.S.* გიჟოს ჯგუფი ითვლება, როგორც ერთ-ერთი ბოროტი და საშიში კრიმინალური დაჯგუფება. კახეთში გიჟოს სახელის გაგონებაზე კანკალებდნენ. ეს კი იმიტომ ხდებოდა, რომ ამბები გიჟოს დაუნდობლობის შესახებ გადაეცემოდა ერთიდან მეორეს გალამაზებული და გაზვიადებული სახით. საბოლოოდ კი ბანდის მოღვაწეობა არ სცილდებოდა ჩვეულებრივ სისხლის სამართლებრივ დანაშაულს. ყაჩაღებს საშინელი და მხეცური არაფერი ჩაუდენიათ.**

***გიჟო იყო გამორჩეული დამნაშავე თავის გამბედაობითა თუ თავხედობით. ამავე დროს მას შეეძლო კარგად გამოეყენებინა „სისხლიანი დიდებით მოსილი თავისი იმიჯი“, ამიტომ იგი ადვილად აჯერხებდა, შეეშინებინა ნებისმიერი მშვიდობიანი გლეხი.***

***ვერსია გიჟოს კავშირზე ჩოლოყაშვილის პარტიზანულ რაზმთან ერთობ საეჭვოა.***

# SHAKRO MOSULISHVILI'S CRIMINAL GANG TERRORIZES THE KAKHETI REGION

### (WE PRESENT FOR YOUR CONSIDERATION AN ABRIDGED VERSION OF THIS ARTICLE)

Shakro (Zakaria) Davidovich Mosulishvili, a.k.a. "Gizho" (meaning "crazy" in Georgian), from the village of Arashenda in the Signagi district of Georgia, came from a family of well-known thieves.

Gizho was in his late teens when he first participated in the committing of a grave crime. For this Gizho was sentenced to 15 years of hard labor, but soon his fortunes changed: the end of the tsarist regime and the collapse of authority played into the criminals` hands. Gizho was released and in 1917 and returned to his village. He did not give up his criminal activities, however, and he was later arrested again.

Gizho could not avoid strict punishment, but he helped himself by escaping from Metekhi Prison two weeks before the Soviet conquest of Georgia. He sought shelter from the Reds and declared himself to be a communist. During the daytime, Shakro the communist roamed about the village, while at night Gizho the thief robbed and killed passersby on the roads, together with his gang members. Near Melaani, the bandits attacked one Marsanov, a resident of the village of Tsitelsopeli and a member of the Komsomol. In self-defense, the Komsomol member shot at Gizho with a Browning pistol and wounded him below the knee. Gizho responded by mercilessly gunning down Marsanov.

This was neither Gizho's first murder nor his last. Very soon Marsanov was followed by Pkhovi resident Giorgi Javakhishvili, a member of the Executive Committee of Arashenda. Gizho later unexpectedly attacked and murdered Ioseb Amiridze, nicknamed "Tushi," an on-duty police officer.

It was almost impossible to determine the location and movement of the robbers. Nobody knew where and when the criminal group would appear and bring misfortune.

The robbers' impudence forced the Party bureau in Signagi to take serious measures. On July 24, 1921 an armed task force was formed, and they set off together with the Signagi party chief to try to liquidate the criminal band. But it turned out that determining the criminals' location of was not so easy.

Meanwhile Gizho and his crew continued their activities unabated.

The authorities continued searched for the criminal band everywhere in the forests, and in the plains.

On August 18, a Cheka group came across seven members of Gizho`s criminal band on Tsivi Mountain near some shepherds' huts and gave battle. The firefight lasted for an hour, and the robbers were not able to hold their ground. Several members of the group, Gizho's counsin Data, Toma Betsiashvili, Aleksandre (Sandro) Natsarashvili and Vano Martirozashvili, a.k.a. "Khvita", managed to escape. The others, Giorgi Chanturidze, Luka Nakhutsrishvili and Giorgi Medzevelishvili, were arrested.

The goal of the authorities had been much more ambitious: the complete liquidation of all of the criminal band members. On January 26, the Signagi Party bureau sent a special group consisting of six officers for a decisive battle, but without results: this special group also failed to annihilate Gizho`s band.

According to an order of the Georgian Cheka, the Kaheti region was to be completely cleaned of criminal groups. Thus an armed detachment was sent into the forest and did its best to seek out the escaped members of Gizho's band. This resulted in a number of shootouts between the detachment and the criminals.

Gizho decided that the best way to save his skin was to start negotiations with law enforcement officials, and with this in mind he promised them that he would lure Kakutsa Cholokashvili's rebel group away from Signagi to Telavi and annihilate it there. It seems, though, that with this he intended only to deceive the police, and he actually did not plan to attack Kakutsa Cholokashvili's group.

Nevertheless, in the middle of July Gizho and his cousin Data Mosulishvili voluntarily approached the Party bureau in Signagi and were pardoned. Gizho was free and allowed to live peacefully in his village.

He tried to cheat the authorities and pretend that he was not able to kill Cholokashvili, but in fact he had not even tried. The authorities were not so naïve, however, and on August 24 the Party bureau secretly ordered a devoted employee, regional police chief Leonti Chichinadze, to take out Shakro, a.k.a. Gizho, and his cousin Data Mosulishvili immediately after the public announcement of Gizho's reconciliation with the law.

Chichinadze earnestly fulfilled this task: while people were dancing during the reconciliation feast that Gizho arranged, the police officer killed Gizho and his cousin with a saber.



დაჯგუფების წევრები
**Criminal group members**




# თვითმფრინავის

## THE AIRPLANE BOYS










# ჩვენი ტკივილი

**OUR SORROW**




# ბიჭები









Плотка

Соломония

Церетели

Ивериели К.

Микаберидзе Д.

Табидзе Г.

Ивериели П.

Места, где располагались члены нашей преступной группы перед началом захвата самолета ТУ-134 А, 18 ноября 1983 го[да]

Обвиняемый Ивериели К.В.

Старший следователь по ОВД Следотдела КГБ Грузинской ССР-капитан Кудашов



Фото № 108. Предметы и вещи, находящиеся под креслами 19-АБ

Фото № 109. Кислородные маски, подголовник, находящиеся на креслах 19-ВГ.

Понятые И.И.Савкин

В.С. Филипов

Подполковник И.Г.Дербинян





...то №4. Учебная граната РГД-5 с запалом, обнаруженная в переднем багажнике самолета.

...то №5. Пистолет "ТТ" № 21670, обнаруженный в переднем багажнике самолета.

Понятые И.И. Савкин

В.С. Филипов

Подполковник И.Г. Дербинян

ПРИЛОЖЕНИЕ

к протоколу осмотра оружия от „28" ноября 1983 г.

по уголовному делу № 201



Револьвер иностранного производства "REWSTER" №927927 с двумя стрелянными гильзами и 6-тью патронами калибра 5,6 мм, изъятый у преступников в самолете ТУ-134А 19 ноября 1983 года, с барабаном вставленным в рамку /ось барабана отсутствует/

Начальник отделения следственного отдела КГБ Грузинской ССР

подполковник Дядюшкин





ტფილისი 17 მარტი 36წ





# ვახტანგ გურული: 1925 წლისთვის საბჭოთა კავშირში სიკვდილით 250 000 ღვთისმსახური დასაჯეს

# VAKHTANG GURULI: ON THE 250,000 CLERGYMEN EXECUTED IN THE SOVIET UNION IN 1925

ნინო ყიფშიძე
**NINO KIPSHIDZE**



ვახტანგ გურული
Vakhtang Gurul

*„საარქივო მოამბის“ პირველი სტუმარი ისტორიკოსი ვახტანგ გურული გახლავთ. სწორედ იგი აფასებს იმ პერიოდს და ეპოქას, რომელსაც ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებული მასალები ასახავს.*

*რა მნიშვნელობა აქვს ისტორიკოსებისა და მეცნიერებისთვის საარქივო მასალების პუბლიკაციას... საბჭოთა რუსეთის მიერ რატომ იხურებოდა საქართველოში ეკლესია-მონასტრები და რატომ ვერ გამოიღო ოციან წლებში აჯანყებათა სერიამ შედეგი... – ამ საკითხებთან დაკავშირებით ვახტანგ გურული საუბრობს.*

**– რა მნიშვნელობა აქვს საქართველოს უახლესი ისტორიის მეცნიერული შესწავლისთვის საქართველოს საგანგებო კომისიის („ჩეკას“) არქივში დაცულ მასალებს?**

– საქართველოს საგანგებო კომისიის (საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს) არქივში დაცული მასალის შესწავლის გარეშე წარმოუდგენელია საქართველოს უახლესი ისტორიის მეცნიერული შესწავლა. გავრცელებულია აზრი იმის თაობაზე, რომ ხსენებულ არქივში დაცულია მასალები მხოლოდ XX საუკუნის 20-30-იანი წლების რეპრესიების შესახებ. ეს სწორი არაა.

*Historian Vakhtang Guruli was the first guest of the Archive Bulletin, and he gave us his assessment of the epoch which will be reflected in the materials to be published in our magazine.*

*He discusses what significance the release of the archival materials will have for researchers and historians, why churches were shut down throughout Georgia by the Soviet authorities, and why the series of rebellions launched in 1920s did not bring about positive results.*

**ARCHIVES BULLETIN: What is the significance of materials stored in the archive of the Extraordinary Commission (Cheka) of Georgia for the academic study of the modern history of Georgia?**

საგანგებო კომისიის (სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო) არქივში ბევრი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მასალა ინახება.

რეპრესიების ისტორიის გარდა, ეს მასალები აუცილებელია ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემების გააზრებისთვის, როგორებიცაა: 1) საბჭოთა სახელმწიფოს, საბჭოთა პოლიტიკური სისტემის არსი, 2) საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკა, რელიგიური პოლიტიკა, პოლიტიკა კულტურის სფეროში და ა.შ, 3) ხელისუფლებისთვის ბრძოლები ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში. როგორც ვხედავთ, ეს ის საკითხებია, რომელთა გააზრების გარეშე ვერ დაიწერება საქართველოს უახლესი ისტორია.

თვით რეპრესიების ამსახველი საარქივო მასალები მხოლოდ რეპრესიებს არ ეხება. ეს მასალა საშუალებას იძლევა, გავიზიაროთ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი პრობლემა: პირველი – XX საუკუნის 20-30-იანი წლების ეპოქა! მეორე – ვინ იყვნენ დასჯილები! მესამე – ვინ იყვნენ დამსჯელები! მეოთხე – ფსიქოლოგიური კლიმატი, რომელიც რეპრესიებმა შექმნა! მეხუთე – ის აუნაზღაურებელი დანაკარგი, რომელიც რეპრესიებს მოჰყვა!

**– საჭიროა თუ არა საქართველოს საგანგებო კომისიის (სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო) არქივში დაცული მასალების პუბლიკაცია?**

– მოგახსენებთ, რომ ამ მასალების შესწავლისა და გამოქვეყნების გარეშე შეუძლებელია საქართველოს უახლესი ისტორიის დაწერა. ჩვენ ისედაც დიდი დრო დავკარგეთ. XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულიდან სულ რამდენიმე პროფესიონალი ისტორიკოსი სწავლობდა საქართველოს საგანგებო კომისიის (სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო) მასალებს. რეალურად კი საჭირო იყო ოცი-ოცდაათი პროფესიონალი ისტორიკოსის გეგმაზომიერი, კარგად გააზრებული და კოორდინირებული მუშაობა. ჩვენს არაორგანიზებულობას, სამერმისოდ საქმის გადადების მისწრაფებას შეიძლებოდა ისეთი სავალალო შედეგები არ მოჰყოლოდა, რაც მოჰყვა თბილისის ომს (1991 წლის დეკემბერი – 1992 წლის იანვარი). ომის დროს დაიღუპა არქივის მნიშვნელოვანი ნაწილი. დღეს ამ დანაკარგის ანაზღაურება შეუძლებელია. ცეცხლმა საარქივო საქმეებთან ერთად ჩვენი ისტორიაც შთანთქა. ბევრ უმნიშვნელოვანეს პრობლემას უკვე ველარასდროს შევისწავლით. დარჩენილი მასალა აუცილებლად უნდა

**Vakhtang Guruli:** It is impossible to study modern Georgian academically without analyzing the materials stored in the Cheka archive. There is an incorrect assumption out there that this archive only holds materials about the repressions of 1920s and 1930s. Many more significant materials are also held in the Cheka archive.

Besides materials on the repressions, there are also documents that are essential for covering such important issues as: 1) the essence of the Soviet state and its political system; 2) the internal policy of the Soviet Union towards religious and cultural issues, and 3) political infighting among the political authorities of the Union. So it turns out that modern Georgian history cannot not be told without dealing with the issues described above.

The archival documents also allow us to gain a general picture of the pivotal issues of the 1920s and 1930s, who was executed, who were the executioners, what was the psychological atmosphere brought about by the repressions, and what kind of irreparable damage ensued after the repressions.

**AB: Will the materials stored in the archive of the Georgian Cheka be published?**

**VG:** It is clearly impossible to write about modern Georgian history without being able to publish and study those materials. We have already lost enough time. Only a few professional historians have had access to study the materials of the Cheka archive since the end of 1980s. There really should have twenty or thirty professional historians undertaking well defined and coordinated work. If not for the infamous Tbilisi war (December 1991 – January 1992) and the confusion that followed, this deplorable situation might not have come to pass. The war destroyed a sizeable chunk of the archive. Today, it is impossible to restore the losses caused during that period. The fire that destroyed the archival materials gutted our history as well. We will no longer be able to shed light on many important issues. The rest of the materials must be published. Not only the materials concerning the repressions in the late 1930s, but those of earlier periods should also

გამოქვეყნდეს. უნდა გამოქვეყნდეს არა მარტო 1934-1938 წლების რეპრესიების ამსახველი მასალები, არამედ უფრო ადრეული პერიოდისაც. სასურველია თუ პუბლიკაციების გამოქვეყნება 1921 წლის საქმეებიდან დაიწყება. გვერდს ვერ ავუვლით მეორე მსოფლიო ომის პერიოდს (1939-1945წ.წ.) და ომის შემდგომ ეპოქასაც.

**– დამეთანხმებით, ალბათ, ზოგიერთი დოკუმენტის პუბლიკაციამ ბევრ ადამიანს შეიძლება გული ატკინოს...**

– სამწუხაროდ, ისტორია მხოლოდ გმირებისა და წმინდანების ისტორია არ არის. გმირებისა და წმინდანების გვერდით არიან ლაჩრები, მოღალატეები, გამცემები, დამსმენები და ჯალათები. ყოველივე ეს ეხება საქართველოს ისტორიასაც. ცხადია, არ არის სასიამოვნო, როდესაც შენი წინაპარი ცუდად წარმოჩინდება ისტორიაში, მაგრამ ყველა ადამიანი არჩევანში თავისუფალია. თვითონ აკეთებს არჩევანს და პასუხისმგებელიც თვითონ არის. შვილი მამის ან ბაბუის ცუდკაცობისთვის პასუხს არ აგებს. ეს უნდა იცოდეს არა მარტო ცალკეულმა ადამიანმა, არამედ ამ პრინციპს უნდა აღიარებდეს მთელი საზოგადოება. მხოლოდ ამ შემთხვევაში გაუგებენ ერთმანეთს ჯალათისა და ჯალათის მსხვერპლის შთამომავლები.

**– არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც არც დამსმენობას და არც მოღალატეობას არ აპირებდნენ, მაგრამ ასეთებად აქციეს. რას იტყვით ამ ადამიანებზე?**

– ვინც მათ დადანაშაულებას შეეცდება, მე მას ასეთ რჩევას მივცემდი: თავი წარმოიდგინოს „შინსახკომის" შიდა ციხის კამერაში ძიძიგურთან, მხეიძესთან, კრიმიანთან, ხაზანთან დაკითხვაზე. მხოლოდ ამის შემდეგ განსაჯოს...

**– დღესაც შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ XX საუკუნის 20-30-იანი წლებში პოლიტიკური მოღვაწეები, მეცნიერები, მწერლები იმ ეპოქის კანონების მიხედვით დაისაჯნენ...**

– საბჭოთა პოლიტიკური სისტემა იყო დანაშაულებრივი, ამ პოლიტიკურ სისტემას ჰქონდა დანაშაულებრივი კანონმდებლობა. კანონის შემუშავება, მისი შინაარსი, მიღება და ამოქმედების წესი ერთი ადამიანის ნებაზე იყო დამოკიდებული. ქაღალდზე დაწერილი კანონით იჩქმალებოდა უკანონობა და მისგან გამოწვეული დანაშაულებანი. საბჭოთა პოლიტიკურ სისტემაში ფიქცია იყო საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, ყველა კანონი

be published. It is desirable to start with publications of the files relating to 1921. And we cannot sidestep the period of World War II (1939-1945) and its aftermath.

**AB: You will probably agree with me that publication of certain documents might be painful for many people?**

VG: Unfortunately the study of history does not cover only the stories of heroes and saints; it also deals with cowards, traitors, informants and executioners as well. This relates just as much to the history of Georgia. Clearly it is unpleasant when one's ancestors appear poorly in the light of history, but each man is free in his choice. He himself makes decisions and therefore is held responsible for his deeds. The son does not bear the responsibility for the misdeeds of the father or grandfather. Not only should isolated individuals be aware of this, but also this principle should be acknowledged by the entire society. Only in this case can the descendents of executioners and those of his victims truly understand one another.

**AB: There are people who intended to be neither traitors nor informants, but were forced to become ones. What can you say of such people?**

I can provide one bit of advice to of those who will try to put blame on such people: one should first imagine oneself in the interrogation room with Dzidziguri, Mkheidze, Krimian, and Khazan in the inner prison of the People's Commissariat of Internal Affairs, and then try to judge ...

One can even meet today people who claim that the political figures, scientists, and writers of 1920-30s were punished properly and in compliance with the laws of that era.

The Soviet political system was criminal, and at the core of that system was criminal legislation. The elaboration, adoption and enforcement of that legislation depended on the will of a single man. The illicit actions and criminal behavior that derived from it were covered over by laws written on paper. The legislative, executive, and judiciary branches of the government and all the laws and constitutions were

და კონსტიტუციაც კი. ერთნაირად დაუცველი იყო პოლიტიკური მოღვაწე, მინისტრი, გლეხი და მუშა. ასეთ ვითარებაში საუბარიც კი არ შეიძლება იმაზე, რომ ვინმე კანონის ძალით დაისაჯა. მიზეზი უბრალოა: კანონი არ არსებობდა. ქვეყანა „უკანონო კანონიერებით“ იმართებოდა.

**– საბჭოთა რუსეთის კვალდაკვალ რატომ დაიწყო საქართველოში ეკლესიის დარბევა, დახურვა, ღვთისმსახურების შეზღუდვა?**

– ეკლესიას არბევდა საბჭოთა ხელისუფლება რუსეთშიც და საქართველოშიც, რადგან საბჭოთა ბოლშევიკური მორალი შეუთავსებელი გახლდათ ქრისტიანულ-მართლმადიდებლურ მორალთან. ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკურმა ლიდერებმა კარგად იცოდნენ, რომ ეკლესიური ადამიანი არასდროს მიიღებდა საბჭოთა (კომუნისტური) წყობილების დოგმებს, ყოველთვის მისი იდეური მოწინააღმდეგე დარჩებოდა. აქედან გამომდინარეობდა ამოცანა: უნდა დაერბიათ ეკლესია, მოესპოთ ეკლესიური აზროვნება და ადამიანები აღეზარდათ კომუნისტური იდეებით. მოძღვარს (მღვდელს) უნდა დაეკარგა თავისი ტრადიციული ფუნქცია, იგი აღარ უნდა ყოფილიყო მრევლის სულიერი მამა, მწყემსი. ხოლო მოძღვრის ადგილს დაიკავებდა საბჭოთა (კომუნისტი) მოხელე, რომელიც ადამიანებს კომუნისტური იდეოლოგიით აღზრდიდა. ყოველივე ამის მიღწევა კი შეუძლებელი იქნებოდა, თუ ეკლესიაში არ შეწყდებოდა ღვთისმსახურება.

ეკლესიას დიდი იდეური ძალა ჰქონდა, კომუნისტური პროპაგანდა იმხანად უძლური იყო ეკლესიასთან იდეურ ბრძოლაში. სამაგიეროდ ძალა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე იყო. ეკლესიების დახურვის შემდეგ მრევლი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ეკლესიების დარბევამ, მღვდლების ძალით გაკრეჭვამ, წმინდა ხატებისა და წმინდა წიგნების დაწვამ, გუმბათიდან ჯვრის ჩამოხსნამ პერმანენტული ხასიათი მიიღო. მღვდლები, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლებას წინააღმდეგობა გაუწიეს, ღვთისმსახურების (ლოცვისა და წირვის) გაგრძელება სცადეს და ან სოფლებიდან და ქალაქებიდან იქნენ გაძევებულები, ან კიდევ დაპატიმრებულები. კიდევ უფრო მეტი სისასტიკით ისჯებოდნენ ის მოძღვრები, რომლებიც საჯაროდ ან ფარულად ნათლობის საიდუმლოს ასრულებდნენ. ვინც ეკლესიურ ცხოვრებას არ შეწყვეტდა, სამსახურებიდან ითხოვდნენ, ავიწროებდნენ მათ შვილებსა და ახლობლებს.

a mere fiction within the Soviet political system. The politicians, ministers, workers, and farmers were all powerless. How can one say that someone should be punished under the law in such circumstances? The reason is simple: the law such as did not exist. The state was ruled by “illicit legality.”

**AB: Why did the closing down and destruction of churches and the curtailment of church services in Georgia begin step by step with Soviet Russia?**

**VG:** The churches were destroyed by the Soviet authorities in both Russia and Georgia because Soviet Bolshevik morality was incompatible with that of Christian Orthodoxy. The political and Communist Party leadership were very well aware that a pious man would never accept the Soviet (communist) way of life and would resist it. From this flowed the task of dispersing the church, destroying the religious mentality and indoctrinating people with communist ideas. The confessor (that is, the priest) was to be deprived of his traditional function; he must not be the spiritual father, the pasture of his parish. Instead, he was to be substituted by the Soviet (communist) clerk who would imbue people with communist ideology. The achievement of this goal would have been impossible without first restricting religious services in the churches.

The church wielded the greater ideological strength, and communist propaganda did not have the capacity to launch a struggle with the church on the level of ideas. But the Communists had the power on their side. The congregants were thrown into a quandary after the churches were closed. Breaking into churches, evicting clergymen, burning sacred icons and holy books, and removing crosses from the church domes became ordinary events. Priests who resisted Soviet rule or attempted to continue religious services were either driven out from the cities and villages or arrested. More brutal punishments were applied to those priests who overtly or covertly performed baptisms, and those who refused to abandon the religious way of life were either sacked from the jobs or pressed through their families and relatives.

Thus left without their confessor, he congregants were raided by the communist propagandists. The

მოძღვრის გარეშე დარჩენილ მრევლს შეესივნენ კომუნისტი პროპაგანდისტები. ძველი და საშუალო თაობის უმრავლესობა ეკლესიის და მოძღვრის გარეშეც ინარჩუნებდა ღმერთისადმი რწმენას, მაგრამ ახალგაზრდობა ასეთ რწმენას მოკლებული იყო, მათზე დამღუპველ გავლენას ახდენდა დემაგოგიური კომუნისტური პროპაგანდა.

ეკლესიებისა და მონასტრების დახურვა, ღვთისმსახურების შეზღუდვა და აკრძალვა, სამღვდელოების დევნა, შევიწროება ხორციელდებოდა, იმიტომ რომ მოესპოთ ეკლესიური აზროვნება და დაემკვიდრებინათ კომუნისტური იდეები. ეკლესიური აზროვნებისა და საბჭოთა (კომუნისტური) იდეოლოგიის თანაარსებობა შეუძლებელი იყო. ეს პროცესი რუსეთში 1917 წლიდან დაიწყო, საქართველოში კი - 1921 წლიდან.

1925 წლისთვის საბჭოთა კავშირში სიკვდილით იყო დასჯილი 250 000 ღვთისმსახური (მიტროპოლიტი, მთავარეპისკოპოსი, ეპისკოპოსი, არქიმანდრიტი, იღუმენი, ხუცესი, დიაკონი, ბერი, მონაზონი).

**– 1921 წლიდან საქართველოში ეროვნული აჯანყებების სერია დაიწყო, თუმცა შედეგი არ მოჰყოლია. რა იყო ამის მიზეზი?**

– საბჭოთა რუსეთის მიერ სამხრეთ კავკასიის (ამიერკავკასიის) და მათ შორის საქართველოს დაპყრობა შეთანხმებული იყო დასავლეთ ევროპის დიდ სახელმწიფოებსა (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია) და ოსმალეთთან (თურქეთი). პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანია მოვლენათა განვითარებაზე გავლენას ვერ ახდენდა. ამერიკის შეერთებული შტატების გავლენა ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაზე ძალზე სუსტი იყო. საქართველოში დაწყებული ეროვნული მოძრაობა (აჯანყებები) ქვეყნის გარეთ, ვერც ევროპასა და ვერც აზიაში, მოკავშირეს ვერ იპოვიდა. იმხანად ევროპის დიდი სახელმწიფოები საბჭოთა რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას ცდილობდნენ. ევროპას ჰაერივით სჭირდებოდა რუსეთის პური, ასევე ნავთობი, მარგანეცი და სხვა წიაღისეული და რუსეთთან (საბჭოთა კავშირთან) სამხედრო კონფრონტაციაზე არ წავიდოდა.

საქართველო თავისი ძალებით, თუ ომზე მიდგებოდა საქმე, საბჭოთა რუსეთს (საბჭოთა კავშირს) ვერ გაუმკლავდებოდა, ძალები აშკარად არათანაბარი იყო. მარტო სამხრეთ და ჩრდილო კავკასიაში თავმოყრილი

older and middle generations preserved the faith of God without churches and priests, unlike the younger generation who were stripped of such belief and on whom the demagogical communist propaganda machine acted more strongly.

Closing down churches, restricting and banning religious services, persecuting and eviction clergymen was undertaken in order to destroy the church mentality and to establish communist ideas in its place. The co-existence of the church mentality and the Soviet (communist) ideology was impossible. Thus the process was launched in 1917 in Russia and then in 1921 in Georgia.

A quarter million clergymen were executed in the Soviet Union up to 1925 (Metropolitans, archbishops, bishops, archimandrites, fathers superior monastic elders, deacons, monks, and nuns).

**AB: The string of national rebellions that were launched in Georgia beginning 1921 yielded no results. What was the reason for this, in your opinion?**

**VG:** The conquest of the South Caucasus, including Georgia, by Soviet Russia was agreed with the leading powers of Western Europe (Great Britain, France, and Italy) and with Ottomans (Turkey). Germany, defeated in World War I, could no longer exert its influence over the further development of events. The influence of the United States on the political life of Europe was weak, and the national movement in Georgia was unable to seek allies in Europe or in Asia. The great European powers were trying to building up their economic ties with Soviet Russia (Europe badly needed Russian grain, oil, manganese and other minerals) and would not have confronted Russia militarily.

Georgia on its own could not hope to be victorious in a war with Soviet Russia. There was an obvious disparity in military strength: the Red Army troops amassed just in the Southern and Northern parts of the Caucasus surpassed those the Georgian rebels might have summoned by a factor of ten. Further, Moscow could have deployed the Black Sea Fleet against the Georgian rebels.

წითელი არმიის ნაწილები ათჯერ და მეტჯერ აღემატებოდა იმ ძალებს, რომლის გამოყვანას აჯანყებული ქართველები შეძლებდნენ. გარდა ამისა, აჯანყებული საქართველოს წინააღმდეგ მოსკოვს შეეძლო გამოეყენებინა შავი ზღვის სამხედრო ფლოტი.

ამასთან ერთად არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ ეროვნული მოძრაობის პოლიტიკურმა და სამხედრო ლიდერებმა ვერ შეძლეს ერთიანი ქართული საერთო-სახალხო აჯანყების ორგანიზება, ლოკალურ აჯანყებებს კი ხელისუფლება ადვილად უსწორდებოდა. ამისი მიზეზი ჩვენს ქართულ სინამდვილეში, ჩვენს ისტორიაში უნდა ვეძებოთ. მიუხედავად მარცხისა, 1921-1924 წლების ეროვნული მოძრაობა და 1924 წლის აჯანყება ჩვენი ისტორიის გმირული ფურცელია. ქართველ პატრიოტთა სისხლი ამაოდ არ დაღვრილა, ეს ეპოქა იდეურ საზრდოს აძლევდა ეროვნულ მოძრაობას შემდგომ ათწლეულებში.

**– რას იტყვით ლავრენტი ბერიას ფენომენზე?**

– იმ ტრაგედიის სცენარის ავტორი, რეჟისორი და მთავარი როლის შემსრულებელი იოსებ სტალინი იყო. რეჟისორი არჩევდა როლებს, მაგრამ სანამ როლების შემსრულებლებზე ვისაუბრებდეთ, რეჟისორს უნდა შევეხოთ, ეს დიდი და რთული თემაა. აჯობებს, იგი სამომავლოდ გადავდოთ...

We should also bear in mind the fact that the political-military leadership of Georgia was not able to organize a unified, nationwide popular rebellion, and the Bolshevik authorities were easily able to deal with isolated local uprisings. We must seek the reason for this in Georgian reality and in our history. Despite the defeat, the national movement of 1921-1924 and the 1924 uprising are a proud part of our history. The blood of Georgian patriots was not shed in vain: the events of the era provided an ideological basis for the national movement in later decades.

**AB: What can you say about the Beria phenomenon?**

**VG:** The author, director and starring role in the scenario was played by Joseph Stalin. It was he who then assigned the supporting roles. Before talking about the performers of supporting roles we must first speak of the script, the director, and the star of the show. This is a very large and complicated topic. It would be better if we postpone this for future conversations …

# ხევსურების მიმართვა აშშ-ს პრეზიდენტისადმი, რომელიც 70 წლის დაგვიანებით მიუვიდა ადრესატს

# Kevsurians' Appeal to the US President, which Reached its Recipient only 70 Years Later

ამერიკის დიდს მთავრობას

ხევსურეთის წარმომადგენლობის

თხოვა

ჩვენი ხევსურეთის ხალხი შეწუხებული არის ბოლშევიკებით. გვიკრძალავენ რჯულს. უნდათ კოლხოზების გაკეთება და ბევრის ნალოგების გამორთმევა და ძალიან ხშირად გვეუბნებიან მაგრამ ჩვენ თანახმა არა ვართ მანამ სრუა დავიხოცებით მთელი ხევსურეთი თანახმალ არ ვიქნებით. მართალია იარაღი კი არა გვაქვ მაგრამ ხმლითა და ხანჯრით უნდა ვიომოთ, მაგრა ამერიკას გთხოვთ დიდის თხოვნით ძრიელის სახელმწიფო ხართ და მოგვეშველენით და დახმარება გაგვიწიეთ თორე ცუდო ვართ. იმედი გვაქვს რო მოგვეშველებით თუ გვიშველით თქვენ თუ არა ჩვენი მშველი აღარა არი. ანა ძმებო უკანასკნელს დღეში ოართ ჩვენ

მთელი ხევსურეთის წარმომადგენლები

გიგა ლიქოკელი

ვ. გორგილაშვილი

23/VI-36 წ.



*Request of the Representative of Khevsureti to the Government of the United States*

*We, the Khevsurian people, are being extremely repressed by the Bolsheviks. They are restricting our religion, trying to establish collective farms, and imposing very high taxes. We Khevsurians will fight to our last drop of blood. We have no arms, but we can fight with our swords as well. We kindly ask your government to assist us, as you are a strong country. We will not count on your aid, but no one else can help us. Brothers! We are in a very terrible situation.*

*Representatives of the whole Khevsureti*

*Giga Likokeli*

*V.Gorgilashvili*

*23/VI/36*



# „საარქივო მოამბეში“ გამოქვეყნებული მასალების წყაროები:

1) **„არქივის პირველი საქმე: შაქარსა და მარილს შეწირული სიცოცხლე“** – შსს საარქივო სამმართველოს მეორე განყოფილების არქივი – ფ. №14, ს. №830.
2) **დამოუკიდებლობის აქტი** – შსს საარქივო სამმართველოს მეორე განყოფილების არქივი – ფ. №6, ს. №22114.
3) **„კოტე აფხაზი: - „ჩემი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს“** – შსს საარქივო სამმართველოს მეორე განყოფილების არქივი – ფ. №6, ს. №23496.
4) **„მასობრივად დახურული ეკლესია-მონასტრები და ქუჩაში გამოყრილი ბერ-მონაზვნები“** – შსს საარქივო სამმართველოს მესამე განყოფილების პრეზიდენტის (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი) არქივი – ფ. №14, ს. №830.
5) **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას წერილი** – შსს საარქივო სამმართველოს მეორე განყოფილება – ფ. №13, ს. №28.
6) **„ვინ იყო ქალი, რომელმაც ბერია დააჩოქა?“** – შსს საარქივო სამმართველოს მეორე განყოფილება – ფ. №6, ს. №22207.
7) **„ნემსის წვერით გამოზრდილი ვაჟკაცი“** – შსს საარქივო სამმართველოს მესამე განყოფილების პრეზიდენტის (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი) არქივი – ფ. №8, ს. №15.
8) **„შაქრო მოსულიშვილის დაჯგუფება თავზარს სცემდა მთელ კახეთს“** – შსს საარქივო სამმართველოს პირველი განყოფილების მასალები.
9) **„თვითმფრინავის ბიჭები“** – შსს საარქივო სამმართველოს მეორე განყოფილება – ფ. №6, ს. №2931386.
10) **გახუნებული ბარათები** – შსს საარქივო სამმართველოს მეორე განყოფილება – ფ. №6, ს. №21.
11) **ხევსურების წერილი** – შსს საარქივო სამმართველოს მეორე განყოფილება – ფ. №6, ს. №37868.

# SOURCES OF THE MATERIALS PUBLISHED IN THE “ARCHIVAL BULLETIN”

1) **The First Case of Archive: Lives devoted to Salt and Sugar** – II Section Archive of the Archive Administration of the MoIA – Fond #14; File #830.
2) **Act of Independence –** II Section Archive of the Archive Administration of the MoIA – Fond #6; File #22114.
3) **Kote Apkhazi: “My Death Will Bring Glory to Georgia” –** II Section Archive of the Archive Administration of the MoIA – Fond #6; File #23496.
4) **The Total Closure of Churches and Monasteries and Expulsion of Monks into the Streets”** – Archive of President of the III Section of the Archive Administration of the MoIA (ex archive of Party agencies) – Fond #14; File #830.
5) **Letter of Ambrosi Khelaia, the Patriarch of All Georgia** – II Section Archive of the Archive Administration of the MoIA – Fond #13; File #28.
6) **Who was the Lady Who Made Mr. Beria to Kneel Down?”** – II Section Archive of the Archive Administration of the MoIA – Fond #6; File #22207.
7) **“The Childe Brought Up Thanks to Needle-Point” –** Archive of President of the III Section of the Archive Administration of the MoIA (ex archive of Party agencies) – Fond #8; File #15.
8) **“Criminal Group of Shakro Mosulishvili Dismayed the Whole Kakheti Region”** – materials of the I Section of the Archive Administration of the MoIA.
9) **“Airplane Guys” –** II Section Archive of the Archive Administration of the MoIA – Fond #6; File #2931386.
10) **Worn Out Cards –** II Section Archive of the Archive Administration of the MoIA – Fond #6; File #21.
11) **Letter of Khevsurians –** II Section Archive of the Archive Administration of the MoIA – Fond #6; File #37868.



# ანონსი/ Announcement

**„საარქივო მოამბის“ შემდეგ ნომერში იხილავთ:**

- მასალას ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული „მეგრელთა საქმის“ შესახებ, რომლის შედეგადაც ასობით ადამიანი დააპატიმრეს.
- „კეკეს მოგონებების“ გაგრძელებას უცხოელი ისტორიკოსების კომენტარებით.
- ასევე რონალდ გრიგორ სანის (ჩარლზ თილის უნივერსიტეტი – საზოგადოებრივი და პოლიტიკური ისტორიის პროფესორი მიჩიგანის უნივერსიტეტი – პოლიტიკურ მეცნიერებათა და ისტორიის პროფესორი) წერილს, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს ეძღვნება.
- ზვიად გამსახურდიას საქმეს და კიდევ არაერთ სტატიას, რომელიც მომზადებული იქნება შსს საარქივო სამმართველოში დაცული საქმეების საფუძველზე.

***The next issue of the "Archival Bulletin" will offer:***

- *Materials relating to one of the most noted events in Soviet history, the so-called "Mingrelian Affair," which resulted in the arrests of thousands of people.*
- *Continuation of "Memoirs of Keke, Stalin's Mother" with commentary by international historians.*
- *An article by Ronald Grigor Suny (Charles Tilly Collegiate Professor of Social and Political History, University of Michigan) dedicated to the Archive Department of the Ministry of Internal Affairs of Georgia.*
- *The Zviad Gamsakhurdia case and a range of articles prepared based on materials kept in the Archive Administration of the MoIA.*


საარქივო მოამბე
THE ARCHIVAL BULLETIN
№1, 2008
აპრილი / April

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს ჟურნალი**
გამოდის კვარტალში ერთხელ
**გასაყიდად არ გავრცელდება**

**Journal of the Archive of Security of the MoIA**
***ISSUED QUARTERLY***
***Not for sale***



**მისამართი:** ვაჟა-ფშაველას 72, თბილისი, საქართველო
**ტელ.:** (995 32) 41-23-68; 41-22-91; 32-38-98.

**Adress:** 72 Vaja-Pshavela ave., Tbilisi, Georgia
**Tel.:** (995 32) 41-23-68; 41-22-91; 32-38-98.

**web:** www.police.ge **e-mail:** moambe@pol.ge



**დაიბეჭდა შსს-ს სტამბაში**
**Printed by MoIA's Printing house**